

მკვლელობაში ბრალდებული პოლიციელი დაპატიმრებულია

A7



ესპანეთმა უკრაინული ზღაპარი დაასამარა

C2



იუდას სახარება

D4

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 15 ივნისი, 2006 წელი. №131 (1283) | ფასი 50 თეთრი

24 საათი
"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

"ოლიმპიური ვარსკვლავის" სტარტი

C2

**პოლიტიკა**

"კოალიციური" კრიზისი უკრაინაში

A3

**პოლიტიკა**

"არაღიარებული სოლიდარობა"

A3

"საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებლებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას გამოსაყენებელი საკონტროლო სალარო აპარატების სახელმწიფო რეესტრში" დამატებით შეტანილია ფისკალური პრინტერის საკონტროლო სალარო აპარატების შემდეგი მოდელები:
**"SLP-01F", "კასპი-02ფ" და "მერკური-180ფ"**
(საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 2 მაისის №610-ს და 7 ივნისის №887-ს ბრძანებები).
**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი**

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

**ამინდი**

| | 15/06 | 16/06 |
|---|---|---|
| თბილისი | 36 | 37 |
| ბათუმი | 26 | 30 |
| სოხუმი | 26 | 27 |
| ქუთაისი | 30 | 35 |
| გორი | 30 | 32 |
| ონი | 25 | 28 |
| ზუგდიდი | 29 | 32 |
| ახმეტა | 35 | 36 |
| სამტრედია | 30 | 35 |

**უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7815 |
| ევრო | 2.2435 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2851 |
| რუბლი | 0.0658 |

| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| UNICEF საქართველოში | A 4 |
| UNICEF საქართველოში | A 5 |
| რევიუ | A 6 |
| სამართალი | A 7 |
| რევიუ | A 8 |

# ხისტი ლავირება

დიმიტრი ავალიანი

*სააკაშვილი-პუტინის შეხვედრის ერთადერთი შედეგი თავად ამ შეხვედრის ფაქტი გახდა. აგრეთვე ისიც, რომ ორივე მხარემ ის ფართო აუდიტორიის წინაშე საკუთარი პოზიციის დასაფიქსირებლად გამოიყენა. თუმცა, ექსპერტების ვარაუდით, დაძაბულობა ორი ქვეყნის ურთიერთობაში ცოტა ხნით მაინც განიმუხტება.*

### ღირსების საქმე

თავად საქართველოს პრეზიდენტისთვის პუტინთან შეხვედრა ქვეყნის ღირსების დემონსტრირება გახდა. **"ჩვენი ქვეყნის ღირსებაზე უარს არასდროს ვიტყვით,"** - განაცხადა გუშინ მიხეილ სააკაშვილმა. მისი თქმით, საქართველო დაინტერესებულია რუსეთთან მეგობრული ურთიერთობებით, მაგრამ

გაგრძელება A3 გვერდზე



ღირსებაზე უარს არასდროს ვიტყვით.

## მყარი სასარგებლო წიაღისეული
# გაუმჭვირვალე სახელმწიფო ქონება

**B**

*რამდენად რაციონალურად და ეფექტურად ხდება სახელმწიფო ქონების - მყარი სასარგებლო წიაღისეულის გამოყენება? რა რაოდენობის ოქრო, სპილენძი და მანგანუმი მოიოპოვება დღეს ქვეყანაში? ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა ეკონომიკურ ექსპერტთა ერთ ნაწილს ძალიან უჭირს. მიზეზი მარტივია - ამასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების უმრავლესობა "დახურულია", ნაწილი კი არასრული.*



# ჯეი კეი და კომპანია

"ჯამიროქუაი" - Travelling With Moving

ია ვეკუა

ვიდრე მთელი მსოფლიო და მასთან ერთად საქართველოც საფეხბურთო ეიფორიაშია, თბილისი ერთი სრულიად არასპორტული, მით უმეტეს, არასაფეხბურთო მოვლენისთვის ემზადება. სწორედ იმ დღეს, როდესაც ბრაზილია იაპონიას დაუპირისპირდება, ხოლო იტალია ჩეხეთთან გაარკვევს ურთიერთობას, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში სხვა ვნებათაღელვა იფეთქებს - თბილისის ჯაზ-ფესტივალის ვარსკვლავი "ჯამიროქუაი" ჯერ არნახულ მეგაშოუს გამართავს.

1993 წელს, როდესაც ჩვენს ქვეყანაში აღარაფერი ხდებოდა, ქართულ ტელესივრცეში საიდანღაც მუსიკალური ტელეარხი Super Channel გაჩნდა. პირველად სწორედ ამ არხზე ვნახე უცნაურად მოძრავი მომცრო ტანის მომღერალი, რომელსაც თავი ხარის უშველებელრქებიანი ქუდით ჰქონდა დამძიმებული და კომპოზიციას Too Young to Die საიდანღაც, ძალიან შორიდან ამოსული ხმით მღეროდა.

გაგრძელება A6 გვერდზე




## საქართველოს პარლამენტიდან დანახული სანქტ-პეტერბურგი

*სავარაუდო იყო, რომ მიხეილ სააკაშვილისა და ვლადიმირ პუტინის შეხვედრის შედეგების შეფასებისას, ქართულ პოლიტიკურ სპექტრში რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებები გამოითქმებოდა. მოლოდინი გამართლდა. მეტიც: ურთიერთსაწინააღმდეგო შეფასებები თავად ოპოზიციური ბანაკის შიგნითაც კი გაკეთდა. მაგალითად, თუ "რესპუბლიკელი" დავით ბერძენიშვილი რუსეთისა და საქართველოს ლიდერების შეხვედრაში პოზიტიურს ვერაფერს ხედავს, მისი თანაფრაქციელები ზვიად ძიძიგური და ივლიანე ხაინდრავა ნაკლებად რადიკალურები არიან.*

გიორგი ასანიშვილი

მიხეილ სააკაშვილისა და ვლადიმირ პუტინის 13 ივნისის შეხვედრის თემას ოპოზიციური ბანაკის თითქმის ყველა ლიდერი გამოეხმაურა. ისინი, თავიანთ კომენტარებში, წინა პლანზე, ძირითადად, პროტოკოლურ საკითხებს აყენებენ, კერძოდ კი, აქცენტს იმაზე აკეთებენ, რომ ორ პრეზიდენტს შორის დიალოგი რამდენიმე საათის დაგვიანებით დაიწყო.

**"როდესაც პრეზიდენტი სააკაშვილი თხოვს პრეზიდენტ პუტინს, ძალიან მინდა რომ მიმიღოო, პუტინიც ადეკვატურად იქცევა: მან სააკაშვილი რაღაც ეკონომიკური ფორუმის ფორმატში მიიღო, თანაც სამი საათის დაგვიანებით და არა იქ, სადაც წინასწარ იყვნენ შეთანხმებულნი,"** - აცხადებს დავით ბერძენიშვილი.

ოპოზიციონერი დეპუტატი უკმაყოფილებას პრეზიდენტ სააკაშვილის ლექსიკასთან დაკავშირებითაც გამოთქვამს. **"დაუშვებელია იმაზე ლაპარაკი, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა და რაც დასაკარგი ჰქონდა, მან უკვე დაკარგა. არ შეიძლება, საქართველოს ხელისუფალი ცრემლნარევი ტონით ლაპარაკობდეს სანქტ-პეტერბურგში, რომელიც დღეს რუსული შავბნელი იდეოლოგიის ცენტრია,"** - მიიჩნევს ბერძენიშვილი.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ერაყის ახალი თავდაცვის სისტემა

**ალ-ქაიდას წევრები შურისძიებისათვის ემზადებიან**

თეა მაისურაძე

გუშინ ერაყის დედაქალაქ ბაღდადში შეტაკება მოხდა შეიარაღებულ პირებსა და ერაყელ სამხედროებს შორის. შეიარაღებულმა პირებმა გზა გადაკეტეს ქვებისა და ხის მორების საშუალებით და ერაყელ ჯარისკაცებს ცეცხლი გაუხსნეს ადამიაში, რომელიც დღეისთვის ერაყში ყველაზე საშიშ ზონას წარმოადგენს. აღნიშნულ რეგიონში ერაყის ჯარის 5 ტანკის მისვლას მხარეებს შორის შეტაკება მოჰყვა. ბაღდადის ჩრდილოეთ ნაწილში პოლიციის მისამართით ნასროლმა ბომბმა ორი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. აფეთქების შედეგად 10 ადამიანი დაიჭრა. რამდენიმე წუთის შემდეგ მეორე დანაღმული მანქანაც აფეთქდა, თუმცა მას მსხვერპლი არ მოჰყოლია. შეტაკებები საათნახევრის განმავლობაში გრძელდებოდა. ეს ყველაფერი კი მას შემდეგ მოხდა, რაც ერაყის პრემიერ-მინისტრმა განცხადება გააკეთა ახალი თავდაცვის სისტემის დანერგვის აუცილებლობის შესახებ, რომელიც ამ ეტაპზე ტერორისტული დაჯგუფების, ალ-ქაიდას წინააღმდეგ იმოქმედებს.

გუშინ დილიდან განლაგდნენ სამხედროები ბაღდადის ქუჩებში, რათა ქვეით და სატრანსპორტო საშუალებით მოძრავ მგზავრთა უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა მოეხდინათ.

ერაყის სახელმწიფო წარმომადგენელთა განცხადებით, უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებული ოპერაცია "წინ ერთად", ითვალისწინებს მასში 40 ათასზე მეტი ერაყელი ჯარისკაცის მონაწილეობას ამერიკელ სამხედროებთან ერთად. აღნიშნული ოპერაცია მიზნად ისახავს ალ-ქაიდას დარჩენილი წევრების შეპყრობას. შეგახსენებთ, რომ ადრე დაგეგმილი ამგვარი ოპერაციებიდან, რომელიც ტერორისტების საბოლოო განადგურებას ისახავდა მიზნად, მნიშვნელოვანი წარმატებით ვერც ერთი ვერ დასრულდა. შედეგად სამოქალაქო ომი ერაყში დღესაც გრძელდება. ძალადობის ტალღას ემსხვერპლა 2 500 ამერიკელი ჯარისკაცი, ხოლო ამერიკის პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის რეიტინგი კი საგრძნობლად დაეცა.

გაგრძელება A3 გვერდზე

## გორში უფასო სასადილო დახურეს

თეა თედლიაშვილი
გორიდან

ერთ თვეზე მეტია, გორში "ნაციონალური მოძრაობის" ინიციატივით იანვრის თვეში გახსნილი უფასო სასადილო აღარ ფუნქციონირებს. გაჭირვებული მოქალაქეები პრეზიდენტის მიერ დაპირებული სადილის გარეშე დარჩნენ.

სასადილოს ხელმძღვანელი თამაზ აბრამიძე ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებს, რომ სასადილოს დახურვის მიზეზები მისთვის უცნობია. მისი თქმით, პარლამენტარ ლადო გეგელაშვილის გორიდან წასვლის შემდეგ "სასადილოს ბედიც უკან წავიდა". ლადო გეგელაშვილი "ნაციონალური მოძრაობის" გორის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე იყო. 18 აპრილს გორის "ნაციონალური მოძრაობის" მიერ ჩატარებულ კრებაზე იგი ამ თანამდებობიდან გადააყენეს, და მის ადგილზე ვასიკო მახარაშვილის დანიშვნა მოითხოვეს.

"ნაციონალური მოძრაობის" გენერალურმა მდივანმა მაშინ ვასიკო მახარაშვილის კანდიდატურა დაიწუნა და დანიშვნას ხელი არ მოაწერა. ასე დარჩნენ გორელი ნაციონალები ლიდერის, გაჭირვებული მოხუცები კი სადილის გარეშე.

სასადილოს გახსნის დროს გეგელაშვილი ჟურნალისტებთან აცხადებდა, რომ საკუთარი ორი თვის ხელფასიც სასადილოს გახსნას და მის მოწყობას დაახარჯა.

მხარის რწმუნებულის აპარატში და გორის რაიონის გამგეობაშიც აცხადებენ, რომ მათ კომპეტენციაში უფასო სასადილოების გახსნა არ შედის. **"სამწუხაროდ, მე საქმის კურსში არ ვარ, რა ხდება ამ სასადილოებთან**

გაგრძელება A2 გვერდზე

## გორში უფასო სასადილო დახურეს

პირველი გვერდიდან

**დაკავშირებით. არ ვიცი ვინ გახსნა, და არც ის ვიცი, ვინ უნდა აგოს პასუხი მის ფუნქციონირებაზე. ჩვენ ეს სასადილოები არ გვეხება,"** - განაცხადა შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილემ ზვიად ხმალაძემ, რომელიც სოციალურ სფეროს კურირებს.

იგივეს ამბობენ გორის რაიონის გამგეობაშიც. **"ჩემს კომპეტენციებში არ შედის სასადილოს საკითხები, მაგაზე ნაცმოძრაობას უნდა მიმართოთ, ისინი აკეთებენ უფასო სასადილოებს,"** - ამბობს გორის რაიონის გამგებლის მოადგილე გიორგი აბულაძე, რომელიც ასევე სოციალურ სფეროს კურირებს.

მოხუცები კი, რომლებიც უფასო სასადილოების "სიკეთეს" აფასებდნენ, მოუთმენლად ელიან "პრეზიდენტი სადილად "კიდევ როდის დაპატიჟებს...

## სანქტ-პეტერბურგიდან დუშეთში ვიზიტი

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გუშინ, სანკტ-პეტერბურგიდან დაბრუნებისთანავე, მცხეთა-მთიანეთის რეგიონს ეწვია.

სააკაშვილმა ბაზალეთის ახალი დასასვენებელი კომპლექსი დაათვალიერა.

კომპლექსს ბიზნესმენი ილია მოსიაშვილი 8 წელიწადია აშენებს. როგორც პრეზიდნეტმა განაცხადა, კომპლექსის მშენებლობა მხოლოდ იმის გამო გაჭიანურდა, რომ ამ ხნის განმავლობაში ყველა ცდილობდა ბიზნესმენისათვის ხელი შეეშალა.

"როგორც კი ეს პიროვნება ზეწოლისგან გათავისუფლდა, ბაზალეთი წალკოტად გადააქცია", - აღნიშნა პრეზიდენტმა.

კომპლექსი 1500 დამსვენებელზეა გათვალისწინებული. კომპლექსის ნაწილი უკვე სექტემბერს გაიხსნება. ილია მოსიაშვილის თქმით, მას ის ხალხი უშლიდა ხელს, ვინც საქმეში ვერ ერკვევა და ამას ყველაფერს წერტილი მიხეილ სააკაშვილმა დაუსვა. გუშინვე, პრეზიდენტმა მცხეთაში ახალგარემონტებული ძიუდოს სპორტული დარბაზი მოინახულა და რაიონის პოლიციის შენობა დაათვალიერა.

*ინტერპრესნიუსი*

## თავისუფალი სიტყვა

*ახალი მედიაპროექტი რადიო "უცნობის" ეთერში გადის ყოველი სამუშაო დღის 13 საათზე. გადაცემა მიჰყავს ჟურნალისტ დავით კიკალიშვილს. გადაცემის სტუმრები არიან ჟურნალისტები ელისო ჩაფიძე, ქეთი ხატიაშვილი და დიმიტრი ავალიანი.*

**დავით კიკალიშვილი:** როგორია თქვენი მოსაზრება პუტინი-სააკაშვილის შეხვედრაზე?

**ქეთი ხატიაშვილი, გაზეთი "ალია":** ამ შეხვედრიდან განსაკუთრებულს არაფერს ველოდი. ამდენად, ამ შეხვედრამ ჩაიარა ჩვეულებრივად. ეს იყო შეხვედრა შეხვედრისთვის და არა შედეგისთვის.

**ელისო ჩაფიძე, გაზეთი "რეზონანსი":** იმ ადამიანების მიმართ, რომელთა ქმედებებიც არ მომწონს საქართველოში, როგორც კი გასცდებიან ჩვენი ქვეყნის ფარგლებს და წარმოადგენენ საქართველოს, მეცვლება შეხედულება და მყისვე ვხდები მათი გულშემატკივარი. ამ თვალსაზრისით, მივხვდი, რომ სააკაშვილს ამ კონკრეტულ შეხვედრაზე თავისი ქვეყნის ინტერესები არ დაუთმია, მაგრამ რამდენად შედეგიანი იქნება შეხვედრა? ამ მოვლენის მიმართ ოპტიმისტურად განწყობილი არ ვარ. რუსეთი, მოეწონება თუ არა მას ჩვენი პრეზიდენტი, თავის დამოკიდებულებას არ შეიცვლის ჩვენ მიმართ.

**დიმიტრი ავალიანი, გაზეთი "24 საათი":** შეიძლება ითქვას, რომ შეხვედრამ გარკვეულწილად მოლოდინს გადააჭარბა. არანაირად არ ველოდი, არც რაიმე შედეგს და არც არანაირ მწვავე რიტორიკას მხარეების მხრიდან, რადგან იყო საკმაოდ საფუძვლიანი მოსაზრება, რომ ეს იყო შეხვედრა შეხვედრისთვის. რათა ორივე მხარეს დაენახებინა თავისი პარტნიორებისთვის, რომ ისინი მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდნენ. თუმცა, არც ერთი მხარე არ აპირებდა შედეგების მიღწევას. ის, რომ პრეზიდენტმა მკაფიოდ ჩამოაყალიბა თავისი პრინციპები, იმის შესახებ, რომ საქართველო არ დათმობს... ასეთი ფორმით და ტონალობით აქამდე არ ყოფილა, ჩემთვის, პირადად, მოულოდნელი იყო.

**დ.კ. როგორ ფიქრობთ, რატომ წავიდა სააკაშვილი რუსეთში?**

**ქ.ხ.** რამდენადაც არსებობს კულუარული ინფორმაცია, რომ არ ყოფილიყო დასავლეთის ზეწოლა - შეხვედრა არ შედგებოდა, სააკაშვილის განცხადებებიდან გამომდინარე მისთვის იყო ძალიან მძიმე შეხვედრა, რადგან თავადაც ესმოდა, რომ შეხვედრა არ იქნებოდა შედეგის მომტანი. თუმცა სწორად მოიქცა, რადგან არაფერს კარგავდა ამ შეხვედრით, შეიძლება რაღაც პროცესი წინ წავიდეს, შეიძლება შანსი არ არის, მაგრამ იმედი ხომ არის.

**ე.ჩ.** რაღაც შედეგები ალბათ მოჰყვება, თუნდაც ურთიერთობების დროებითი დათმობა, რომელიც ჩვენ ყველას გვჭირდება. დღეს წავიკითხე ექსპერტის ნიკო ორველაშვილის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ჩვენ ორმოცდაათჯერ მეტად გვჭირდება რუსეთი, ვიდრე რუსეთს ვჭირდებით ჩვენ. მოგვწონს თუ არა, რუსეთი ჩვენი მეზობელია და ბოლო დროს საქართველოს მოსახლეობაში შეინიშნება რუსეთისადმი ნოსტალგია. საზოგადოებამ დაინახა, რომ მხოლოდ რუსეთზე არ არის დამოკიდებული ჩვენი კარგად ან ცუდად ყოფნა. პირველ რიგში თავად უნდა ვიყოთ იმ გამოწვევებისთვის მზად, რაც დღეს არის მსოფლიოს წინაშე. რუსეთი ჩვენი უშიშროების სტრატეგიაში უნდა განვიხილოთ, როგორც ერთი, ჩვეულებრივი მოწინააღმდეგე, რომელსაც უნდა მივუდგეთ გონივრულად და დღეს ამისთვის გვაქვს შესაბამისი ბერკეტები. ემოციური სფეროდან უნდა გამოვიდეთ და უნდა გადავიდეთ პრაგმატულ რელსებზე. გავყიდოთ არაფალსიფიცირებული ღვინო რუსეთში, ჩავიტანოთ მანდარინი და სხვა ციტრუსები, მაგრამ ვუთხრათ რუსებს, რომ ისინი ძალიან გვიყვარს, ავაწყოთ ურთიერთობები ინტელიგენციასთან. მაგრამ ისეთ საკითხებში, როგორიცაა ნატოსთან ურთიერთობა, ევროპული სტრუქტურებისკენ სწრაფვა, ნაკლები ვიყვიროთ და მეტი ვაკეთოთ.

**დ.ა.** პირველი, რასაც პუტინი საუბრის დაწყებისთანავე შეეხო, გახლდათ ეკონომიკა. თუ როგორ იზრდება რუსულ-საქართველო ეკონომიკური კავშირები, რამდენ მილიარდ დოლარს აგზავნიან მოსკოვში მცხოვრები ქართველები, ანუ პუტინის პირველი მესიჯი ქართველების მიმართ იყო ეს, რადგან სიტუაცია ასეთია და ამაზე უნდა დავფიქრდეთ. პუტინის ლაპარაკიდან სავსებით ნათელია, რომ ღვინის პრობლემა ადრე თუ გვიან გადაწყდება. ეს არ არის სანიტარიული, ან ეკონომიკური პრობლემა, ესაა პოლიტიკური საკითხი. მან დაადასტურა ის, რომ რუსულ კაპიტალს, რომელიც საქართველოში მუშაობს, ექნება თავისი სამოქმედო არეალი და წახალისება რუსეთის მხრიდან.

**დ.კ. ფული ამერიკის შეერთებული შტატებიდან შემოდის,პარალელურად რუსეთთან არსებული არასახარბიელო ეკონომიკური სიტუაციაა. რაში ხედავთ გამოსავალს?**

**დ.ა.** შეხვედრის დღეს გაზეთ "კომერსანტში" იყო პროგნოზი, რომ მოსკოვში უნდა ჩავიდეს დამარცხებული მტერი. ყველა იყო მომზადებული იმისთვის, რომ სააკაშვილმა უნდა გამოაცხადოს კაპიტულაცია, უნდა დათმოს ის ძირითადი მიმართულებები, იგივე ნატოს წევრობისაკენ სწრაფვა და სხვა ისეთი საკითხები, რაც რუსეთს აღიზიანებს. მაგრამ შეხვედრა რუსეთის პოლიტიკური ელიტისთვის ერთგვარი სილის გაწვნა იყო, რომელიც ამ შეხვედრისგან სულ სხვანაირ შედეგს ელოდა.

## უნარშეზღუდულთა სახელოსნო

უნარშეზღუდულთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კორპუსში მოეწყო სოციალურ-თერაპიული სახელოსნოს პრეზენტაცია, რომელსაც დაესწრო საქართველოს პირველი ლედი ქალბატონი სანდრა რულოვსი, სახალხო დამცველი სოზარ სუბარი, ბიზნესმენთა ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი ისაკაძე და სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ნინო ოკრიბელაშვილი.


გემსახურებათ სოციალურ-თერაპიული სახელოსნო.

სახელოსნოს კარებს აწერია: გემსახურებათ სოციალურ-თერაპიული სახელოსნო - ასლების გადაღება, აკინძვა და ყავა. არაჩვეულებრივი არაფერი იქნებოდა, რომ არა ის ფაქტი, რომ სახელოსნოში მუშაობენ უნარშეზღუდული ახალგაზრდები, რომლებისთვისაც ამგვარი დასაქმების საშუალებით სოციალური ინტეგრაციის პრობლემა მოხსნილია.

ჯერჯერობით, სახელოსნოში მხოლოდ 5 ადამიანი მუშაობს, მაგრამ ადგილი სხვებისთვისაც იქნება, თუკი მიაკითხავენ.

ეზოში სახელოსნოში წარმოებული პროდუქციის გამოფენა-გაყიდვაც გაიმართა, სადაც თავისი ნამუშევრები თერაპიის სახლის წარმომადგენლებმაც მიიტანეს. სტუმრებს ყველაფერი ძალიან მოეწონათ, მასპინძლები კი ყურადღებიან სანდრა რულოვსს ვეღარ სცილდებოდნენ. ერთ-ერთი მათგანი, ნიკა აჩრდილივით სულ თან დაჰყვებოდა და გარშემო უვლიდა. სტუმრების წასვლის შემდეგ კი აღფრთოვანებას ვერ მალავდა პირველი ქალბატონის გაცნობის გამო. პრეზენტაცია თემურ ჭყონიას მიერ შეწირული კოკა-კოლას დაგემოვნებით დასრულდა.

*24 საათი*

## ავარიული სახლის მობინადრეები დახმარებას ითხოვენ

მაია მესხიშვილი
*ქუთაისიდან*

14 ივნისს ქუთაისის მერიის წინ საპროტესტო აქცია გამართეს ირაკლი აბაშიძის ქუჩის N17-გ-ს მცხოვრებლებმა. ისინი ადგილობრივი ხელისუფლებისაგან პირობის შესრულებასა და საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილებას ითხოვენ. საქმე ის გახლავთ, რომ აღნიშნულ ქუჩაზე განთავსებული ორსართულიანი კორპუსი მთლიანად ამორტიზებულია, თუმცა მასში ამ დრომდე ცხოვრობს 26 ოჯახი.

**"ეს სახლი ამ ზამთარს ვეღარ გაუძლებს, ყველგან წყალი ჩამოდის და ჭერი თავზე გვენგრევა. ჯერ კიდევ 15 წლის წინ ხელისუფლება დაგვპირდა ახალი ფართებით უზრუნველყოფას და მართლაც დაიწყო ჩვენი ბინის გვერდით ხუთსართულიანი სახლის მშენებლობა, მაგრამ არეულობის პერიოდში ეს მშენებლობაც შეჩერდა. შარშან ხელისუფლებამ პირობა მოგვცა, რომ ან ფულად კომპენსაციას გადაგვიხდიდა, ან ახალ ფართს შემოგვთავაზებდა. გუშინ მოვიდნენ მერიის წარმომადგენლები და ყოფილი საბავშვო ბაღის "ნარჩიტას" შენობა შემოგვთავაზეს, რომელთან შედარებითაც ჩვენი ბინა სამოთხეა. იქ ცხოვრება წარმოუდგენელია,"** - აცხადებენ ავარიული სახლის მცხოვრებლები.

საპროტესტო აქციის მონაწილეებს ეჭვი აქვთ, რომ ადგილობრივმა მთავრობამ ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც მათ დასაკმაყოფილებლად მშენებარე სახლი გაიყიდა. მათივე თქმით, მერიას მათი ბინის ფართობის გაყიდვაც აქვს განსაზღვრული.

**"ქუთაისის მერმა გიგა ჩოგოვაძემ ასე გვითხრა, სააკაშვილამდეც რომ მიხვიდეთ, მაინც არაფერი გეშველებათო. ჩვენ არ შევწყვეტთ საპროტესტო აქციებს, სანამ არ დააკმაყოფილებენ ჩვენს მოთხოვნებს. მერიას ჩვენს დასაკმაყოფილებლად ბიუჯეტიდან თანხა აქვს გამოყოფილი, მაგრამ ახლა აღარ გვაძლევენ"** - აცხადებენ აქციის მონაწილეები.

**"ქუთაისის ბიუჯეტში 200 000 ლარია გამოყოფილი გადახურვების პროგრამისთვის და არა - კონკრეტულად ამ ადამიანების დასაკმაყოფილებლად. ჩვენ გავერკვევით ამ საკითხებში და მერე გადავწყვეტთ ამ ხალხის პრობლემას. ჩემთვის ცნობილი არ არის ის ამბავი, რომ თითქოს გაყიდულია ის სახლი, რომელიც მათ დასაკმაყოფილებლად შენდებოდა,"** - აცხადებს ქუთაისის ვიცე-მერი ნიკო კაჭკაჭიშვილი.

ქუთაისში მრავალსართულიანი კორპუსების გადახურვის პროგრამის ბიუჯეტი კი მალე რამდენიმე მილიონით გაიზრდება. აღნიშნული პროგრამა ადგილობრივმა ხელისუფლებამ უკვე წარუდგინა მაჟორიტარ დეპუტატს ნინო ბურჯანაძეს, რომელმაც ქუთაისისთვის დამატებითი სახსრები ცენტრალური ბიუჯეტიდან მოპიოვა.

## საკადრო ცვლილება ბათუმის მერიაში

*ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებელმა მურმან ბერიძემ პირველ მოადგილედ აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი თავართქილაძე დანიშნა.*

ემზარ დიასამიძე
*ბათუმიდან*

აჭარის რევოლუციის შემდეგ პრეზიდენტმა ბათუმის მერად ედვარდ სურმანიძე დანიშნა. სურმანიძის პარლამენტში დაბრუნების შემდეგ კი, მერის მოვალეობის შესრულება მის პირველ მოადგილეს მურმან ბერიძეს დაეკისრა. ბერიძე თანამდებობაზე დღემდე სწორედ ასეთი სტატუსით მუშაობს. ასე რომ, ბათუმს მერის ორი პირველი მოადგილე ჰყავს, რამაც კულუარებში ბერიძის შეცვლის შესახებ საუბრებს მისცეს საბაბი.

ბათუმის მერის კიდევ ერთ პირველ მოადგილედ დაინიშნა თბილისის მერის გიგი უგულავას თანაკურსელი სასულიერო აკადემიიდან და ლევან ვარშალომიძესთან დაახლოებული პირი ირაკლი თავართქილაძე. ადგილობრივი არჩევნების მოახლოებისას, საარჩევნო სტრატეგიიდან გამომდინარე, შესაძლებელია ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებელმა თანამდებობა დატოვოს. მისი მოვალეობის შესრულება კი კანონის მიხედვით, მხოლოდ მერის პირველ მოადგილეს ძალუძს.

**"ჩემი დანიშნვის შესახებ სამი დღით ადრე გავიგე. რა თქმა უნდა, დავთანხმდი, რადგან საჯარო მოხელემ უნდა გაითავისოს, რომ არის ჯარისკაცი იმ არმიაში, რასაც ჰქვია სახელმწიფო სამსახური და სადაც საჭიროა ბრძოლა, იქ უნდა წავიდეს,"** - განაცხადა თავად ირაკლი თავართქილაძემ.

დატოვებს თუ არა ბერიძე თანამდებობას, ამაზე ოფიციალურად ჯერ არავინ საუბრობს. თავად თავართქილაძე კი მიიჩნევს, რომ ასეთი ხმები ცუდ სამსახურს უწევენ როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს.

## იაპონელები ერაყში კიდევ დარჩებიან

ადრე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, იაპონიის სამხედრო ძალებს ერაყი მიდმინარე წლის ივნისში ან ივლისში უნდა დაეტოვებინა, მაგრამ როგორც ჩანს, ოფიციალურმა ტოკიომ გადაწყვეტილება შეცვალა და სამხედროებს ვადა კიდევ 3 თვით გაუგრძელა. იაპონიის პრემიერ-მინისტრის ძიუნიშირო კოიძუმის განცხადებით, ვადის გახანგრძლივება ერაყში არსებული პოლიტიკური ვითარებითაა განპირობებული. თუმცა, თუ იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებას დავეყრდნობით, ერაყიდან სამხედრო კონტინგენტის გამოყვანა, შესაძლოა, კიდევ უფრო გვიან მოხდეს, ვიდრე ამას ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ვარაუდობს. იაპონიის საგარეო უწყების მეთაურის ტარო ასოს თქმით, სამხედრო კონტინგენტის გამოყვანა ომის შემდგომი ერაყიდან არ იქნებოდა მიზანშეწონილი ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის დამყარებამდე. "ვიდრე ერაყში პოლიტიკურ რეჟიმსა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით მდგომარეობა არ გაუმჯობესდება, ჩვენ არ ვიჩქარებთ სამხედრო კონტინგენტის გამოყვანას. ჯერჯერობით კი ერაყის მთავრობის ფორმირებას დასრულებულს ვერაფრით ვუწოდებთ", - თქვა ტარო ასომ. დღესდღეობით ერაყში ეს-სამავას რაიონში იაპონიის ქვეითი ჯარის 600 მოსამსახურე იმყოფება, რომლებიც ქვეყნის განადგურებული მეურნეობის აღდგენის მიზნით ჰუმანიტარულ მოღვაწეობას ეწევიან.

*რიანოვოსტი*

თქვენი დაბალანსებული
ცხოვრება
ბალანსი მაგთიში...
ბალანსი ცხოვრებაში...



ცვლილება თქვენს სასარგებლოდ

ხართ მაგთის წინასწარი გადახდის სისტემის აბონენტი?
ამიერიდან
- თუ ანგარიშზე გაქვთ თანხა, თქვენი ნომერი აქტიური იქნება ბოლო გადახდიდან მთელი 1 წლის განმავლობაში, ანუ შეძლებთ დარეკვას, შეტყობინების გაგზავნას, და ა. შ.
- თუ ანგარიშზე ამოგეწურებათ თანხა, გინარჩუნდებათ გარანტირებული შემომავალი ზარი ბოლო გადახდიდან 1 წლის განმავლობაში.
- შემომავალი ზარების გათიშვის შემდეგ 1 წლით გინარჩუნდებათ ნომერი.
- თქვენი ადგილობრივი ზარები აღირიცხება და იანგარიშება 1 წამის სიზუსტით.

მაგთი MAGTI
...კავშირი თქვენს სამყაროსთან
25 11 11 25 00 00 525
www.magticom.ge

### მოკლედ

### 2 მლნ დოლარი კონფლიქტის ზონის რეაბილიტაციისთვის

ევროპისა და ევრაზიის ქვეყნებისთვის აშშ-ის დახმარების კოორდინატორმა თომას ადამსმა გუშინ, ბრიუსელში გამართულ ეუთო-ს დონორთა კონფერენციაზე გამოსვლისას აღნიშნა, რომ "სამხრეთ ოსეთის" კონფლიქტის ზონის რეაბილიტაციისთვის აშშ პირველ წელს 2 მილიონ დოლარს გამოყოფს. მომდევნო წლებში ამას დამატებითი სახსრები მოჰყვება.

როგორც თომას ადამსმა აღნიშნა, აშშ-ის დახმარება მიმართული იქნება სამართლიანი და დემოკრატიული მმართველობის მხარდაჭერისკენ, ასევე ეკონომიკური შესაძლებლობების გაფართოებისკენ. "აშშ-ის პოლიტიკა ნათელია: ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ასევე, მხარეების მცდელობას, ხანგრძლივი დროით უზრუნველყონ მშვიდობა და უსაფრთხოება კონფლიქტის რეგიონში, დემოკრატიული და ერთიანი საქართველოს ფარგლებში", - აღნიშნა თომას ადამსმა. **მედიანიუსი**

### ამერიკის რეიტინგი ეცემა

Pew Research Group-ის მიერ მსოფლიო მასშტაბით ჩატარებული სოციოლოგიური კვლევებით ირკვევა, რომ აშშ ნელ-ნელა რეიტინგს კარგავს საერთაშორისო ასპარეზზე, ყოველ შემთხვევაში გამოკითხულთა დიდმა ნაწილმა ევროპისა და მუსლიმურ ქვეყნებში მსოფლიო ჰეგემონის პოლიტიკით უკმაყოფილება გამოხატა.

საქმე, კონკრეტულად, ერაყში ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას ეხება, რომელიც მსოფლიო თანამეგობრობის მიერ უფრო დიდ საფრთხედ აღიქმება, ვიდრე ირანის ბირთვული პროგრამა.

გამოკითხვამ დაადასტურა ის ფაქტიც, რომ მსოფლიოში მკვეთრად დაეცა აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშისადმი და მისი "ტერორიზმის წინააღმდეგ ომის" მხარდაჭერა.

სოციოლოგიური კვლევა 31 მარტიდან 14 მაისის შუალედში 15 ქვეყანაში ჩატარდა და მასში მონაწილეობა 17 000 ადამიანმა მიიღო.

აშშ-ს პოპულარობის კლება განსაკუთრებით ინდოეთში, ესპანეთსა და თურქეთში გამოვლინდა.

მაგალითისთვის, გამოკითხული 14 ქვეყნიდან 10-ს მიაჩნია, რომ ერაყი ომის დაწყებამ მსოფლიო უფრო მეტად სახიფათო გახადა ზოგადად. აშშ-სა და მისი პრეზიდენტისადმი უარყოფითად განწყობილი აღმოჩნდა დიდ ბრიტანეთში, რომელიც აშშ-ს უმთავრეს მოკავშირედ აღიქმება, გამოკითხულთა 60 პროცენტი.

სოციოლოგიური გამოკითხვა ჩატარდა ჩინეთში, ეგვიპტეში, საფრანგეთში, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, ინდოეთში, ინდონეზიაში, იაპონიაში, იორდანიაში, ნიგერიაში, პაკისტანში, რუსეთში, ესპანეთში, თურქეთსა და აშშ-ში. **ბი-ბი-სი**

### "ნანეტაშვილის თემა" პარლამენტში აქტუალური ხდება

პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე მიიჩნევს, რომ საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა სერიოზულად უნდა განიხილოს უმრავლესობის წევრის, დეპუტატ ბადრი ნანეტაშვილის განცხადება, რომლის მიხედვითაც, ამ უკანასკნელს გიგა ბოკერია დაემუქრა.

აღნიშნული განცხადება ნანეტაშვილმა დღეს საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომაზე გააკეთა, სადაც მისი სადეპუტატო უფლებამოსილების შეუთავსებლობის საკითხი განიხილებოდა. დეპუტატის თქმით, ბოკერია მას პარლამენტის არდატოვების შემთხვევაში კომპრომატების გამოქვეყნებით ემუქრებოდა.

ნინო ბურჯანაძის აზრით, ნანეტაშვილს არავინ დაემუქრებოდა. "თუმცა როდესაც დეპუტატი ასეთ განცხადებას აკეთებს, საკითხი სერიოზულად უნდა იქნეს შესწავლილი", - დასძინა პარლამენტის თავმჯდომარემ.

თავად გიგა ბოკერია აბსურდულს უწოდებს თანაფრაქციელის, ბადრი ნანეტაშვილის ბრალდებას, თითქოს ის მას დაემუქრა. როგორც ბოკერიამ "მედიანიუსს" განუცხადა, მას ნანეტაშვილი სხდომათა დარბაზიდან სპეციალურად არ გაუყვანია. "უბრალოდ, დერეფანში შემხვდა და ვუთხარი, რომ ჩვენთვის, უმრავლესობისთვის ძალზე მნიშვნელოვანია ჩვენი წევრის კანონიერი ქმედების საკითხი, კერძოდ ვალერი გელაშვილის პრეცედენტმა დაადგინა გარკვეული სტანდარტები, რომელიც ერთიანი უნდა იყოს, როგორც ოპოზიციის, ისე ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებისთვის", - თქვა ბოკერიამ.

მისივე განმარტებით, ის ნანეტაშვილს კომპრომატების გამოქვეყნებით არ დამუქრებია, თუმცა არსებობს სერიოზული ეჭვები, რომ ნანეტაშვილი სადეპუტატო მანდატს სამეწარმეო საქმიანობას უთავსებს. გიგა ბოკერიას თქმით, მისთვის გაუგებარია ნანეტაშვილის განცხადება, თითქოს გარკვეულ სახელისუფლებო დაჯგუფებას ტელეკომპანია "თრიალეთის" ხელში ჩაგდება სურს.

"ჩვენ არ გვეხება, თუ რომელი ტელეკომპანია რა სიუჟეტს გაუშვებს. სადეპუტატო შეუთავსებლობის საკითხი სულ სხვაა და ამ ნორმას, პირველ რიგში, ნაციონალური მოძრაობის წევრები უნდა აკმაყოფილებდნენ", - თქვა ბოკერიამ. **მედიანიუსი**

**24 საათი:** მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი

# ხისტი ლავირება

პირველი გვერდიდან

**"ეს მეგობრობა უნდა ემყარებოდეს საქართველოს ღირსებას და პატივისცემას."** როგორც სააკაშვილმა აღნიშნა, იგი დარწმუნებულია, რომ საქართველო რუსეთთან ასეთ ურთიერთობებს მიაღწევს.

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის პრეზიდენტის ალექსანდრე რონდელის აზრით, **"პრეზიდენტების შეხვედრის პირველი შედეგი ის არის, რომ აღდგა ორ პრეზიდენტს შორის პირადი ურთიერთობები; მეორეც, ორივე პრეზიდენტმა გამოთქვა სურვილი გაგრძელდეს დიალოგი, რაც შეწყვეტილი იყო და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს გავრცელდება სხვადასხვა უწყებებზეც"**.

მისი თქმით, პრესკონფერენციაზე ნათქვამი საკუთარ აუდიტორიებზე იყო გამიზნული, **"თუმცა საინტერესოა, პირადი ურთიერთობების დროს რა ითქვა, რადგან თუ იგივე ითქვა, მაშინ შედეგი არ იქნება."**

**"საინტერესო იყო ასევე ის, რომ პუტინმა აღიარა და აქცენტი გააკეთა საქართველოზე ეკონომიკური კონტროლის დამყარებაზე. კონფლიქტებთან დაკავშირებით პოზიცია აბსოლუტურად არ შეცვლილა, თუმცა ამ შეხვედრის შედეგად პოზიციები უფრო რეალისტური იქნება, განსაკუთრებით - საქართველოს პოზიცია"**, - მიაჩნია ალექსანდრე რონდელს.

**"ფაქტია, რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობები იყო კრიზისულ ფაზაში შესული და ბოლო 10-15 წლის მანძილზე - ყველაზე მწვავე. ეს შეხვედრა იყო ჩიხური ვითარებიდან გამოსვლის მცდელობა, რადგან სტატუს-კვოს გაგრძელება უკვე შეუძლებელი იყო და არც ერთი ქვეყნის, მით უმეტეს საქართველოს ინტერესებში არ შედიოდა,"** - მიიჩნევს პოლიტოლოგი არჩილ გეგეშიძე.

**"სამწუხაროა, რომ პოზიციები არ დაახლოებულა, თუმცა პრეზიდენტების დონეზე შეხვედრა პერიოდულად უნდა გაიმართოს, რათა განიმუხტოს ვითარება, გაგრძელდეს დიალოგი და იქნას ნება გამოხატული კომპრომისებზე. რამდენად ძლიერი ნება იქნა გამოხატული ამ შეხვედრაზე, ამას მომავალი გვიჩვენებს,"** - აცხადებს ექსპერტი.

**"შეხვედრის შედეგად ვერც ერთი პრობლემის მოგვარება ვერ მოხერხდა. თუმცა, გარკვეული დროით "შესვენება" გამოცხადდება, ურთიერთობების მორიგი გამწვავების წინ, რომელიც გარდაუვალია. სავარაუდოდ, მორიგ გამწვავებას "დიდი რვიანის" სამიტის შემდეგ უნდა ველოდოთ,"** - აცხადებს "24 საათთან" საუბრისას რუსი პოლიტიკური და სამხედრო ექსპერტი პაველ ფელგენგაუერი.

**"მიხეილ სააკაშვილის ტონმა რუსეთის საგარეო პოლიტიკის კიდევ ერთი მითი გააქარწყლა - რომ საქართველოს პრეზიდენტი კაპიტულაციას გამოაცხადებდა. სააკაშვილისთვის მნიშვნელოვანი მხოლოდ პუტინთან დიალოგისთვის მზადყოფნის დემონსტრირება აღმოჩნდა. სხვა საქმეა, რომ ასეთი დიალოგისთვის ფუნდამენტი ვერ მოიძებნა. უფრო სწორედ, ის არავის უძებნია"**, - აღნიშნავს რუსეთის პოლიტტექნოლოგიების ცენტრის ექსპერტი ვიტალი პორტნიკოვი. მისი აზრით, **"პრეზიდენტებმა ამ შეხვედრის გამოყენება მხოლოდ საკუთარი აუდიტორიებისათვის თავის მოსაწონად შეძლეს"**.



*მიხეილ სააკაშვილისა და ვლადიმერ პუტინის "მესიჯები" ერთმანეთს არ დაემთხვა.*

მოსკოველი მიმომხილველი ნატალია გევორკიანი პრეზიდენტების შეხვედრას **"ფუჭ გარჯას"** უწოდებს. მისი აზრით, **"ის პრეზიდენტებს არ სჭირდებოდათ. დასავლეთს კი, როგორც ჩანს, სჭირდებოდა. ამით "დიდი რვიანის" სამიტის წინ პრობლემების მინიმიზაცია მოხდა. ალბათ იმიტომ, რომ რუსეთ-საქართველოს დაპირისპირების გარეშეც მწვავე თემების ნაკლებობა არ ექნებათ."**

**"მდორე კინკლაობის მდგომარეობა, საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევა და ალერგია ქართულ წყალსა და ღვინოზე რუსეთში მანამ გაგრძელდება, სანამ ან ვირი მოკვდება, ან მისი პატრონი"**, - პესიმისტურად ასკვნის გევორკიანი.

## ულტიმატუმის ენა

რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების შეხვედრაზე პოზიციების დაახლოება ვერ მოხდა. მიხეილ სააკაშვილისა და ვლადიმირ პუტინის "მესიჯები" ერთმანეთს არ დაემთხვა - ისინი სხვადასხვა ენებზე, სხვადასხვა აუდიტორიისათვის საუბრობდნენ.

სააკაშვილის განცხადებები იმის შესახებ, რომ საქართველოს ტერიტორიის ანექსია მიმდინარეობს, და საქართველო "არც ერთ მეტრს" არავის დაუთმობს, ახალი ნამდვილად არ იყო. სიახლე იმაში მდგომარეობდა, რომ მკაცრი ბრალდებები რუსული პოლიტიკის მისამართით უშუალოდ პუტინის თანდასწრებით გაისმა.

არ იყო ახალი პუტინის განცხადებებიც. ვრცელი საუბარი საქართველოს ეკონომიკაში რუსული კაპიტალის მიერ შეტანილი წვლილის და რუსეთში მცხოვრები ქართველების მიერ სამშობლოში გადარიცხული მილიარდების შესახებ ერთ რამეს ისახავდა მიზნად - შეეხსენებინა ქართველებისათვის, თუ რამდენად არიან ისინი რუსეთზე დამოკიდებულნი.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ დამოკიდებულება პუტინმა მანამდეც დააფიქსირა. ერთობლივ ბრიფინგზე მან გაიმეორა ის მოსაზრება, რომ თავად რუსეთი ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს ემხრობა, მაგრამ მის დასაცავად კამათი და "დისკუსია" უწევს დასავლელ პარტნიორებთან, რომლებიც კოსოვოს დამოუკიდებლობას უჭერენ მხარს. ანუ, პუტინმა მიანიშნა, რომ ეს საკითხი დისკუსიის საგანია და ჯერ არავინ იცის, ეს დისკუსია როგორ დამთავრდება.

თუ აქამდე რუსეთს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სიტყვიერი აღიარება არ ენანებოდა, დღეს ეს ცნება რუსული დიპლომატიის ლექსიკონიდან საერთოდ გაქრა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, მაგალითად, საერთოდ დაივიწყა სამხრეთ ოსეთის საქართველოს შემადგენლობაში დე-იურედ ყოფნა და ბოლო პერიოდში არაერთხელ განაცხადა, რომ ის "საერთაშორისო დონეზე აღიარებული კონფლიქტის ზონაა", რომლის სტატუსი მოლაპარაკების გზით უნდა განისაზღვროს. რუსეთის საგარეო უწყებამ "ერთა თვითგამორკვევის უფლებაც" გაიხსენა.

ეს პრინციპი ბრიფინგზე პუტინსაც არ დავიწყებია და მინიშნება "ხალხების არჩევანზეც" გააკეთა. მაგალითად მან ჩეჩნეთში ჩატარებული რეფერენდუმი მოიყვანა, რომელიც საომარ ვითარებაში გაიმართა და რომლის შედეგებიც მსოფლიოში არავინ აღიარა. პუტინისა და სააკაშვილის განსხვავებული რიტორიკიდან გამომდინარე, კონფლიქტების საკითხზე მხარეების დაპირისპირებას ჯერ ბოლო არ უჩანს.

ერთადერთი პირობითი პოზიტივი ბრიფინგზე ქართული ღვინის თემა გახდა. რუსეთმა და საქართველომ უნდა იმუშაონ ხარისხიანი ქართული პროდუქციის იმპორტის აღსადგენად. თუმცა, საეჭვოა, რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ შემოღებული ეკონომიკური ემბარგო უპირობოდ, მხოლოდ მთავარი სანიტრის გემოვნების ცვლილების შესაბამისად მოხსნას.

ჯერ კიდევ შეხვედრის წინ რუსი ექსპერტები და მიმომხილველები აღნიშნავდნენ, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობის გაუმჯობესება მხოლოდ სააკაშვილის მიერ კაპიტულაციის გამოცხადებით იყო შესაძლებელი, ანუ - თანხმობით პრორუსული პოლიტიკის გატარებაზე. იყო იმის მოლოდინიც, რომ ეკონომიკური სანქციები და საგარეო უწყების საეჭვო შინაარსის განცხადებები ტერიტორიული მთლიანობისა და "ერთა თვითგამორკვევის" თემაზე თბილისს შეაშინებდა და დათმობებისკენ უბიძგებდა. გარდა ამისა, გიორგაძის ლეგალიზაცია მოსკოვში სააკაშვილის ხელისუფლებისათვის ღია ომის გამოცხადებას ნიშნავდა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ მოსკოვს საქართველოში ხელისუფლების შეცვლა სურს. და თუ სააკაშვილს პრეზიდენტობა კიდევ უნდა, ის მოსკოვის პირობებს უნდა დათანხმებოდა.

ეს უხეში და მცდარი გათვლა იყო. საქართველოს თავჩაქინდრული პრეზიდენტის ნაცვლად მოსკოვმა ორი ქვეყნის მეთაურების ცხარე დებატები მიიღო, სადაც პუტინი არც თუ საუკეთესოდ გამოიყურებოდა. სააკაშვილმა ულტიმატუმი არ მიიღო და პუტინს ისღა დარჩენია, ქართველებს აგრძნობინოს, რომ სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში არანაირ დათმობაზე არ წავა.

კატეგორიულობა, რომლითაც სააკაშვილმა საქართველოს პრეტენზიები პუტინს მიახალა (რის უფლებასაც ვერც ერთი ქვეყნის პრეზიდენტი თავს ვერ აძლევდა), ერთ რამეს მოწმობს - ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის იმდენად გაფუჭებულია, რომ დასაკარგი არაფერია. სხვა შემთხვევაში, ლავირებისთვის სივრცის არსებობის პირობებში, რიტორიკა გაცილებით რბილი იქნებოდა.

# საქართველოს პარლამენტიდან დანახული სანქტ-პეტერბურგი

პირველი გვერდიდან

საქართველოს პრეზიდენტის მიერ რუსეთში გაკეთებული განცხადებებით არც ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიციის" თავმჯდომარე დავით გამყრელიძეა აღტაცებული.

**"პრეზიდენტ სააკაშვილის ამ ტიპის გამოსვლები ქართველებისთვის გულის მოფხანას უფრო ემსახურება, ვიდრე კონკრეტული წარმატების დაფიქსირებას. რა თქმა უნდა, სასიამოვნოა იმის მოსმენა, რომ საქართველოს ერთ გოჯ მიწასაც ვერ წაართმევენ, მაგრამ ასეთი განცხადებები საქმეს ვერ შველის,"** - აღნიშნავს გამყრელიძე. მისი აზრით, სანქტ-პეტერბურგში გამართულ პრესკონფერენციაზე მიხეილ სააკაშვილის მიერ გაკეთებული განცხადებები უფრო ქართველი ამომრჩევლისადმი იყო მიმართული და სახლში მომზადებულ ვარიანტს წარმოადგენდა, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი იმ შემთხვევაში გამოიყენებდა, თუ პუტინთან მოლაპარაკებების დროს წარმატებას ვერ მიაღწევდა.

"მემარჯვენეების" ლიდერი ვარაუდობს, რომ სააკაშვილ-პუტინის შეხვედრის შემდეგ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები კიდევ უფრო გაუარესდება.

**"ამ ფორმალური შეხვედრით, ვლადიმირ პუტინმა, "დიდი რვიანის" შეხვედრის წინ, საერთაშორისო საზოგადოების წინაშე ვალი მოიხადა. როდესაც "დიდი რვიანის" შეხვედრა დასრულდება, საქართველოს მიმართ რუსეთის დამოკიდებულება არა თუ გაუმჯობესდება, არამედ კიდევ უფრო გამწვავდება. მე ვერ ვხედავ ეკონომიკური ურთიერთობების გაუმჯობესების პერსპექტივას. ამასთან, ქვეყნის შიგნით ახალ-ახალი პროვოკაციებია მოსალოდნელი,"** - ამტკიცებს დავით გამყრელიძე.

ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" თავმჯდომარე ზვიად ძიძიგური ხაზს უსვამს, რომ ბოლო პერიოდში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებისთვის დამახასიათებელია კინკლაობა, ლანძღვა-გინება, დიპლომატიური რანგიდან ამოვარდნილი დამოკიდებულება და ორი პრეზიდენტის შეხვედრამ, შესაძლოა, ასეთი მდგომარეობა უკეთესობისკენ შეცვალოს. **"ორი პრეზიდენტის ამ შეხვედრამ, ფაქტობრივად, შეასრულა დაკისრებული მისია და აღნიშნული შეხვედრის შემდეგ განეიტრალდება საქართველო-რუსეთს შორის დაძაბული ურთიერთობა,"** - სანქტ-პეტერბურგის შეხვედრით ძიძიგური, მთლიანობაში, კმაყოფილია.

ივლიანე ხაინდრავას განცხადებით, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის ინიციატივა (რუსეთის ლანძღვა-გინებაზე მორატორიუმის გამოცხადებასთან დაკავშირებით) პრეზიდენტების შეხვედრის შემდეგაც უნდა გაგრძელდეს და ეს მორატორიუმი მუდმივად უნდა მოქმედებდეს.

ოპოზიციისგან განსხვავებით, უმრავლესობის მრავალი წარმომადგენელი გუშინ კომენტარის გაკეთებას ერიდებოდა. ერთ-ერთი იშვიათი გამონაკლისი იყო გიგა ბოკერია, რომელსაც თავისი აღფრთოვანების დამალვა არც კი უცდია.

**"საქართველო დიდი ხანია ელოდა ისეთ პრეზიდენტს, რომელიც ყველგან, ყველა დონეზე და ყველა გარემოებაში მის (საქართველოს) სათქმელს დამაჯერებლად იტყოდა,"** - თავისი გუნდისა და ქვეყნის ლიდერით ამაყობს გიგა ბოკერია. მისი აზრით, სანქტ-პეტერბურგში საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრა აუცილებლად გამოიღებს პოზიტიურ შედეგს.

**"შეხვედრის წინ ჩვენი ოპონენტები გარკვეულ ეჭვებს გამოთქვამდნენ; შეხვედრამ კი კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველო საკუთარი ინტერესების დათმობას არ აპირებს. იმედია, ეს კარგად გაიგეს, როგორც რუსეთში, ისე საქართველოში,"** - აცხადებს ბოკერია.

# "არაღიარებული სოლიდარობა"

სოხუმში მიმდინარე, აფხაზეთის, ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და დნესტრისპირეთის ლიდერების შეხვედრას უკვე უწოდეს "არაღიარებულთა სამიტი", - წერს რუსული გაზეთი "ვზგლიადი".

შეხვედრის მონაწილეებმა სერგეი ბაგაფშმა, ედუარდ კოკოითმა და იგორ სმირნოვმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას თანამშრომლობის შესახებ. ამიერიდან სამი რესპუბლიკა შეეცდება, საქართველოსა და მოლდოვასაგან დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის არა ცალ-ცალკე, არამედ ერთობლივად იბრძოლოს.

**"უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში ჩატარებულმა შეხვედრებმა კიდევ ერთხელ დაუმტკიცა მთელ მსოფლიოს ჩვენი ხალხების მისწრაფება, ააშენონ დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფო და დაამყარონ ცივილიზებული ურთიერთობები ყველა ქვეყანასთან"**, - აღნიშნა თანამშრომლობის დეკლარაციის ხელმოწერის ცერემონიაზე აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ლიდერმა სერგეი ბაგაფშმა.

**"ჩვენი ხალხები საუკუნეების განმავლობაში დაკავშირებულნი იყვნენ რუსეთთან და მასთან ურთიერთობას მომავალშიც განამტკიცებენ"**, - აღნიშნა მან.

ხელმოწერილი დეკლარაციის არსი სამ რესპუბლიკას შორის ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში ურთიერთთანამშრომლობის განმტკიცებასა და სამხედრო დახმარების გაწევაში მდგომარეობს. მაგალითად, არც ერთი რესპუბლიკა არ აპირებს თავისი ტერიტორიიდან რუსი სამშვიდობოების გაშვებას, რომლებსაც ისინი მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტად მიიჩნევენ. თუმცა, თუ ეს მოხდება, მაშინ აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი და დნესტრისპირეთი შექმნიან საკუთარ "აფხაზურ-ოსურ-დნესტრისპირულ სამშვიდობო ძალებს".

გაზეთის ინფორმაციით, "არაღიარებულთა სამიტის" მონაწილეებს ყველაზე დიდი საჩუქარი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა გაუკეთა. საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრისას მან თქვა, რომ რუსეთის პოზიცია ტერიტორიული საკითხების მოგვარებაში საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და ხალხების ინტერესების, მათი აზრის გათვალისწინებას ეფუძნება. მისი ეს განცხადება სიხარულით მიიღეს აფხაზეთის, ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და დნესტრისპირეთის ლიდერებმა. "დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ჩვენ ყოველთვის ვეყრდნობით მთავარს, ხალხის აზრს, რაზეც საუბარი ჰქონდა ვლადიმირ პუტინს", - აღნიშნა სერგეი ბაგაფშმა.

*მედიანიუსი*

**Georgian National airlines**

CLUB Class - როცა კომფორტი მნიშვნელოვანია

საქართველოს ნაციონალური ავიახაზები

ავიაკომპანია "საქართველოს ნაციონალური ავიახაზები" გთავაზობთ ახალ, დღემდე საქართველოში უპრეცედენტო CLUB Class სერვისს.

რას ნიშნავს იფრინოთ CLUB Class-ით: ეს არის, საუკეთესო მომსახურება, გაფრენამდე, ფრენისას და ფრენის შემდგომ, კომფორტაბელური ტყავის სავარძლები და მომსახურების მაღალი ხარისხი, რომელიც უტოლდება ბიზნეს კლასის სერვისს და ყველაფერი ეს მხოლოდ ეკონომ კლასის ფასად.

ავიაკომპანია „საქართველოს ნაციონალური ავიახაზების" ყველა რეგულარული რეისი შესრულდება ახალი, Bombardier CRJ 200 LR -ის ტიპის თვითმფრინავებით, რომელიც აღჭურვილია XXI საუკუნის თანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც უსაფრთხოების მაქსიმალურ გარანტიას იძლევა.

ავიაბილეთების დაჯავშნისთვის და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით:

- შ. რუსთაველის გამზ. № 5 ; ტელ.: 92 20 20 ; 93 65 93
- კეკელიძის ქ. № 1 ; ტელ.: 22 18 07
- აეროპორტის სალარო; ტელ.: 43 32 23

ფრენების განრიგი
ზაფხულის სანავიგაციო სეზონი
(ადგილობრივი დრო)

| ფრენა თბილისიდან | | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩამოფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:05 | 16:35 |
| | დნეპროპეტროვსკი | QB 525/526 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| ოთხშაბათი | ალმა - ატა | QB 577/578 | 12:50 | 18:30 | 21:20 | 23:10 |
| | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:20 | 15:50 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| ხუთშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 777/778 | 8:30 | 10:55 | 11:50 | 14:10 |
| | კიევი | QB 595/596 | 17:30 | 18:50 | 11:05 | 16:35 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | მოსკოვი (ვნუკოვო) **** | QB 777/778 | 17:30 | 19:50 | 21:00 | 23:20 |
| პარასკევი | სანქტ-პეტერბურგი | QB 555/556 | 8:30 | 11:55 | 13:00 | 16:20 |
| | ოდესა | QB 541/542 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| კვირა | კიევი | QB 543/544 | 17:30 | 18:50 | 20:00 | 23:20 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| | მინერალნიე ვოდი | QB 523/524 | 17:50 | 19:10 | 22:00 | 23:10 |

* ფრენები [illegible] 02.08.2006 -დან
** ფრენები [illegible] 02.08.2006 -დან
*** ფრენები [illegible] 03.08.2006 -დან
**** ფრენები [illegible] 03.08.2006 -დან

| ფრენა ქუთაისიდან | | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩამოფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |

# "კოალიციური" კრიზისი უკრაინაში

უკრაინის უმაღლესმა რადამ ჩააგდო "იულია ტიმოშენკოს ბლოკის" წევრების მიერ მომზადებული კანონპროექტი, რომელიც 24 კომიტეტისა და ერთი სპეციალური საკონტროლო კომისიის შექმნას ითვალისწინებს. კანონპროექტის კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს დეპუტატებმა "ნაშა უკრაინადან" და რეგიონების პარტიიდან.

"ნაშა უკრაინამ" სამშაბათს უკვე გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ მოლაპარაკებები "იულია ტიმოშენკოს ბლოკსა" და სოციალისტურ პარტიასთან, რომელთაც პროპრეზიდენტულ ძალებთან ერთად "ნარინჯისფერი" კოალიცია უნდა ჩამოეყალიბებინათ, ჩიხში შევიდა. თუმცა, იულია ტიმოშენკო აცხადებს, რომ მისი პოლიტიკური ძალა არ აპირებს უარი თქვას მოლაპარაკებებზე. "ჩვენ არ გავდივართ მოლაპარაკებების პროცესიდან არც ერთ ვითარებაში," - აცხადებს ტიმოშენკო.

მან ასევე აღნიშნა, რომ "ნაშა უკრაინასა" და რეგიონების პარტიის მიერ კოალიციის შექმნის შემთხვევაში, მისი ბლოკი ოპოზიციაში გადავა. "ეს კი ნარინჯისფერი ისტორიის დასასრული იქნება," - მიიჩნევს იგი. საბოლოოდ, უმაღლესმა რადამ არ განიხილა კოალიციის ფორმირების საკითხი და ტაიმ-აუტი ხუთშაბათს 10 საათამდე აიღო.

თუ კანონმდებლები კოალიციის ფორმირებას 21 ივნისამდე ვერ შეძლებენ, ქვეყნის პრეზიდენტს აქვს უფლება, დაითხოვოს პარლამენტი და დანიშნოს ხელახალი არჩევნები.

უკრაინაში რადას დეპუტატთა არჩევნები 2006 წლის 26 მარტს ჩატარდა. რადას შემადგენლობაში ხუთი პარტია და ბლოკი შევიდა: რეგიონების პარტია (186 მანდატი), იულია ტიმოშენკოს ბლოკი (129), ბლოკი "ნაშა უკრაინა" (81), სოციალისტური პარტია (33) და კომუნისტური პარტია (21).

# ერაყის ახალი თავდაცვის სისტემა

პირველი გვერდიდან

ალ-ქაიდას ლიდერის, აზ-ზარქავის სიკვდილის შემდეგ, ერაყში შიშით ელოდებიან ალ-ქაიდას დარჩენილი წევრების მიერ ახალი ტერორისტული აქტების განხორციელებას. ტერორისტული დაჯგუფების ახალმა ლიდერმა, აბუ ჰამზა ალ-მუჰაჯირმა გააკეთა განცხადება, რომ "შურისძიების დრო ახლოვდებოდა".

შექმნილი პირობების ფონზე სამშაბათს, ერაყში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა აშშ-ს პრეზიდენტმა, ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ ერაყის მომავალი პრემიერ-მინისტრის, ნური ალ-მალიკის ხელში იყო. **"გადაწყვეტილებები, რომელსაც იღებთ თქვენ და თქვენი მთავრობა, შემდგომში გახდება განმსაზღვრელი იმის, თუ როგორ წარმატებას მიაღწევს თქვენი სახელმწიფო, როგორ შეძლებთ თქვენ თქვენი ქვეყნის მართვას, თავდაცვას და თვითმყოფადობის შენარჩუნებას,"** - უთხრა აშშ-ს პრეზიდენტმა ერაყის ლიდერს შეხვედრისას.

ბუშმა აღნიშნა, რომ არ დაიშურებს ძალისხმევას ერაყის დასახმარებლად. პრემიერ-მინისტრთან შეხვედრაზე მან ასევე ისაუბრა ახალი უსაფრთხოების სისტემის დეტალებზე. შეგახსენებთ, რომ აღნიშნული ოპერაციის ფარგლებში მიღებული უსაფრთხოების ზომები იქნება ყველაზე მკაცრი აშშ-ს მიერ 2003 წელს ერაყში ინტერვენციის შემდეგ.



*მოულოდნელად ჩასულმა ბუშმა აღნიშნა, რომ არ დაიშურებს ძალისხმევას ერაყის დასახმარებლად.*

ერაყის პრემიერ-მინისტრმა, ნური ალ-მალიკიმ განაცხადა, რომ ის მზად იყო ტერორისტებთან დიალოგისათვის, მანამადე, სანამ ისინი დანაშაულს ჩაიდენდნენ: **"მე მზად ვარ დიალოგისათვის იმ მეამბოხეებთან, რომლებიც ერაყში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს ეწინააღმდეგებოდნენ, თუმცა ახლა კომპრომისზე წამოვლენ ხელისუფლებასთან და მასთან ითანამშრომლებენ."**

ერაყის პრემიერ-მინისტრის მალიკის განცხადებით, ახლა უკვე დროა, რომ ერაყის მთავრობამ განავითაროს უსაფრთხოების უზრუნველყოფის ახალი გეგმა.

ბაღდადი, რომლის მოსახლეობაც 7 მილიონ ადამიანს შეადგენს, ბოლო პერიოდში ტერორისტების მოქმედების არენად გადაიქცა. რელიგიური და ეთნიკური ანგარიშსწორებისაგან თავის დაღწევის მიზნით, ათობით ათასმა ადგილობრივმა მცხოვრებმა დატოვა თავისი საცხოვრებელი ადგილი. შესაბამისად, ბაღდადში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მკაცრი ზომების მიღებაა საჭირო. აშშ-ს პრეზიდენტის განცხადებით, ამერიკის ჯარების გაყვანა ერაყიდან დამოკიდებულია ერაყელი სამხედროების ქმედუნარიანობაზე, ანუ რამდენად შეძლებენ ისინი თავდაცვას. ჯორჯ ბუშის აზრით, ახლო მომავალში საკმაოდ ძნელი იქნება ერაყში ძალადობისა და მართლსაწინააღმდეგო ქმედებების აღმოფხვრა, განსაკუთრებით კი ახლა, როცა ალ-ზარქავის მომხრენი საპასუხო ნაბიჯებისათვის ემზადებიან.

ანალიტიკოსების აზრით, ალ-ზარქავის სიკვდილმა, რომელიც შიიტებზე აწყობდა თავდასხმას და სუნიტი მუსლიმანის დანიშვნამ ერაყის თავდაცვის მინისტრად, შესაძლოა, უფრო გაადვილოს შურისძიებისათვის საჭირო მოქმედებების განხორციელება, თუმცა ერაყის ხელისუფლების წარმომადგენლები ოპტიმისტურად არიან განწყობილნი თავდაცვის ახალი ზომებისადმი. შინაგან საქმეთა მინისტრის, გენ მალდი ალ-გჰარავის განცხადებით, ახალი უსაფრთხოების სისტემა ეფექტური იქნება და ტერორისტები ასეთ დიდ ძალას ვერ დაუპირისპირდებიან.

# იუნისეფი საქართველოში

**გაეროს ბავშვთა ფონდი (იუნისეფი) - გაერთიანებული ერების ერთადერთი ორგანიზაციაა, რომელიც უშუალოდ ბავშვთა პრობლემებზე მუშაობს. იუნისეფის ოფისი საქართველოში 1993 წლის ბოლოს გაიხსნა ერთადერთი მიზნით - საგანგებო დახმარება აღმოეჩინა მძიმე ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისში მყოფი საქართველოსათვის. ეკონომიკური, პოლიტიკური და ფინანსური ვითარების გაუმჯობესების შედეგად იუნისეფის საგანგებო დახმარების პროგრამა რეაბილიტაციისა და განვითარების პროგრამით შეიცვალა.**



## საქართველოს მთავრობისა და გაეროს ბავშვთა ფონდის 2006 - 2010 წლების სამოქმედო პროგრამა

იუნისეფისა და საქართველოს მთავრობის თანამშრომლობის ახალი პროგრამა შემდეგ სფეროებს მოიცავს: *ადრეული ასაკის ბავშვების მოვლა და განვითარება, ბავშვთა დაცვა, ბავშვის უფლებების პოპულარიცაზია და სოციალური მონიტორინგი.*

იუნისეფის ძირითადი პარტნიორები არიან ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები, გაეროს სააგენტოები, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

2006-2010 წლებში ქვეყნის სამოქმედო პროგრამის ფარგლებში დასახულია შემდეგი პრიორიტეტები, რომელთა შესრულებით იუნისეფი ხელს შეუწყობს ათასწლეულის განვითარების მიზნების განხორციელებას და ბავშვზე ზრუნვის, ჯანდაცვისა და განათლების სფეროებში მიმდინარე სოციალური რეფორმების პროცესს:

ა) დედათა და ბავშვთა ჯანდაცვისა და კვების სამსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა და, შესაბამისად, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება;

ბ) ყველაზე დაუცველი ბავშვებისა და ახალგაზრდების დაცვა ძალადობისა და ექსპლუატაციისაგან;

გ) ყველა დონეზე თანამშრომლობისა და მონიტორინგის სისტემების გაძლიერება, რათა შესაძლებელი გახდეს გამოცდილებაზე დაფუძნებული სოციალური პოლიტიკის განხორციელება.

პროგრამა მთელი ქვეყნის მასშტაბით განხორციელდება, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება ხუთ პრიორიტეტულ რეგიონზე, რაც მიზნად ისახავს ხელი შეეწყოს ადგილობრივი სოციალური სამსახურების განვითარებას. კერძოდ, შეირჩა შემდეგი რეგიონები: იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, მცხეთა-მთიანეთი.

## დედათა და ბავშვთა ჯანდაცვა

### იმუნიზაცია



1994 წლიდან იუნისეფი, აშშ-ისა და ბრიტანეთის მთავრობების დახმარებით, საქართველოს მთავრობის ძირითადი პარტნიორია გეგმური და დამატებითი იმუნიზაციისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების სფეროში. აღნიშნულის მისაღწევად იუნისეფის პროგრამით შემდეგი სახის დახმარებაა გათვალისწინებული:

იუნისეფი მხარს უჭერს იმუნიზაციის ეროვნულ პროგრამას როგორც გეგმური, ასევე დამატებითი იმუნიზაციისათვის ვაქცინებისა და აცრებისთვის საჭირო მასალების შესყიდვის გზით. 2000-2003 წლებში საქართველოს შვიდ რეგიონში ჩამოყალიბდა იმუნიზაციის მობილური სამსახურები, რომელთა მიზანი იყო ბავშვთა იმ კონტინგენტის აცრა, რომელიც გეგმური იმუნიზაციის დროს ამა თუ იმ მიზეზით ვერ ან არ იქნა აცრილი.

იუნისეფი საქართველოს მთავრობას დახმარებას უწევს იმუნიზაციის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებაში, ბ ჰეპატიტის წინააღმდეგ იმუნიზაციის პროგრამის წარმართვასა და უსაფრთხო აცრების პოლიტიკისა და ფინანსური მდგრადობის გეგმის შემუშავება-განხორციელებაში.

იუნისეფის დახმარებით ხდება ინსტიტუციური (ცივი ჯაჭვის აღჭურვილობა, კომპიუტერული აპარატურა) და ადამიანური რესურსების განვითარება. ცენტრალური, რეგიონული და რაიონული მართვის ცენტრები აღჭურვილნი არიან ცივი ჯაჭვის ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით. ყოველწლიურად ხდება ყველა რეგიონული და რაიონული დონის მართვის სპეციალისტის და იმუნიზაციის სფეროში დასაქმებული 900 სპეციალისტის გადამზადება იმუნიზაციის მართვისა და მომსახურების გაწევის საკითხებში.

იუნისეფისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) თანამშრომლობის შედეგად იმუნიზაციის მოცვა ქვეყნის მასშტაბით 80-90 პროცენტს უტოლდება, შემცირებულია იმ დაავადებების შემთხვევები, რომელთა თავიდან აცილებაც აცრებით არის შესაძლებელი, ხოლო 2002 წელს საქართველო პოლიომიელიტისგან თავისუფალ ზონად იქნა აღიარებული.

მნიშვნელოვანი წარმატება იქნა მიღწეული ვაქცინების დამოუკიდებელი ინიციატივის ფარგლებში. 2003 წელს საქართველოს მთავობამ იკისრა ქვეყნისათვის საჭირო ტრადიციული ვაქცინების მარაგის 20%-ის შესყიდვის ვალდებულება, 2004 წელს ამ რიცხვმა 30 პროცენტი შეადგინა, ხოლო 2005 წელს - 40 პროცენტი. 2005 წელს საქართველოს მთავრობამ და ჯანდაცვის სფეროში მოღვაწე საერთაშორისო ორგანიზაციებმა შეიმუშავეს და დაამტკიცეს 2005-2010 წლების ფინანსური მდგრადობის გეგმა. აღნიშნული გეგმის მიხედვით საქართველოს მთავრობამ იკისრა ვალდებულება, 2007 წლისათვის საბიუჯეტო სახსრებით უზრუნველყოს ქვეყნისათვის საჭირო ვაქცინებისა და ასაცრელი მასალის მთლიანი მარაგის შესყიდვა.

### ზრუნვა დედასა და ბავშვზე

1990-იანი წლებიდან იუნისეფი საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი ძირითადი პარტნიორია დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის სფეროში. ამ თანამშრომლობის ფარგლებში ყურადღება მახვილდება შემდეგ ღონისძიებებზე:

1990-იანი წლების შუა პერიოდიდან მთავრობა სათავეში ჩაუდგა ძუძუთი კვების პოპულარიზაციას და დანერგვას, ხოლო იუნისეფი მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოლიტიკისა და საკანონმდებლო ბაზის შემუშავებაში. 1999 წელს საქართველომ მიიღო კანონი „ძუძუთი კვების დაცვისა და ხელშეწყობის და დედის რძის შემცვლელი პროდუქტების მოხმარების კონტროლის შესახებ“;

იუნისეფის დახმარებით 30 რეგიონული და რაიონული სამშობიარო სახლი უზრუნველყოფილია ნეონატალური ზრუნვის საბაზისო აღჭურვილობით (ჩვილების ინკუბატორები, ჩვილის გამათბობლები და დოპლერები). გარდა ამისა, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში სამი სამშობიარო სახლი აღიჭურვა თანამედროვე დანადგარებით (რეანიმაციის, დიაგნოსტიკისა და ლაბორატორიული აღჭურვილობით);

1999 წლიდან იუნისეფის დახმარებით ქვეყნის მასშტაბით (თბილისსა და 11 რეგიონში) 1000-ზე მეტი ჯანდაცვის მუშაკი გადამზადდა; ამავე დროს, ჩატარდა ტრენინგები ახალშობილთა ძირითადი დაავადებების, ჩვილების რეანიმაციის და სიცოცხლისათვის საშიში სამეანო გართულებების საკითხებზე. 1998-2003 წლებში, ბავშვისადმი კეთილგანწყობილი საავადმყოფოს ინიციატივის ფარგლებში, მომზადდა 80-დან 60 სამშობიარო სახლის პერსონალი. ძუძუთი კვების საკითხებში სულ 3000 ჯანდაცვის მუშაკი გადამზადდა. 2004 წლისათვის „ბავშვისადმი კეთილგანწყობილი საავადმყოფოს“ აკრედიტაცია მიიღო 18-მა სამშობიარო სახლმა, რომლებზედაც ქვეყნის მასშტაბით მშობიარობების 32 პროცენტის მოდის.

იუნისეფის მხარდაჭერით გაიხსნა სპეციალური ცხელი ხაზი, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით ფუნქციონირებს და მსურველებს უფასოდ აწვდის ინფორმაციას დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის, კვების, ძუძუთი კვების, იმუნიზაციის, დედებისა და ბავშვებისათვის ჯანდაცვის სამსახურების ხელმისაწვდომობის უფლების, სოციალური დახმარებებისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ. 2003-2004 წლებში ცხელი ხაზის მომსახურებით 12,000-მა ადამიანმა ისარგებლა. აღნიშნული ინიციატივა აიტაცეს პარტნიორებმა და დღესდღეობით ცხელი ხაზი ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს/ჯონ სნოუს ინსტიტუტის დახმარებით ფუნქციონირებს.

1999 წელს იუნისეფისა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ფინანსური მხარდაჭერით მთავრობამ დაიწყო ბავშვთა ასაკის დაავადებების ინტეგრირებული მართვის სტრატეგიის განხორციელება. ითარგმნა და ქვეყანაში არსებულ ვითარებასთან ადაპტირებული იქნა მომსახურე პერსონალის მომზადებისა და საზოგადოებაში ცოდნის დონის ამაღლებისაკენ მიმართული რეკომენდაციები. ჯანდაცვის სამინისტრომ დაამტკიცა სახელმწიფო პროგრამა და ჩამოაყალიბა 20 სპეციალისტი ინსტრუქტორისგან შემდგარი ჯგუფი ქვეყნის მასშტაბით სტრატეგიული განხორციელების უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, 2003 წელს მიღებული იქნა საუნივერსიტეტო განათლების სასწავლო პროგრამა, რომელიც ჩართული იქნა სამედიცინო უნივერსიტეტის პროგრამაში. 2000-2001 წლებში წარმატებული გამოცდის შემდეგ გაფართოვდა ამ ინიციატივის განხორციელების არეალი და დღესდღეობით იგი მოიცავს ქვეყნის 66 რაიონიდან 32-ს, საზოგადოებრივი ჯანდაცვის 640 მუშაკს და თემების 160 წარმომადგენელს. მიუხედავად ამისა, ბავშვთა ასაკის დაავადებების ინტეგრირებული მართვის ინიციატივის პირველადი ჯანდაცვის სისტემაში ჩართვისათვის აუცილებელია მეტი ინვესტიციები და კვალიფიკაციის ამაღლებისკენ მიმართული ღონისძიებების გატარება.

ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი ნელა, მაგრამ მაინც იკლებს. მცირდება ხუთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელიც. თუმცა არსებული მონაცემების სანდოობა ჯერ კიდევ სათუოა. საქართველოს მთავრობის, გაეროს სააგენტოებისა და დონორი ორგანიზაციების თანამშრომლობის შედეგად მიღწეულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან წარმატებას პოლიტიკის შემუშავება და ინფორმაციის მართვის სისტემების გაუმჯობესება წარმოადგენს.

### ნუტრიცია



1996 წელს მთელს საქართველოში დაიწყო იოდის დეფიციტით გამოწვეული დარღვევების აღმოფხვრისაკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელება. აღნიშნული დარღვევების აღმოფხვრისაკენ მიმართულ ბრძოლაში მთავრობის ძირითად პარტნიორს, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და KIWANIS-თან ერთად, იუნისეფი წარმოადგენს.

მიზანმიმართული ღონისძიებების შედეგად ჩამოყალიბდა იოდის დეფიციტით გამოწვეულ დარღვევებთან ბრძოლის ეროვნული საბჭო და შესაძლებელი გახდა სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების დაწყება. 1997 წელს გაუქმდა გადასახადი იოდირებული მარილის იმპორტზე, ხოლო 1998 წელს შემუშავდა იოდირებული მარილის ეროვნული სტანდარტები.

2005 წლის თებერვალში იუნისეფისა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ხანგრძლივი მუშაობისა და ტექნიკური დახმარების შედეგად საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „იოდის, მიკროელემენტებისა და ვიტამინების დეფიციტით გამოწვეული დაავადებების პროფილაქტიკის შესახებ.“ კანონი კრძალავს არაიოდირებული მარილის იმპორტსა და გაყიდვას და ქვეყანაში საკვები პროდუქტების საჭირო ნივთიერებებით გამდიდრებისთვის ეფექტურ საფუძველს ქმნის. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში მარილის იმპორტი 100 პროცენტს შეადგენს, აღნიშნული კანონის განხორციელებით იქმნება მარილის საყოველთაო იოდირების მიღწევის შესაძლებლობა. 2005 წელს იუნისეფის მხარდაჭერით საქართველოს მთავრობამ ნუტრიციოლოგიის გლობალურ ალიანსში („GAIN”) შეიტანა განაცხადი, რომელიც ქვეყანაში პურის ფქვილის რკინით გამდიდრების სტრატეგიის განხორციელების ფინანსურ დახმარებას ითვალისწინებს. აღნიშნული სტრატეგიის განხორციელება მნიშვნელოვნად დაეხმარება რკინის დეფიციტის აღმოფხვრისაკენ მიმართულ ღონისძიებებს.

საქართველოს მთავრობისა და იუნისეფის თანამშრომლობის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მონიტორინგისა და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების გაძლიერებას მარილის შემოტანისა და მომხმარებლამდე მიღწევის ყველა - იმპორტის, საცალო და საბაზრო გაყიდვისა და შინამეურნეობებში მოხმარების - დონეებზე.

საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა ჩამოაყალიბა მიკროელემენტების დეფიციტის აღმოფხვრისა და საკვები პროდუქტების გამდიდრების სამუშაო ჯგუფი. აღნიშნული ჯგუფი შეასრულებს საკვების ეროვნული ალიანსის ფუნქციას, კოორდინაციას გაუწევს პოლიტიკისა და საკანონმდებლო ბაზის შემუშავებას, პოპულარიზაციას და საკვები პროდუქტების გამდიდრების პროგრამების მონიტორინგსა და შეფასებას.

საქართველოს მთავრობისა და იუნისეფის ერთობლივი თანამშრომლო-

**გაგრძელება შემდეგ გვერდზე**

unicef

# იუნისეფი საქართველოში

წინა გვერდიდან

ბის შედეგად 2003 წელს ჩატარებული ანალიზის მიხედვით ქვეყანაში დადებითი ძვრები შეინიშნება:

ბაზარზე გაიზარდა მოთხოვნა იოდირებულ მარილზე; თუ ქვეყანაში იოდირებული მარილის იმპორტი 1999 წელს 2 017 ტონას შეადგენდა, 2004 წელს ამ რიცხვმა უკვე 34 144 ტონას მიაღწია და ხუთი წლის განმავლობაში 17-ჯერ გაიზარდა. დღესდღეობით იოდირებული მარილის რაოდენობა მთლიანად აკმაყოფილებს ქვეყანაში არსებულ მოთხოვნილებას.

იოდირებული მარილის იმპორტის გაზრდით შესაძლებელი გახდა შინამეურნეობების დონეზე იოდირებული მარილის მოხმარების დონის ამაღლება. სათანადოდ იოდირებული მარილის მოხმარება შინამეურნეობებში რვაჯერ გაიზარდა, კერძოდ კი 1999 წელს დაფიქსირებულ 8,1%-თან შედარებით 2003 წელს ის 67%-ს გაუტოლდა.

2003 წლის მონაცემებით ჩიყვის გავრცელებამ 39% შეადგინა, მაშინ, როცა 1997 წელს ეს მაჩვენებელი 54% იყო. მთლიანად მოსახლეობაში იოდის დეფიციტის ინდიკატორი 1997 წლის 57,7 პროცენტიდან 2003 წელს 44 პროცენტამდე დაეცა.

### აივ/შიდსი

1990-იან წლებში საქართველოს მთავრობამ აივ/შიდსი ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად დასახა. შიდსის ეროვნული პროგრამა, რომელიც 1994 წლიდან ხორციელდება, შემდეგ საკითხებს მოიცავს: ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსისა და სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებათა გავრცელების კონტროლი; დონორის სისხლის ტესტირება აივ/შიდსზე; საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება; აივ/შიდსზე უფასო ტესტირება მაღალი რისკის ჯგუფებისათვის; დიაგნოსტირება; აივ/შიდსით დაავადებული ადამიანების მოვლა და სიმპტომური მკურნალობა. ქვეყნის მასშტაბით აივ/შიდსის 70 სპეციალიზებული ლაბორატორია ფუნქციონირებს.

1999 წლიდან საქართველოში მუშაობს გაერო-ს აივ/შიდსის თემატური ჯგუფი, რომელშიც შედიან გაეროს განვითარების პროგრამა, გაეროს ბავშვთა ფონდი, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, გაეროს მოსახლეობის ფონდი და მსოფლიო ბანკი. აღნიშნული ჯგუფის მუშაობამ შესაძლებელი გახადა საქართველოს მთავრობასთან და ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან აივ/შიდსის საკითხებთან დაკავშირებით კოორდინაციის გაუმჯობესება. 1999 წლიდან იუნისეფი წამყვანი სპეციალიზებული სააგენტოა, რომელიც გაერო-ს აივ/შიდსის თემატური ჯგუფის ფარგლებში მუშაობს.

იუნისეფმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აივ/შიდსის ეროვნული სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაში. 2002 წელს ჩატარდა სიტუაციის ანალიზი, რომლის მიხედვითაც შემუშავდა 2003-2007 წლების აივ/შიდსის ეროვნული სტრატეგიული გეგმა.

იუნისეფმა გადამწყვეტი როლი ითამაშა გლობალური ფონდიდან 12 მილიონი აშშ დოლარის მობილიზებაში. აღნიშნული გრანტით გათვალისწინებულია ხუთწლიანი ეროვნული სამოქმედო გეგმის დაფინანსება.

იუნისეფის დახმარებით ჩატარდა მთელი რიგი სასწავლო პროგრამები მთავრობისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის *ეროვნული სტრატეგიული დაგეგმვის, სასიცოცხლო უნარ-ჩვევების, თანატოლ განმანათლებელთა და დედიდან შვილზე ინფექციის გადაცემის თავიდან აცილების საკითხებზე.*

გლობალური ფონდის დახმარებით მთავრობამ თვალსაჩინო პროგრესს მიაღწია: შემუშავდა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, გაფართოვდა ახალგაზრდებისა და მაღალი რისკის ჯგუფებისათვის აივ/შიდსის შესახებ ინფორმაციის გადაცემის, ნებაყოფლობითი კონსულტაციებისა და ტესტირების სამსახურები, უზრუნველყოფილია დედიდან შვილზე ინფექციის გადაცემის თავიდან აცილების, მოვლისა და მკურნალობის 100 პროცენტიანი ხელმისაწვდომობა.

## ბავშვთა განვითარება

### ინკლუზიური განათლება



რეფორმის გატარებაში ტექნიკური დახმარების გზით იუნისეფი თანამშრომლობს განათლების სამინისტროსთან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ინკლუზიური განათლების პროგრამებში ჩართვის მიზნით.

საცდელი პროექტები ითვალისწინებს სარეაბილიტაციო ღონისძიებების განხორციელებას საბავშვო ბაღებში, სადაც სხვადასხვა შეზღუდულობის მქონე ბავშვები პედაგოგების დახმარებით სწავლობენ. სხვადასხვა საბავშვო ბაღებიდან და სკოლებიდან შერჩეულმა მასწავლებლებმა გაიარეს სასწავლო კურსი ინკლუზიური განათლების შესახებ. გარდა ამისა, სპეციალური ტრენინგები ჩაუტარდათ მშობლებსაც, რათა მათ შეძლონ გადალახონ მათი შვილების უნარშეზღუდულობასთან დაკავშირებული პრობლემები და სათანადოდ იზრუნონ მათზე.

ახალი კანონი ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა უფლებებს განათლების მიღებასთან დაკავშირებით. საქართველოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი აქტიურად არის ჩართული ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესში. ექსპერტების ჯგუფმა მოამზადა სახელმძღვანელო მასწავლებელთათვის, რომელიც მოიცავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის პირველ კლასში ქართული ენისა და მათემატიკის სწავლების მეთოდოლოგიას. მსგავსი სახელმძღვანელოები მეორე და მესამე კლასების მასწავლებელთათვისაც იქმნება.

### ადრეული ასაკის ბავშვების მოვლა და განვითარება




საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და იუნისეფი 2003 წლიდან ერთობლივად ახორციელებენ პროექტს, რომელიც ადრეული ასაკის ბავშვის მოვლისა და განვითარების ეროვნული კონცეფციის შემუშავებას ითვალისწინებს. პროგრამა მიზნად ისახავს, მშობლებში განავითაროს ბავშვზე ზრუნვის სათანადო უნარ-ჩვევები.

საქართველოს ოთხი რეგიონის პოლიკლინიკებში შეიქმნა რესურს-ცენტრები. პირველადი ჯანდაცვისა და სკოლამდელი დაწესებულებების 250-მა თანამშრომელმა გაიარა სწავლება ადრეული ასაკის ბავშვთა მოვლის საკითხებში. გადამზადებული პერსონალი დაახლოებით 10 000 დედას აწვდის ინფორმაციას ადრეული ასაკის ბავშვის მოვლისა და განვითარების პრინციპების შესახებ. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მშობლებისა და მზრუნველებისათვის შეიქმნა სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო ბეჭდვითი, აუდიო და ვიდეო მასალა.

ადრეული ასაკის ბავშვების მოვლისა და განვითარების საკითხებზე მოსახლეობის ცოდნის დონის ამაღლების მიზნით „იმედის" სატელევიზიო არხთან ერთად მომზადდა 26 სატელევიზიო თოქ-შოუ, რომლებიც ქვეყნის მასშტაბით გადაიცა. სატელევიზიო პროგრამები საკმაოდ პოპულარული იყო მოსახლეობაში და ბოლო გამოკითხვის თანახმად პოპულარულ სატელევიზიო გადაცემებს შორის მეორე ადგილს იკავებდა.

## ბავშვთა დაცვა

### პოლიტიკის შემუშავება და ოჯახის რეინტეგრაცია

1999 წლიდან იუნისეფი საქართველოს მთავრობას ეხმარება ბავშვთა ინსტიტუციებში შედინების პრევენციისათვის საჭირო სისტემის ჩამოყალიბებასა და მზრუნველობის ალტერნატიული ფორმების დანერგვაში.

კერძოდ, იუნისეფის ხელშეწყობით შემუშავდა მოკლევადიანი და ხანგრძლივი დახმარების სამოქმედო გეგმები, მოწვეული იქნა საერთაშორისო მასშტაბის სპეციალისტები სოციალური სამსახურების ჩამოყალიბებაში დახმარების მიზნით, ჩამოყალიბდა ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული სამსახურები, სპეციალიზებულ დაწესებულებებში ბავშვების მიბარების თავიდან აცილების მექანიზმი და რეგიონებში ამ სფეროში მომუშავე ადამიანების კვალიფიკაციის ამაღლებისკენ მიმართული გეგმა, რაც დეცენტრალიზაციის პროცესის ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს.

ძირითადი რეფორმები, მათ შორის, ბავშვთა ინსტიტუციებში შედინების პრევენციის სამოქმედო გეგმა და საზოგადოებისა და თემის აქტიურ მონაწილეობაზე გათვლილი ალტერნატიული ფორმების დამკვიდრება, განხორციელების პროცესშია. აღნიშნული პროცესის ფარგლებში ჩამოყალიბდა სამინისტროთაშორისი კომისია, რომელიც სპეციალიზებული დაწესებულებებიდან საზოგადოებრივ სამსახურებზე გადასვლის პროცესს უძღვება. კომისიის წევრები, მისი კოორდინატორის თაოსნობით, მუშაობენ სტანდარტების შემუშავებაზე, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ბავშვზე ხარისხიანი ზრუნვა, შესამაბისი სამსახურების ეფექტური მუშაობა და ბავშვების სპეციალიზებულ დაწესებულებებში მიბარების თავიდან აცილების მექანიზმის ჩამოყალიბება.



დღესდღეობით 800 ბავშვის ინსტიტუციონალიზაციის თავიდან აცილება და საკუთარ ოჯახში დაბრუნება გახდა შესაძლებელი. იუნისეფის მიერ მომზადდა 63 სოციალური მუშაკი, რომლებიც განსაკუთრებით დაუცველ ოჯახებს ეხმარებიან მათი პრობლემების მოგვარებაში და ბავშვების ინსტიტუციონალიზაციის თავიდან აცილებაში.

### ჩვილ ბავშვთა მიტოვების თავიდან აცილება

აღნიშნული პროექტის მიზანია, თავიდან აიცილოს ჩვილ ბავშვთა მიტოვება. პროექტის ფარგლებში მარტოხელა დედებს დახმარებას უწევენ იმ სოციალური და ფინანსური პრობლემების დაძლევაში, რომლებიც დედებს ბავშვების მიტოვებას აიძულებს. შემუშავდა და დოკუმენტურად აღინუსხა ბავშვზე ზრუნვისა და დედის დახმარების ახალი გზები. 2003 წლის აპრილიდან დღემდე მიტოვებას გადაურჩა 235 ბავშვი, 71 დედა მოთავსდა მარტოხელა დედების თავშესაფარში (რომელიც თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში დაარსდა), ხოლო დანარჩენებმა სოციალური მუშაკების დახმარებით შეძლეს ბავშვების შენარჩუნება.

სოციალური მუშაკები ბავშვებთან მუშაობენ თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში. ისინი ცდილობენ, შეარჩიონ რეინტეგრაციისა და შვილობილობისათვის შესაბამისი შემთხვევები, შეაფასონ მდგომარეობა და, შესაბამისად, ხელი შეუწყონ ბავშვების მოთავსებას გამზრდელ ოჯახში ან ბიოლოგიურ ოჯახთან ინტეგრაციას.

პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბებული დასაქმების სამსახური თავშესაფართან ერთად მიზნად ისახავს, დახმარება გაუწიოს დედებს სოციალური და ფინანსური პრობლემების დაძლევაში. დასაქმების სამსახურის მენეჯერები და კონსულტანტები აფასებენ დედების უნარ-ჩვევებს, რათა აღმოუჩინონ შესაბამისი დახმარება და მისცენ დასაქმებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები.Aდასაქმების სამსახურის ბაზაზე ასევე ფუნქციონირებს მცირე გრანტებისა და კრედიტების პროგრამა, რომელიც მცირე ბიზნესის განვითარებას ეხმარება. დასაქმებისა და მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობით წარმატებით ხორციელდება სიღარიბის დაძლევის კომპონენტი, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს იმ ძირითადი მიზეზების აღმოფხვრას, რომლებიც მშობლებს ჩვილების მიტოვებას აიძულებს; ამასთანავე, აღნიშნული ღონისძიებები უზრუნველყოფს პროექტის განხორციელების არეალის გაფართოებას.

### კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები

იუნისეფი ეხმარება მთავრობას არასრულწლოვანთა დანაშაულის ადმინისტრირების სისტემის რეფორმის განხორციელებაში. დაგეგმილია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების გატარება, პროფესიული სტანდარტების შემუშავება, ძალოვანი სტრუქტურების პერსონალისა და მოსამართლეების ცოდნის დონის ამაღლება, რათა ეროვნული სისტემა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი.

***

***დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ, დაუკავშირდით:***

*მაია ქურციკიძეს, კომუნიკაციის პროგრამის ხელმძღვანელს,*
*იუნისეფი საქართველოში*
*მისამართი: ერისთავის ქ.9, გაეროს სახლი, IV სართული*
ტელ.:: (995 32) 23 23 88, 25 11 30, ფაქსი: (995 32) 25 12 36,
ელ-ფოსტა: *mkurtsikidze@unicef.org*

პაულო კოელიოს სვეტი

# ოცი წლის შემდეგ: ეს ხომ ოდესაა!

ერთხელ, შუა ზამთარში, ეკატერინე დიდმა ძლვნად ახლად დაკრეფილი ფორთოხლებით სავსე ყუთები მიიღო. ბარათზე ეწერა, რომ ხილი მას იმპერიის ერთი შორეული პორტიდან გამოუგზავნეს. "ნახეთ, ჩვენ რა შეგვიძლია! მაგრამ ასეთი გემრიელი ფორთოხლები რომ მოვიყვანოთ, თქვენი დახმარება გვჭირდება". უცნაური ძღვენით მოხიბლულმა ეკატერინემ პორტში დიდძალი ფული გაგზავნა.

თუმცა, სინამდვილეში ფორთოხლები პორტში შავი ზღვის სხვა ქვეყნებიდან ყოფილა ჩატანილი. ბარათში კი ეს არავის მიუთითებია. მე ამ მხარეში 90-დღიანი მოგზაურობა მოვაწყვე და მთელი ამ დროის განმავლობაში წინადადება, რომელიც ყველაზე ხშირად მესმოდა, იყო: "ეს ოდესაა!"

სანამ სამოგზაუროდ წავიდოდი, უკვე ვიცოდი, რომ ვადად ერთი კვირა მაინც უნდა დამეთქვა. მხოლოდ ასე თუ გავუძლებდი ცდუნებას, შუა გზაში არ შევწყვეტდი ხეტიალს და უკან, ბრაზილიაში არ დავბრუნდებოდი. სწორედ ამიტომ მივიღე უკრაინის მთავრობის მიწვევა და ჩერნობილის ატომური აფეთქების ოცი წლისადმი მიძღვნილ ფორუმზე ჩავედი. ღონისძიება მხოლოდ რამდენიმე საათს გრძელდებოდა და რადგან დრო თავზე საყრელად მქონდა, გადავწყვიტე უკრაინაში ერთი კვირით მაინც დავრჩენილიყავი. როცა მკითხეს, თუ რისი გაკეთება მინდოდა, ვუპასუხე, რომ მსურდა, ჩემი მკითხველებისთვის სიურპრიზი გამეკეთებინა და წინასწარ გაუფრთხილებლად შევხვედროდი (მაშინ, როცა ასეთი შეხვედრები ორი-სამი დღით ადრე მაინც იგეგმება ხოლმე). როცა მკითხეს, თუ სად მსურდა მათთან შეხვედრა, ვუპასუხე:

- ოდესაში.

ჩემმა პასუხმა ყველა გააკვირვა. რატომ ოდესა? ვუპასუხე, რომ გავიცანი სერგეი კოსტინი, შვაბის ფონდის გამარჯვებული პროექტის ავტორი (მე კი შვაბის ფონდის დირექტორთა საბჭოში ვარ). დავოსში გამართულ შეხვედრებზე კი (ჩვენი ფონდი, თავის მხრივ, მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმთანაა დაკავშირებული) მე მომხიბლა ამ უკრაინელმა, რომელმაც ერთი სიტყვა ინგლისურის გარეშე, შეძლო თავისი პროექტის ისე წარმოდგენა, რომ პრაგმატულ ბიზნესმენებსაც აუჩუყა გული. სწორედ სერგეი მეხვეწებოდა, რომ მის ქალაქს ვწვეოდი ერთ დღეს. და რადგანაც მე მუდამ ვუსმენ ნიშნებსა და იმპულსებს, ვიგრძენი, რომ ოდესაში აუცილებლად უნდა ჩავსულიყავი. ამ მოგზაურობისთვის დრო მომწიფებული იყო. მივყევი ტრადიციას, რომელსაც პუენტე ლა რეინაში ჩავუყარე საფუძველი და ადგილობრივი წიგნის მაღაზიის მეპატრონეს ვთხოვე, დაახლოებით 50-იოდე მკითხველთან მოეწყო შეხვედრა, კანდიდატები კი თავად აერჩია.

მეგობარმა თვითმფრინავი მათხოვა. როცა ქალაქში დავფრინდით, ჩემმა მდივანმა მოსაწვევი ბარათის ნახვა მოითხოვა და გაოცებისგან ხმა ველარ ამოიღო, მის თვალებში შიში წავიკითხე და ვკითხე, რაშია საქმე-მეთქი. გაირკვა, რომ ბარათზე არც ადგილი ეწერა, არც თარიღი, არც ზუსტი დრო.

წიგნის მაღაზიის მეპატრონემ კი აგვიხსნა: "ეს ოდესაა! რას იზამთ! ყველა, ვინც მიიღო მოწვევა, სამი საათით ადრე დამირეკავს და მხოლოდ შემდეგ მივაწვდი ზუსტ ინფორმაციას, თორემ თუ უფრო ადრე გაიგებენ შეხვედრის შესახებ, ყალბი ბილეთების დამზადებასაც შეძლებენ და გაცილებით უფრო ბევრი ადამიანი მოვა".

ჩემს მდივანს კი მაინც ეშინოდა, რომ ამგვარი მოსაწვევი ბარათებით არავინ მოვიდოდა შეხვედრაზე, მე კი ვცდილობდი, ნატაშა დამემშვიდებინა და ამეხსნა, რომ ეს მდგომარეობას კიდევ უფრო საინტერესოს ხდის; რომ ეს შეხვედრა თავგადასავლის ნაწილად უნდა აღვიქვათ.

დრო მქონდა და ის ადგილი მოვინახულე, სადაც ეიზენშტაინის ფილმის "პოტიომკინის ბრძოლის" ყველაზე ძლიერი სცენაა გადაღებული. შემდეგ შეხვედრის დროც დადგა და რადგან მოქმედება ოდესაში ხდებოდა, შეხვედრაზე მაინც იმაზე მეტი ადამიანი მოვიდა, ვიდრე დაგეგმილი იყო. წიგნის მაღაზიის მეპატრონემ ერთი უზარმაზარი კაციც გამაცნო, რომელსაც ჩემი ქანდაკების გაკეთება სურდა.

მსგავსი წინადადება ადრეც მიმიღია, მაგრამ არასდროს ვთანხმდებოდი, რადგან ქანდაკებაზე მუშაობა ნიშნავს საათობით პოზირებას. ახლაც ზორბა უკრაინელს უარი ვუთხარი, რადგან კიევში ვაპირებდი მეორე დღეს გაბრუნებას, მაგრამ თავიდან მაინც ვერ მოვიშორე:

- მხოლოდ ერთი საათით რა, ეს ხომ ოდესაა!

იმ დღეს მართმადიდებლები აღდგომას ზეიმობდნენ და მივხვდი, მათთვის ასეთ მნიშვნელოვან დღეს, უარს ვერ ვეტყოდი. თუმცა, გავაფრთხილე, რომ ერთ საათზე მეტ ხანს მართლა ვერ დავრჩებოდი, რადგან კიევში ვიყავი დასაბრუნებელი.

ოდესელი მოქანდაკის ალექსანდერ პერტროვიჩის სახელოსნოში მის მეგობრებთან ერთად წავედი. პეტროვიჩი ჰყვებოდა, რომ წინა ღამე ეკლესიაში გაათენა, წირვას ესწრებოდა. მიუხედავად იმისა, რომ უძინარი იყო, საქმეს მაინც დიდი ენთუზიაზმით შეუდგა. მე მაინც ეჭვით ვუყურებდი მის წამოწყებას და ჩემთვის ვფიქრობდი, ერთ საათში რა უნდა მოასწროს? ის კი მუშაობდა, ხელები უოფლიანდებოდა, მაგრამ წამითაც არ ჩერდებოდა. მისი მოძრაობები იყო ზუსტი და სხარტი, ვაკვირდებოდი და ვხვდებოდი, რომ რაღაც სპირიტუალურ ბალეტს ვადევნებდი თვალს. სახელოსნო პეტროვიჩის სკულპტურებით იყო სავსე, მისი ნიჭითა და მისი მუზებით. სწორედ მაშინ გავიაზრე, რომ ოდესელი მოქანდაკე ყველაფერს შეძლებდა; რადგან როცა რაღაცას მთელი გულით მოვინდომებთ, მთელი სამყარო შეიკვრება ჩვენი სურვილის ასასრულებლად.

მართლაც, გავიდა ერთი საათი და ქანდაკება მზად იყო. მე უკვე აღარაფერი გამკვირვებია, რადგან: ეს ხომ ოდესა იყო...

# ჯეი კეი და კომპანია

პირველი გვერდიდან



მაშინ მეგონა, რომ Jamiroquai მხოლოდ ეს ერთი მუსიკოსი იყო (ასე ეგონა ბევრს), მერე კი დანარჩენებიც გამოჩნდნენ.

ლონდონური ჯგუფის "ჯამიროქუაის" ისტორია 1992 წლიდან იწყება. ეს სწორედ ის პერიოდია, როდესაც ბრიტანული საკლუბო სცენა განვითარებას განიცდის და ელექტრონული მუსიკა 70-იანი წლების ფანკს "უმეგობრდება". პირველი მახასიათებელი, რის გამოც ჯგუფმა მალე მიიქცია ყურადღება, ორიგინალური და სრულიად უჩვეულო მუსიკალური ჟღერადობა და სასცენო იმიჯი იყო. ამ უკანასკნელ კომპონენტებს აშკარად ჯგუფის ფრონტმენი ჯეისონ კეი განსაზღვრავდა. ის სცენაზე საოცარ მოძრაობებს ასრულებდა და საოცრად მღეროდა სრულიად ახალ მუსიკას.

"ჯამიროქუაის" პირველი სინგლის When You Gonna Learn? წარმატება შოკისმომგვრელი იყო, რასაც მალე სადებიუტო ალბომი Emergency on Planet Earth (1993) მოჰყვა. პირველი ალბომი კომპანია "სონიმ" გამოუშვა და ჯგუფთან მსოფლიო მუსიკაში უნიკალური კონტრაქტიც დადო - ამ კომპანიის ლეიბლით "ჯამიროქუაის" რვა ალბომი უნდა ჩაეწერა (ჯერჯერობით მხოლოდ ხუთი ალბომია ჩაწერილი).

"ჯამიროქუაის" პირველივე ალბომი ჩარტების სათავეში მოექცა და პლატინის სტატუსიც დაიმსახურა. დაახლოებით იგივე წარმატება გაიმეორა მომდევნო წელს გამოსულმა ალბომმა The Return of the Space Cowboy, რომელიც ბრიტანეთის Top 40-ში 9 კვირის განმავლობაში მეორე ადგილს იკავებდა.

მსოფლიო აღიარება ჯგუფმა მხოლოდ 1996 წელს მოიპოვა. სწორედ ამ წელს გამოშვებული Travelling Without Moving და უნიკალური ჰიტი Virtual Insanity ის ბილეთი აღმოჩნდა, რომელმაც ბრიტანელ მუსიკოსებს ამერიკის კონტინენტზე გამგზავრების უფლება და "გრემის" რამდენიმე ნომინაციაში გამარჯვების შანსი მისცა, ხოლო Virtual Insanity-ს კლიპმა MTV-ს პრიზი მიიღო.

მომდევნო, 1999 წელს გამოშვებული Synkronized "ჯამიროქუაისთვის" მორიგი ეტაპის დასაწყისი აღმოჩნდა. ისედაც ექსპერიმენტატორის იმიჯის მქონე ჯგუფმა ახალი "ცდები" ჩაატარა და საკუთარი მუსიკის ჟღერადობა გაცილებით დაამძიმა, დაამატა ჰიპ-ჰოპის ელემენტები და გარეგნული მახასიათებლებიც გაცილებით ექსტრემალური გახდა. ზოგ ქვეყანაში Synkronized ბონუს ტრეკებთან ერთად გამოიცა, რომელშიც ფილმ "გოძილასთვის" დაწერილი Deeper Underground შევიდა. ეს კომპოზიცია კლიპთან ერთად კიდევ ერთხელ უსვამდა ხაზს, რომ ჯგუფის ცხოვრებაში ახალი ერა დაიწყო.

ჯეი კეის თავისი ჯგუფის წარმატების საკუთარი, საკმაოდ მარტივი ფორმულა აქვს: "წარმატება, როდესაც ჩვენს კონცერტებზე მოსული ხალხი თავს კარგად გრძნობს, ხოლო ჩვენს მიერ გამოშვებული ალბომები მსმენელში პოპულარობით სარგებლობს. ჩვენ მთელ მსოფლიოში უკვე 16 მილიონი ალბომი გავყიდეთ და სიტყვა "ჯამიროქუაი" ყველა ქვეყანაში გაუგიათ."

სპეციალისტების აზრით, ჯგუფის წარმატება შემდეგში მდგომარეობს: ეს არის რთული და ამავე დროს მსუბუქი რიტმების, ფსიქოდელიური ჟღერადობის, სოციალური და ფანტასტიკური შინაარსის ტექსტებისა და უმაღლეს დონეზე ორგანიზებული შოუ-პროგრამების ერთობლიობა.

ამ ყველაფრის მთავარი მამოძრავებელი ძალა, ცხადია, ჯეი კეია - მოხეტიალე მუსიკოსის იმიჯის მქონე (ზოგი ვერსიით, იგი წარმოშობით ბოშაა, მამა კი პორტუგალიელი ჰყავდა) მუსიკოსი, რომელიც დღეს, მსოფლიო პოპულარობის მოპოვების შემდეგ, ვარსკვლავის ცხოვრების არც ერთ ატრიბუტს არ იკლებს: ბუკინგემფშირში ფლობს 500 წლის წინ აგებულ სასახლეს, რომელიც მანამდე კენტერბერიის არქიეპისკოპოსს ეკუთვნოდა, ხოლო ავტოფარეხში "მერსედესის", "ფერარის", "ლამბორჯინის", "ასტონ მარტინისა" და სხვა ძვირად ღირებული ავტომანქანების მოდელების კოლექცია აქვს.

"ჯამიროქუაის" ყველაზე ახალი წევრი ბას-გიტარისტი პოლ ტერნერია. იგი 2005 წელს შეუერთდა ჯგუფს, მანამდე კი ენი ლენოქსთან უკრავდა. უფრო ადრე კი ამერიკაში პოპულარულ ჯაზბენდ Down to the bone წევრი იყო. გიტარისტი რობ ჰარისი ჯგუფში 2000 წლიდან ირიცხება. "ჯამიროქუაიში" მისვლამდე მნიშვნელოვანი არაფერი შეუქმნია, თუმცა გიტარისტის კასტინგზე მაინც თამამად გამოცხადდა. როგორც თავად იხსენებს, გასაუბრებამდე მთელი ღამის განმავლობაში არ უძინია და "ჯამიროქუაის" ძველი ჰიტების საგიტარო პარტიებს იმეორებდა. ეს "მეცადინეობა" სასარგებლო აღმოჩნდა და ჯეი კეიმ მას "ჯამიროქუაის" შემადგენლობაში ყოფნის ნება დართო.

დრამერი დერეკ მაკენზი ერთ-ერთია, რომელიც "ჯამიროქუაის" ლეგენდას ჯეი კეისთან ერთად ქმნიდა. იგი ჯგუფს მეორე ალბომის ჩაწერისას შეუერთდა, რაშიც გადამწყვეტი როლი ჯეი კეიმ ითამაშა და არც შემცდარა - მეკენზის შეუძლია მთელი კონცერტის განმავლობაში ერთნაირი სიგიჟით დაუკრას და ტემპი არ დააგდოს. ცნობილია, რომ ჯგუფთან ერთად ჩატარებული პირველი კონცერტისას ისეთი ენერგიით უკრავდა, რომ ხელები დაიზიანა და დიდხანს სახვევებით დადიოდა.

მეტ ჯონსონიც, რომელიც კლავიშებზე უკრავს, სხვების მსგავსად, ჯგუფში გასაუბრების შედეგად მოხვდა. მისი პროტეჟე ჯგუფის ყოფილი გიტარისტი საიმონ კატცი იყო. სწორედ მისი აზრი გაიზიარა ჯეი კეიმ და ჯონსონი ჯგუფის წევრი გახდა.

პერკუსიონისტი სოლა აკინგბოლა ჯგუფის ერთ-ერთი ეგზოტიკური წევრია (1995 წლიდან). იგი ნიგერიაში დაიბადა, თუმცა ბავშვობიდან ინგლისში ცხოვრობს. მისი წარმომავლობა ჯგუფს განსხვავებულ ჟღერადობასაც მატებს, რადგან კონცერტებზე ნამდვილი ფოიერვერკის მოწყობა შეუძლია.

ამ მუსიკოსების ცოცხლად ხილვა და მოსმენა თბილისელ მსმენელს 22 ივნისს "ისტერნ პრომოუშენის" მიერ ორგანიზებულ ჯაზის დღესასწაულზე შეეძლება. მანამდე კი ჯეი კეი და კომპანია მოსკოვს, სანკტ-პეტერბურგსა და კიევს ეწვევა.

# ჩაპლინის შთამომავლის შეცდომა

ჩარლი ჩაპლინის შვილიშვილი ნარკოტიკებსა და იარაღთან დაკავშირებულ სკანდალურ ამბავში გაეხვა.

ფულის გათეთრებასა და ნარკოტიკების გასაღებაში დაადანაშაულეს კინოკომპანია Limelight Films-ის ხელმძღვანელობა. ამ კინოსტუდიაში კი ჩაპლინის შვილიშვილს, ახალგაზრდა ქალბატონს კაირა ჩაპლინს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თანამდებობა უკავია. ინფორმაცია ნარკომანიის წინააღმდეგ მებრძოლი პოლიციის პრესსამსახურმა გაავრცელა.



ჩაპლინის შვილიშვილი მეგობართან.

დაკავებულია შვიდი ადამიანი, რომლებსაც ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობა და ფართომასშტაბიან კონტრაბანდული ბიზნესის წარმოება ედებათ ბრალად. გამოძიება ორი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მისი შედეგების მიხედვით დამნაშავეთა შორის კინოსტუდიის რამდენიმე ხელმძღვანელიც აღმოჩნდა. სხვებთან ერთად ასევე დაკავებულია ალექსანდრ დე ბასევილი - შვეიცარიული ბიზნესკომპანიის ADB Swiss SA-ს დირექტორატის წარმომადგენელი, რომელსაც პრაქტიკულად ეკუთვნის ზემოაღნიშნული კინოსტუდია. მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას თუ დავუჯერებთ, კაირა ჩაპლინი ბიზნესმენის საცოლე გახლავთ.

# ეგვიპტე ოფიციალურად ითხოვს

მოტაცებული და სხვადასხვა ქვეყანაში გაბნეული კულტურულ-ისტორიული ფასეულობების დასაბრუნებლად ეგვიპტეში პირველი საერთაშორისო კონფერენცია ტარდება. როგორც დღეს ეგვიპტური სიძველეების საბჭოს თავმჯდომარემ, ზაჰი ჰავასმა განაცხადა, მომავალი წლის აპრილში ქაიროში დაგეგმილი ფორუმის მოსამზადებლად კონტაქტი უნდა დაამყარონ ისეთ სახელმწიფოებთან, რომელთაც მსგავსი პრობლემა აქტუალურია. ასეთ ქვეყნებად ჩინეთს, საბერძნეთს, მექსიკასა და სირიას ასახელებენ.

ჰავასმა, რომელიც ამერიკული ჟურნალის, "ტაიმის" გამოკითხვით, მსოფლიოს 100 ყველაზე გავლენიან ადამიანთა შორის მოიხსენიება, განაცხადა, რომ ეგვიპტეს მსოფლიო საზოგადოების დახმარებით შესაბამისი კომპანიის ორგანიზების იმედი აქვს.

ჰავასმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ამასწინათ კრისტის აუქციონზე ეგვიპტემ ალებასტრის ჭურჭლის დაბრუნება შეძლო, რომელიც უძველესი დროით თარიღდებოდა. ნივთი კაიროს მახლობლად მდებარე საქარიდან ჯერ კიდევ 1970 წელს იყო მოტაცებული. ცოტა ხნის წინ ჰავასმა ოფიციალურად მოსთხოვა გერმანიას, ბერლინის მუზეუმში დაცული ძველი წელთაღრიცხვით მეთოთხმეტე საუკუნეში შესრულებული ნეფერტიტის სკულპტური პორტრეტი დაებრუნებინა.

დასაბრუნებელ ნივთთა სიაში შედის როზეტის ქვა, რომელიც ბრიტანეთის მუზეუმს ამშვენებს, ლუვრში დაცული დენდერის ტაძრის მოხატულობა და სხვა ცნობილი სიძველეები.

*ჯი-ეიჩ-ენი*






# მკვლელობაში ბრალდებული პოლიციელი დაპატიმრებულია

*გუშინ ყველასთვის მოულოდნელად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ბრძანებით, 19 წლის ამირან რობაქიძის გაუფრთხილებლობით მკვლელობაში ბრალდებული, საპატრულო პოლიციის თანამშრომელი, გრიგოლ ბაშალეიშვილი, რომელსაც აღმკვეთ ღონისძიებად გირაო ჰქონდა შეფარდებული, სასამართლო დარბაზშივე დააპატიმრეს და საქალაქო სასამართლოს შენობიდან ორთაჭალის საპყრობილეში გადაიყვანეს. რაც ყველაზე მთავარია, გრიგოლ ბაშალეიშვილისთვის აღმკვეთი ღონისძიების წინასწარი ორთვიანი პატიმრობით შეცვლა გუშინდელ პროცესზე პროკურატურამ მოითხოვა.*



ინტერპრესნიუსი

*ბაშალეიშვილს ხელბორკილი სასამართლო დარბაზში დაადეს.*

საქმე ისაა, რომ ამირან რობაქიძის მკვლელობაში ბრალდებული პოლიციელისთვის პატიმრობის შეფარდებას დაზარალებული მხარის ადვოკატი ალეკო ალადაშვილი პროცესის დაწყებისთანავე მოითხოვდა. მან სასამართლოს წინაშე შესაბამისი შუამდგომლობაც დააყენა. თუმცა, დაზარალებულის ინტერესების დამცველის მოთხოვნა მოსამართლე ჯემალ კოპალიანმა მაშინ მიუღებლად ჩათვალა. სამაგიეროდ, პროკურატურის მხრიდან იმავე შინაარსის შუამდგომლობა მოსამართლემ გუშინ დაუფიქრებლად დააკმაყოფილა. სხვათა შორის, თავის დროზე დაზარალებული მხარის მოთხოვნა, ბაშალეიშვილისთვის პატიმრობის შეფარდების თაობაზე, კატეგორიულად მიუღებელი იყო პროკურატურისთვისაც.

**"მოსალოდნელი სასჯელის თავიდან აცილების მიზნით, ბაშალეიშვილი, შესაძლოა, გამოძიების დროს მიიმალოს, რის საფუძველზეც, იგი წინასწარ პატიმრობაში უნდა იმყოფებოდეს",** - ასეთი გახლდათ გამოძიების გუშინდელი არგუმენტაცია.

პროკურატურის ამ შუამდგომლობას არ დაეთანხმნენ ბაშალეიშვილის ადვოკატები. მათი განმარტებებით, არ შეიძლება არსებობდეს მათი დაცვის ქვეშ მყოფის მიმალვის საფრთხე, რადგან ის აქამდე საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად ყოველთვის ცხადდებოდა სამართალდამცველებთან.

ერთი სიტყვით, საპატრულო პოლიციის თანამშრომელი, გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის მუხლით ბრალდებული გრიგოლ ბაშალეიშვილი, რომლის მიერ გასროლილ ტყვიასაც ემსხვერპლა ამირან რობაქიძე, პატიმარია. შეგახსენებთ, რომ მან სასამართლო პროცესზე, სხვა პოლიციელების მსგავსად, რომლებიც 2004 წლის 22 ივნისს წერეთლის გამზირზე ჩატარებულ ოპერაციაში იღებდნენ მონაწილეობას, ჩვენება შეცვალა და განაცხადა, რომ გამოძიებას თავდაპირველად ცრუ ჩვენება მისცა. პროცესზე დაკითხულმა საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა სასამართლოში აღიარეს, რომ რობაქიძეს იარაღი არ ჰქონია და მათთვის არც წინააღმდეგობა გაუწევია.

მომდევნო პროცესზე ვიდეოპატრულის ის თანამშრომლები დაიკითხებიან, რომლებიც 2004 წლის 23 ნოემბერს - ამირან რობაქიძის გარდაცვალების დღეს შემთხვევის ადგილს იღებდნენ.

*24 საათი*

# ადვოკატთა მოთხოვნები

2 მაისს, კორტებთან ჩატარებული სპეცოპერაციის დროს მოკლული ზურაბ ვაზაგაშვილის მშობლები თბილისის პროკურატურამ დაზარალებულებად არ ცნო. ამის გამო, ზურაბ ვაზაგაშვილის დედამ ციალა შანავამ და მოკლულის ოჯახის ადვოკატებმა მალხაზ ჯანგირაშვილმა და ირმა ჭკადუამ ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს.

როგორც ციალა შანავამ განაცხადა, ოჯახი მხოლოდ სიმართლის დადგენას მოითხოვს. მისივე თქმით, სამართალდამცველები ესროდნენ გაჩერებულ ავტომანქანას, რომელშიც სამი ახალგაზრდა იმყოფებოდა და რომელთაგან პოლიციას საფრთხე არ ემუქრებოდა. მოკლულის დედის თქმით, მისი შვილი არ იყო კრიმინალი და იგი უმიზეზოდ მოკლეს. ციალა შანავა მოითხოვს, გაირკვეს, ვინ იყო "ამ მკვლელობის დამკვეთი".

ადვოკატების ინფორმაციით, ოჯახის წევრებს საშუალებას არ აძლევენ, რომ საქმეში დაზარალებულის სტატუსით ჩაერთონ. როგორც მალხაზ ჯანგირაშვილი აცხადებს, 2 მაისს ჩატარებულ სპეცოპერაციასთან დაკავშირებით აღძრულია ორი სისხლის სამართლის საქმე. შინაგან საქმეთა სამინისტროში აღძრული საქმე ყაჩაღობის დაგეგმვის მცდელობას შეეხება. მეორე საქმის გამოძიება კი, რომელიც თბილისის პროკურატურაშია აღძრული, სისხლის სამართლის კოდექსის 114-ე მუხლის საფუძველზე მიმდინარეობს - მკვლელობა დამნაშავის შეპყრობისთვის აუცილებელი ზომების გადაცილებით, რომელიც სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ვაზაგაშვილის ოჯახის ადვოკატები მიიჩნევენ, რომ ეს არ არის ის მუხლი, რის საფუძველზეც გამოძიება უნდა მიმდინარეობდეს და ზურაბ ვაზაგაშვილის ოჯახს აქვს სრული უფლება, პირველ საქმეში დაზარალებულის სტატუსით იყოს ჩართული.

ვაზაგაშვილის ოჯახის წევრებს შს სამინისტროს მიერ გავრცელებულ სატელეფონო ჩანაწერის რეალობაშიც შეაქვთ ეჭვი. ციალა შანავას თქმით, ფირზე, რომელშიც დანაშაულის დაგეგმვაზეა საუბარი, მისი შვილის ხმა არ არის ჩაწერილი. შანავას განცხადებით, მან იცის, თუ ვისი ხმაა ფირზე, თუმცა ამ ეტაპზე გვარის დასახელებისგან თავს იკავებს.

ადვოკატებმა ზურაბ ვაზაგაშვილის სახლში და ოპერატიულ მასალაზე ჩაწერილი ხმები შეადარეს. ადვოკატების თქმით, ნათლად ჩანს, რომ ხმები ერთმანეთს არ ემთხვევა.

ვაზაგაშვილის ადვოკატთა განცხადებით, ვაზაგაშვილების ოჯახზე ხორციელდება ზეწოლა. მათ ზეწოლის დამადასტურებელი ერთი ფაქტი გაახმაურეს, როცა ვაზაგაშვილის მამის ფირმა შეამოწმეს, დარღვევები ვერ აღმოაჩინეს, მაგრამ საჯარიმო აქტი მაინც შეადგინეს. "დავალება ზემოდან მოგვცეს", - ასეთი პასუხი მიუციათ საგადასახადოს თანამშრომლებს ვაზაგაშვილის მამისთვის.

ადვოკატთა თქმით, ვაზაგაშვილის საქმეს იძიებს თბილისის პროკურატურის გამომძიებელი მიქაბაძე, რომელიც ამირან რობაქიძის მკვლელობის საქმის გამომძიებელი იყო და რომლის შესახებაც არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ რობაქიძის საქმე გააყალბა, რაც სასამართლოზე, ფაქტობრივად, დადასტურდა კიდეც.

ვაზგაშვილის ოჯახის ინტერესებს "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" და სახალხო დამცველიც იცავენ.

ზურაბ ვაზაგაშვილის ოჯახი და მისი ადვოკატები არასამთავრობო, საერთაშორისო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მხარდაჭერისკენ მოუწოდებენ.

*24 საათი*

# არასამთავრობოები საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართავენ

არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის განცხადებით, მაის-ივნისის თვეში შეტანილი საკანონმდებლო ცვლილებები პატიმართა მიმართ ძალადობის ფაქტების რაოდენობას ზრდის. მათი თქმით, ახალი კანონით, პრაქტიკულად, აიკრძალა ამანათის გადაცემა, საერთოდ გაუქმდა ხანგრძლივი პაემნის ინსტიტუტი; ასევე - პატიმართა წახალისების სახეებიდან ამოიღეს დამატებითი ხანმოკლე პაემანი; აიკრძალა პატიმრების პაემნები იმ პირებთან, რომლებიც არ არიან მათი ოჯახის წევრები; სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს გადაეცა მსჯავრდებულებისთვის რეჟიმის განსაზღვრისა და შეცვლის ფუნქციები. ბრალდებულებს და განსასჯელებს პაემნის უფლებას აძლევდა მხოლოდ გამომძიებელი, პროკურორი ან მოსამართლე. კანონში შესული ცვლილებებით, მათ ეს უფლებები ჩამოერთვათ.

**"ამ ცვლილებების ნეგატიური მნიშვნელობის დასტურია ის ფაქტი, რომ, დღევანდელი მონაცემებით, თბილისის N1 საპყრობილეში სამუდამო პატიმრობამისჯილი ყველა პატიმარი შიმშილობს, 25 პატიმარი მათი ოჯახის წევრებთან პაემნების რიცხვის შეზღუდვას აპროტესტებს",** - აცხადებენ კოალიციის წარმომადგენლები.

დასახელებული მიზეზების გამო შიმშილობს რუსთავის №6 საპყრობილის პატიმარიც ირაკლი კერესელიძე, რომელიც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარისა და გენერალური პროკურორის ყურადღებას ითხოვს. პატიმარი, რომელიც საპყრობილეში რამდენიმე დღის წინათ გაურკვეველი მიზეზით გადაიყვანეს, აცხადებს, რომ მის სიცოცხლეს საპყრობილეში სერიოზული საფრთხე ემუქრება. იგი კანონით, საპყრობილის რეჟიმში არ უნდა იმყოფებოდეს, რადგანაც მსჯავრდებულია. ამიტომაც, მოშიმშილე პატიმარი მისთვის კანონით მინიჭებული უფლების ამუშავებას - კოლონიაში გადაყვანას ითხოვს. მიუხედავად იმისა, რომ იგი მესამე დღეა შიმშილობს, მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია.

არასამთავრობოთა კოალიციის წარმომადგენლები ამბობენ, რომ ხელისუფლების განცხადება, პატიმართა კვების რაციონის გაზრდის თაობაზე, მხოლოდ პიარია. **"რეალურად კი, პირიქით, შემცირებულია პატიმართა კვების რაციონი. ვინაიდან 2003 წელს პატიმართა რიცხვი 6000 არ აღემატებოდა, მიმდინარე წელს კი 11 ათასს აჭარბებს, რაც, ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ პატიმართა კვებაზე გაღებული ხარჯები, 6000-ის ნაცვლად, 11 ათას პატიმარზე უნდა გადანაწილდეს. ციხეები დღეს, სასჯელაღსრულებითი დაწესებულებების ნაცვლად, საკონცენტრაციო ბანაკებად გადაიქცა. ხელისუფლების მიზანია, მოხდეს პატიმართა დამონება-დაშინება, რათა ისინი უფრო ადვილად სამართავები იყვნენ",** - აცხადებენ კოალიციის წევრი არასამთავრობოები.

მათივე თქმით, რეალური სიტუაციიდან გამომდინარე, დღეისთვის ყველა პირობაა იმისათვის შექმნილი, რომ დაკავებულებს ძალადობისკენ უბიძგონ, რადგან აღნიშნულ და სხვა საკანონმდებლო ცვლილებებს ემატება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთა და თანამშრომელთა მიერ პატიმართა მიმართ განხორციელებული სადისტური ქცევები. არასამთავრობოები სასჯელაღსრულების სისტემაში გახშირებული ბუნტის, მკვლელობებისა და თვითმკვლელობების მიზეზად სწორედ პატიმართა მიმართ განხორციელებულ ღირსების შემლახველ მოპყრობას ასახელებენ.

არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია პენიტენციურ სისტემაში არსებული პრობლემებით დაინტერესებას საერთაშორისო ორგანიზაციებს სთხოვს და მათ ციხეში არსებული ვითარების დეტალური გაცნობისკენ მოუწოდებს. მათივე თქმით, სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების პოზიციების გააქტიურების გარეშე, ციხეებში არსებული უმძიმესი ვითარება ვერ შეიცვლება

*24 საათი*


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ა ნ კ ე ტ ა

**სახელი, გვარი**..........

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**..........

**საკონტაქტო ტელეფონი**..........

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (ფოიეში);
2. მეტროს სადგური [illegible];
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური [illegible];
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური [illegible];
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. [illegible] 45 [illegible] გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, [illegible] 0179 თბილისი, წერეთლის გამზ.72. იურიდიული ოფისი "გაპი".


# ომბუდსმენი მოსამართლის წინააღმდეგ საქმის აღძვრას ითხოვს

2006 წლის 22 მაისს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ანა ღელეყვამ ადმინისტრაციული წესით, 14 დღით, დააპატიმრა 1988 წლის 17 ოქტომბერს დაბადებული, არასრულწლოვანი ზურაბ შალიკიანი. მოგვიანებით, 23 მაისს ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ, ზურაბ შალიკიანის მიმართ გამოტანილ დადგენილებაში ნაწილობრივ ცვლილება შეიტანა და ადმინისტრაციული სახდელი პატიმრობა ჯარიმით შეუცვალა.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 32-ე მუხლის მე-3 ნაწილით "ადმინისტრაციული პატიმრობა არ შეიძლება შეეფარდოთ ორსულ ქალებს, დედებს, რომლებსაც ჰყავთ თორმეტ წლამდე ასაკის ბავშვები, თვრამეტ წელს მიუღწეველ პირებს, პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს."

მოსამართლე ღელეყვამ უხეშად დაარღვია კანონის ეს მოთხოვნა და ადმინისტრაციული პატიმრობა გამოიყენა 18 წელს მიუღწეველი პირის მიმართ.

აღნიშნული ფაქტი შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, რაც ნიშნავს, რომ მოსამართლემ თავისი დაუდევრობით, უკანონოდ შეუფარდა პატიმრობა არასრულწლოვან ზურაბ შალიკიანს და დაარღვია მისი ფუნდამენტური უფლება - თავისუფლების ხელშეუხებლობის უფლება. შესაბამისად, სახალხო დამცველმა შესწავლილი მასალები საქართველოს გენერალურ პროკურორს, ზურაბ ადეიშვილს წინასწარი გამოძიების დაწყებისთვის გადაუგზავნა.

*24 საათი*

# ბადრაგირებისას გაქცეული პატიმარი დააკავეს

ბადრაგირებისას გუშინწინ გაქცეული პატიმარი, 21 წლის გიორგი ხაჩიძე სამართალდამცველებმა გუშინ ბორჯომის რაიონში დააკავეს.

როგორც ცნობილია, პატიმარი იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საბადრაგო სამსახურის მიკროავტობუსიდან მაშინ გაიქცა, როცა მიკროავტობუსი ბორჯომიდან თბილისში მოემართებოდა. შემთხვევა კასპის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა.

გავრცელებული ინფორმაციით, პატიმარმა ბადრაგის განიარაღება შეძლო, იარაღის მუქარით გაიქცა და მიკროავტობუსის მიმართულებით გაისროლა. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, საბადრაგო სამსახურის მანქანაში კიდევ ერთი პატიმარი იმყოფებოდა, რომელსაც გაქცევა არ უცდია.

გიორგი ხაჩიძე ყაჩაღობისათვის იყო დაკავებული. ის საპყრობილეში გუშინვე დააბრუნეს. გაქცევის ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი იძიებს.

*24 საათი*

# საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ახალი თავმჯდომარე ჰყავს

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ახალი თავმჯდომარე ჰყავს. იუსტიციის მინისტრმა გია ქავთარაძემ იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს თანამშრომლებს ახალი ხელმძღვანელი - ჯაბა ებანოიძე წარუდგინა. სააგენტოს ყოფილმა თავმჯდომარემ დავით ეგიაშვილმა რამდენიმე დღის წინ საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა თანამდებობა.

იუსტიციის მინისტრის განცხადებით, ჯაბა ებანოიძისთვის საჯარო რეესტრის სისტემა უცხო არ არის. იგი ბოლო წლების განმავლობაში უძრავი ქონების რეგისტრაციის პროექტებში მუშაობდა.

მისივე თქმით, საჯარო რეესტრის ყოფილმა ხელმძღვანელმა დავით ეგიაშვილმა საჯარო რეესტრის სისტემის ასაწყობად ბევრი რამ გააკეთა. დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა, ახლა კი განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სისტემის მუშაობის კონკრეტულ დეტალებს - მოქალაქეთა მომსახურების გაუმჯობესებას, რათა მათ რიგში დგომა არ უწევდეთ.

*24 საათი*

# საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემით აღჭურვილი პატრული

საპატრულო პოლიციის სამსახური საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემებით და გამოთვლითი ცენტრით აღიჭურვა. სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" დღეს კომპანია "იუ-ჯი-თი"-სა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთობლივი პროექტის პრეზენტაცია გაიმართება.

როგორც კომპანია "იუ-ჯი-თი"-ში აცხადებენ, ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე რთული და კომპლექსური ტექნოლოგიური პროექტის ფარგლებში, საპატრულო პოლიცია აღიჭურვა საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემებით და გამოთვლითი ცენტრით.

პრეზენტაციას დაესწრებიან - შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი, ამერიკის ელჩი ჯონ ტეფტი, მთავრობის და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის სხვა წარმომადგენლები.

*ინტერპრესნიუსი*

# რამიშვილის საქმე მეორე ინსტანციის სასამართლოში

თბილისის სააპელაციო სასამართლო დღეს ტელეკომპანია "202"-ის დამფუძნებლების შალვა რამიშვილისა და დავით კოხრეიძის საქმის განხილვას დაიწყებს.

დაკავებულების ადვოკატები გოჩა სვანიძე და დავით კორკოტაშვილი თბილისის საქალაქო სასამართლოს 29 მარტის განაჩენს ასაჩივრებენ, რომლის საფუძველზეც, შალვა რამიშვილს გამოძალვის ბრალდების გამო 4 წლით პატიმრობა, ხოლო მასთან ერთად დაკავებულ დავით კოხრეიძეს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

სხდომებზე ხელმეორედ მოხდება დაზარალებულად ცნობილი, ყოფილი პარლამენტარის კობა ბექაურის დაკითხვა. ჩვენებებს მისცემენ მოწმეებიც, მათ შორის ირმა სტეფნაძეც, ვის ბინაშიც მოხდა თანხის გადაცემა.

შალვა რამიშვილისა და დავით კოხრეიძის ადვოკატები თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 29 მარტს გამოტანილ განაჩენს "სამარცხვინოს" უწოდებენ.

გოჩა სვანიძის თქმით, სასამართლომ დაზარალებულად ცნობილი ყოფილი პარლამენტარის კობა ბექაურის პროცესზე ხელმეორედ გამოცხადებაზე უარის თქმიდან დაწყებული, საპროცესო დარღვევებით დასრულებული, საბოლოოდ დაასამარა ქართული მართლმსაჯულება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით, რამიშვილი სასჯელს საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოიხდის, ხოლო დავით კოხრეიძე მკაცრი რეჟიმის კოლონიაში.

*ინტერპრესნიუსი*



## აფიშა

**15 ივნისი**

თეატრი

**თეატრალური სარდაფი**
კლოდ მანიე. "ოსკარი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დასაწყისი: 19.00

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი**
"ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს"
რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი
დასაწყისი: 19.00

კინო

**"ამირანი"**
"ტყის საძმო"
დასაწყისი: 12:00; 14:00; 16:00; 18:00
"ქაოსი"
დასაწყისი: 20.00; 22.00

**"რუსთაველი"**
"X ადამიანი: გადამწყვეტი ბრძოლა"
დასაწყისი: 13:00; 15:15; 17:30; 19:45; 22:00

გალერეა

**"კოპალა"**
გამოფენა "ჩემს სიზმრებში"
პარიზელი მოქანდაკის დარეჯან ზურაბიშვილის სკულპტურა

**TMS**
ქართველ ქალთა ნაქარგობის გამოფენა

**სამხატვრო აკადემიის გალერეა**
ფერწერა
საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა

# ფიროსმანი ხელოვნების მუზეუმში

საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი, ნიკო ფიროსმანაშვილის ნამუშევრების გრანდიოზული გამოფენისთვის ემზადება.

ხელოვნების მუზეუმში ფიროსმანის ნახატების იმ ნაწილს გამოფენენ, რომელიც კიევში, უკრაინაში საქართველოს წლის დახურვის ღონისძიებაზე იყო წარდგენილი. ექსპოზიციაზე მხატვრის ხელოვნების მუზეუმში დაცული 35 ყველაზე ცნობილი ნამუშევარს გამოფენენ.

კიევში ნიკო ფიროსმანის გამოფენას, რომელიც 5 აპრილიდან 14 მაისამდე გრძელდებოდა, უდიდესი წარმატება მოჰყვა. როგორც უკრაინული პრესა იუწყებოდა, უკრაინის ეროვნულ სამხატვრო მუზეუმის სალაროებთან უწყვეტი რიგები იდგა. ექსპოზიცია 100 ათასზე მეტმა დამთვალიერებელმა ნახა. გამოფენას ახლდა სამენოვანი (ქართულ, უკრაინულ და ინგლისურ ენებზე), მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე დამზადებული კატალოგი.

თბილისში ნიკო ფიროსმანის გამოფენა ივლისის დასაწყისში გაიხსნება.

*ინტერპრესნიუსი*




## "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

2006 წლის 16 მაისიდან 23 მაისამდე ქ. თბილისში, გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:
- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)
- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06, 893 65 38 39

# სურვილებიდან შემოქმედებამდე

მზევინარ ხუციშვილი

ქეთევან კალმახელიძემ საკუთარი ნიჭის აღმოჩენა და სურვილების ასრულება სკოლის დამთავრების შემდეგ დაიწყო. როგორც თავად აღნიშნა, "ეს უცბად მოხდა". პირველივე წელს სამხატვრო აკადემიაში ჩააბარა მოდელირების ფაკულტეტზე. მუშაობა მხატვრის სახლში გააგრძელა, ფერწერის შემოქმედებით სახელოსნოში, სადაც პერსონალური გამოფენა უნდა გამართულიყო, მაგრამ მუშაობა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურმა ვითარებამ შეაწყვეტინა. დიდი ინტერვალის მიუხედავად, იმედი არ დაკარგა, მუშაობა გააგრძელა და მცირე დროში პირველი პერსონალური გამოფენა მოაწყო "მერანში". შემდეგი გამოფენა საჯარო ბიბლიოთეკაში მოაწყო, რამდენიმე - "შერატონ მეტეხი პალასში". 13 ივნისს კი საზოგადოება გალერეა "ვერნისაჟში" მიიწვია, სადაც მისი პერსონალური გამოფენა გაიხსნა. გამოფენაზე ფერწერული და გრაფიკული, ძველი და ახალი ნამუშევრები წარმოადგინა.

**- გამოფენებს შორის დიდი ინტერვალებია...**

- გარდა იმისა, რომ ვხატავ, კოლექციონერიც ვარ. ცოტა ხმამაღალი ნათქვამია, მაგრამ მიყვარს და ვაგროვებ მხატვრების ნამუშევრებს.

**- თქვით, რომ მხატვრობა უცბად დაიწყეთ.**

- ბავშვობაში მუსიკა მიტაცებდა. ხატვა უცბად დავიწყე, თუმცა, სულ მეგონა, რომ აუცილებლად მხატვარი ვიქნებოდი. ამაზე, რა თქმა უნდა, უნდა, ბაბუის, ანტონ კალმახელიძის შემოქმედებამაც იქონია გავლენა. თუმცა, ის გამოგონებებზე მუშაობდა. მამასაც ძალიან უყვარდა ხელოვნება. ქანდაკებაზე მუშაობდა.

**- თემატიკას როგორ ირჩევთ?**

- ჩემი ნამუშევრები ასოციაციურად ძირითადად ჩემს ყოველდღიურობას ასახავს. მუშაობის პროცესში კი ალბათ ფანტაზიაც ემატება.

**- ფერებით თუ ვიმსჯელებთ, მაინცდამაინც სენტიმენტალური არ უნდა იყოს თქვენი ცხოვრება.**

- ვცდილობ ნამუშევრებში დადებითი ემოცია ჩავდო და არა დეპრესიული. მაქვს, ასე ვთქვათ, ეიფორიული პერიოდები, მაგრამ, როდესაც ვმუშაობ, სრულიად განმუხტული ვარ.

**- თქვენი ნამუშევრებიდან გამორჩეულად თუ გიყვართ რომელიმე?**

- ალბათ, პირველი ნამუშევრები.

**- პირველად რა შექმენით?**

- ღვთისმშობლის ხატიდან გადავიღე ასლი.

გამოფენაზე მყოფმა მხატვრებმა ქეთევან კალმახელიძის ნამუშევრები დადებითად შეაფასეს. მათ შორის იყო ბატონი შალვა მატუაშვილიც.

**- თქვენ დიდი ხნის ურთიერთობა გაკავშირებთ, როგორ აფასებთ მის შემოქმედებას?**

- ის ისეთ ასაკშია, უფრო ჩამოყალიბებული კონცეფცია უნდა ჰქონდეს. შეიძლება აქვს კიდეც. ამას მის დეკორატიულ კონცეფციას დავარქმევდი. მე ის მახსოვს ჯერ კიდევ მხატვართა შემოქმედებითი სახელოსნოდან. თუ გავითვალისწინებთ, რომ ფერწერის სკოლა არ გაუვლია, რაც ძალიან აუცილებელია იმისთვის, რომ ხელობა იცოდე, სერიოზული ნაბიჯია. ნიჭიერი ადამიანია, მაგრამ მე მუდამ ვამბობ, რომ მხოლოდ ნიჭი არ არის საკმარისი, დიდი შრომაა საჭირო. მჯერა, რომ უფრო ინტენსიურად იმუშავებს და კიდევ უფრო სერიოზულ ნამუშევრებს შემოგვთავაზებს.

გამოფენა "ვერნისაჟში" 24 ივნისამდე გაგრძელდება.




## TV5MONDE

**15 ივნისი**

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 17.15, 20.00, 00.00,** 00.45(შვეიცარია), 03.00(აფრიკა), **04.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** მაიმუნის ნიშნის ქვეშ. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **10.30** ბიგუდი. სერიალი. **12.15** მაიმუნის ნიშნის ქვეშ. დოკ. ფილმი. **14.05** შავი ოქროს ეპოპეა. დოკ.ფილმი. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.25** ამღვრეული წყალი. 1/2 ტელესერიალი. **18.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** არტ-რეპორტაჟი. **20.30** ცხოვრება დაბრუნების შემდეგ. მხ ფილმი. რეჟისორი დანიელ ჟანო. 2004. **23.00** ნოსტალგია. მხ ფილმი. რეჟისორი ბერტრან ტავერნიე. 1990. **01.20** გადაცემა: კულტურები და დამოკიდებულებები. **04.40** არტ-რეპორტაჟი.

## გამაჯანსაღებელი ცენტრი ნაუტილუსი



გთავაზობთ:
- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge







## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:
ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.
გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:
ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

24 საათი B

# ბიზნესი

© გაზეთი 24 საათი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



### General Motors პეტერბურგში Chevrolet Captiva და C-კლასის მოდელებს გამოუშვებს

კომპანია General Motors სანკტ-პეტერბურგში Chevrolet Captiva-ს და C-კლასის ტიპის ახალ მოდელებს გამოუშვებს. ქარხანა წელიწადში 25 ათას ავტომობილს ააწყობს. კომპანიის წარმომადგენლების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, General Motors-ის რუსული ფილიალი წარმოების გაფართოებას 2008 წლისთვის გეგმავს.

კომპანიის ქარხანა სანკტ-პეტერბურგში, პუშკინის ადმინისტრაციულ რაიონშია განთავსებული. პროექტის საინვესტიციო მოცულობა 115 მილიონ დოლარს შეადგენს. გუშინ პეტერბურგში ახალი ქარხნის მშენებლობის ცერემონია ოფიციალურად გაიხსნა.

### Mercedes S-Class ამ კლასში ყველაზე პოპულარულ მოდელად დასახელდა

Mercedes S-Class-ის ახალი თაობის მოდელები სედანის წარმოდგენილ მოდელებში ყველაზე პოპულარულ ავტომობილად დასახელდა. ამ ავტომობილის ბაზარზე გამოსვლიდან სულ რაღაც რვა თვე გავიდა და კომპანიამ დღეისათვის უკვე 50 ათასი ავტომობილის რეალიზაცია მოახერხა. სპეციალისტების აზრით, ამ მოდელებზე ასეთი მოთხოვნილება მისი თანამედროვე დიზაინის, ტექნიკური ნოვაციებისა და უსაფრთხოების დაცვის სისტემებით არის განპირობებული. აღსანიშნავია, რომ პირველი ხუთი თვის განმავლობაში, S-Class-მა გერმანიაში BMW7-Series-სა და Audi A8-ს კონკურენტულ ავტომობილებსაც კი აჯობა. ანალოგიური სიტუაციაა მოსალოდნელი ჩრდილოეთ ამერიკის ბაზარზეც, სადაც აღნიშნული მოდელების გაყიდვა 2006 წლის თებერვალში დაიწყო. Mercedes S-Class-ის დიზელის ავტომობილი მსოფლიოში დიზელზე მომუშავე სედანებს შორის ყველაზე გაყიდვადი და პოპულარული მოდელი გახდა. მას Mercedes S 5 მოდელი მოყვება, რომელზეც ამ კომპანიის საერთო გაყიდვების 40% მოდის.




### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3214 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9889 |
| 1 | არაბული დირხამი | AED | 0,4857 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7840 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8321 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1479 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,3012 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3113 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2446 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4347 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3431 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1129 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1560 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2874 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1949 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2411 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,3976 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,6199 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,2086 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,5274 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3353 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2880 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5573 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,5993 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0659 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1184 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4276 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5506 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4589 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,5662 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8307 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,1698 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1496 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4402 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2427 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4465 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0792 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2228 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2298 |




# მყარი სასარგებლო წიაღისეული გაუმჭვირვალე სახელმწიფო ქონება

მარიამ ჭაჭვაძე

*რამდენად რაციონალურად და ეფექტურად ხდება სახელმწიფო ქონების - მყარი სასარგებლო წიაღისეულის გამოყენება? რა რაოდენობის ოქრო, სპილენძი და მანგანუმი მოიპოვება დღეს ქვეყანაში? ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა ეკონომიკურ ექსპერტთა ერთ ნაწილს ძალიან უჭირს. მიზეზი მარტივია - ამასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების უმრავლესობა "დახურულია", ნაწილი კი არასრული.*

**ჭიათურმანგანუმის წარმოება უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა. შარშან 195 ათასი ტონა, 2004 წელს კი მხოლოდ 219 ათასი ტონა მანგანუმი აწარმოეს, რაც სამჯერ ნაკლებია წინა წლების წარმოების მოცულობასთან შედარებით. მიმდინარე წლის ხუთ თვეში "ჭიათურმანგანუმში" 95 ათას ტონამდე მადანია გადამუშავებული. მისი წლიური საშუალო წარმადობა 200 ათას ტონას აღწევს.**



B2

# საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა ბიუჯეტს ჯერ კიდევ მძიმე ტვირთად აწევს

დიანა ჩაჩუა

*სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ შეუსრულებელი ვალდებულებების გამო საქართველოს უკანასკნელი, დაახლოებით, 10 წლის განმავლობაში 20 მილიონ ლარზე მეტი დავალიანება დაუგროვდა. საწევროს გადაუხდელობა არაპრესტიჟულობის გარდა ქვეყანას, ამ ორგანიზაციებიდან გამორიცხვის რეალურ საშიშროებას უქმნის. ალბათ განმარტება ზედმეტია, თუ რას შეიძლება ნიშნავდეს საქართველოს დათხოვნა გაეროდან, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციიდან თუ ევროსაბჭოდან. არადა ამის რეალური საფრთხე ქვეყანას სერიოზულად ემუქრებოდა.თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რევოლუციის შემდეგ მიმდინარე და ძველი ვალების გასასტუმრებლად ბიუჯეტიდან სულ უფრო და უფრო მეტი თანხა გამოიყოფა.*

**საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის და ამ ორგანიზაციებში გაწევრიანების ხარჯები**

ათას ლარებში

| 2004 წელი | | მ.შ. დავალიანება | | 2005 წელი | | მ.შ. დავალიანება | | 2006 წელი 14.06.06-ის მდგომარეობით | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გეგმა | ხარჯი | გეგმა | ხარჯი | გეგმა | ხარჯი | გეგმა | ხარჯი | 6 თვის გეგმა | ხარჯი |
| 3327.0 | 3327.0 | 1356.0 | 1356.0 | 4300.0 | 4300.0 | - | - | 6055.0 | 6055.0 |

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველო ზედიზედ ძალიან ბევრ საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრიანდა. საერთაშორისო სტრუქტურებისადმი ასეთი გაცხოველებული ლტოლვა იმ მომენტისთვის გასაგები იყო. საქართველოს გაწევრინება ამა თუ იმ ორგანიზაციაში იმ დროისათვის, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხაზგასმას ნიშნავდა. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, მაშინ ამ გადაწყვეტილებების მიღება, ხშირ შემთხვევაში, ნაჩქარევად და გარკვეულ უწყებათა ინტერესების დონეზე ხდებოდა.

ზუსტ ნუსხას, თუ რამდენ საერთაშორისო ორგანიზაციაშია საქართველო გაწევრიანებული, საგარეო საქმეთა სამინისტრო იძლევა. კერძოდ, ოფიციალური ინფორმაციით, საქართველო დაახლოებით სამოცი საერთაშორისო ორგანიზაციისა თუ კონვენციის სრულუფლებიანი წევრია.

რიგ საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობის მართლზომიერებაზე დიდი ხნის წინ ალაპარაკდნენ. კერძოდ იმაზე, რომ მთავრობამ დროულად უნდა მოახდინოს იმ საერთაშორისო ორგანიზაციების ნუსხის რევიზია, სადაც საქართველო არის გაწევრიანებული.

არა მარტო საზოგადოებისთვის, ხშირად სახელმწიფო სტრუქტურებისთვისაც კი უცნობია ზოგიერთი იმ საერთაშორისო ორგანიზაციის შესახებ, რომლის წევრადაც საქართველოს ჯერ კიდევ მოიხსენიებენ. ასე მაგალითად: ალბათ ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ საქართველო უკვე რამდენიმე წელია ზონდამშლელი ნივთიერებების მონრეალის კონვენციის სატრასტო ფონდის წევრია, რომლის მიმართაც ქვეყანას 13 ათას 594 დოლარიანი დავალიანება გააჩნია.

გაგრძელება B4 გვერდზე

# მიმზიდველი უნგრული კაპიტალი

B3

გოჩა ქიმუცაძე

*უცხოურ უძრავ ქონებაში კაპიტალდაბანდების მსურველებმა არავითარ შემთხვევაში უნგრეთი არ უნდა დაივიწყონ. ევროპის ცენტრში მდებარე პოსტსოციალისტური ბანაკის ეს ყოფილი ფორტ-პოსტი დღეს აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთი ყველაზე დინამიურად განვითარებადი ქვეყანაა.*






# მყარი სასარგებლო წიაღისეული - გაუმჭვირვალე სახელმწიფო ქონება

პირველი გვერდიდან

საქართველოში მოპოვებული მყარი სასარგებლო წიაღისეულის ჩამონათვალი ძალიან დიდია, თუმცა აქცენტი ყოველთვის მხოლოდ სამ მათგანზე კეთდებოდა: სპილენძი, ოქრო და მანგანუმი. პირველსა და მეორეს ძირითადად სს "მადნეული" მოიპოვებს და შესაბამისად მის მიერვე ხდება აღნიშნული ბუნებრივი რესურსის განკარგვა, ხოლო მანგანუმის ძირითად საბადოებს სს "ჭიათურმანგანუმი" აკონტროლებს.

რამდენად ეფექტურად ხდება ამ სახელმწიფო რესურსების ათვისება და არის თუ არა საზოგადოება ჩართული სახელმწიფო ქონების მონიტორინგის პროცესში? ამ კითხვით "24 საათი" არასამთავრობოთა კოალიციის "საჯარო ფინანსების გამჭირვალობისთვის" წევრს დავით ნარმანიას მიმართა: **"ობიექტური ანალიზის გაკეთება დღეს პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან არ არსებობს ანალიზისთვის საჭირო სტატისტიკური ინფორმაცია. უფრო ზუსტად ის არსებობს, მაგრამ საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი არ არის".**

ამ ინფორმაციის ხელმიუწვდომლობას ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობა "უზრუნველყოფს" - ძირითადად "სტატისტიკის შესახებ კანონი" და "საგადასახადო კოდექსი". ამ შემთხვევაში სახელმწიფოს მხრიდან არგუმენტი ასეთია - ინფორმაცია კომპანიის კომერციული საქმიანობის შესახებ საჯარო განხილვას არ ექვემდებარება.

თავისთავად ის ფაქტი, რომ ნებისმიერი კომპანიის ნებისმიერი კომერციული ინფორმაცია, მათ შორის ამა თუ იმ პროდუქტის წარმოების მოცულობის შესახებ, სხვებისთვის ხელმიუწვდომელი რომ უნდა იყოს, ამაში უცნაური და გასაკვირვი არაფერია. თუმცა ამ შემთხვევაში საუბარი იმ ბუნებრივ რესურსებს ეხება, რომლის მესაკუთრე ჯერ კიდევ სახელმწიფოა.

"24 საათის" მიერ მოთხოვნილ ინფორმაციაზე, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი პასუხობს, რომ საქართველოში მოპოვებული ოქროსა და სპილენძის მოცულობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება არ შეიძლება.

სამაგიეროდ იოლად ხელმისაწვდომია ინფორმაცია, რომელიც აღნიშნული პროდუქციის ექსპორტსა და იმპორტს ეხება. (იხ. ცხრილი)

ექსპერტი დავით ნარმანია ამბობს, რომ აუცილებელია ამ კუთხით კანონმდებლობაში გარკვეული ცვლილებების შეტანა და, წელიწადში სულ მცირე ერთხელ მაინც, ხსენებული ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნება.

რთული აღმოჩნდა იმ ინფორმაციის მოპოვებაც თუ რა შესამოსავალს იღებს სახელმწიფო კერძოდ კი ბიუჯეტი ამ ქონებიდან, რომლის დიდი ნაწილი, როგორც უკვე გითხარით კერძო კომპანიების სარგებლობაშია გადაცემული.

ბუნებრივი რესურსების, მათ შორის მყარი წიაღისეულის მოპოვებიდან მთავრობა ორი ძირითადი სახის შემოსავალს იღებს: ერთი ეს არის მოგების გადასახადი, სხვა გადასახდებთან ერთად რომლებიც წიაღისეულის მომპოვებელმა კომპანიამ უნდა გადაუხადოს სახელმწიფოს და შემოსავლების მეორე კატეგორიაა სპეციალური მოსაკრებელი, რომელიც კომპანიებს ეკისრებათ ბუნებრივი რესურსების გამოყენებისათვის.

ცნობისათვის: მოსაკრებლების ოდენობა განისაზღვრება 2004 წელს მიღებული კანონით "ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ". მაგალითად, კომპანიამ ბიუჯეტში უნდა გადაიხადოს 0.12 ლარი ყოველ ტონა მანგანუმზე და 0.9 ლარი ყოველ მოპოვებულ გრამ ოქროზე.

ქვემოთ გთავაზობთ "24 საათის" მიერ მოპოვებულ იმ არასრულ ინფორმაციას, რომელიც ქვეყანაში მოპოვებულ და წარმოებულ სპილენძის, ოქროსა და მანგანუმს ეხება.



ექსპორტი

| დასახელება | 2003 | | 2004 | | 2005 | | 2006 4 თვე | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ათასი აშშ დოლარი | ტონა | ათასი აშშ დოლარი | ტონა | ათასი აშშ დოლარი | ტონა | ათასი აშშ დოლარი | ტონა |
| მადნები და კონცენტრატები მანგანუმის | 8,258 | 126,328 | 6,647 | 88,172 | 1,412 | 19,863 | 428 | 5,432 |
| მადნები და კონცენტრატები სპილენძის | 23,439 | 72,170 | 31,825 | 61,870 | 36,386 | 64,226 | 13,578 | 17,800 |
| ოქრო დაუმუშავებელი ან ნახევრადდამუშავებული, ან ფხვნილის სახით | 20,326 | 3 | 18,830 | 3 | 34,743 | 5 | 14,383 | 2 |

იმპორტი

| დასახელება | 2003 | | 2004 | | 2005 | | 2006 4 თვე | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ათასი აშშ დოლარი | ტონა | ათასი აშშ დოლარი | ტონა | ათასი აშშ დოლარი | ტონა | ათასი აშშ დოლარი | ტონა |
| მადნები და მანგანუმის კონცენტრატები | 328 | 4,326 | 1,019 | 13,224 | - | - | 1,422 | 11,892 |

## მანგანუმის წარმოება ქვეყანაში სამჯერ შემცირდა

როგორც ამბობენ, ევროპის მასშტაბით საქართველოს გააჩნია მანგანუმის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მარაგი. წლების განმავლობაში მანგანუმის ძირითადი ნაწილის მოპოვება ჭიათურაში ხდება.

ცალკეული ექსპერტების შეფასებით, საქართველო სავარაუდოდ 215 მილიონ ტონა მანგანუმს ფლობს. "ჭიათურმანგანუმს", რომელიც ჯერ კიდევ სახელმწიფო საკუთრებაშია, 6 მოქმედი საბადო გააჩნია. კომპანია 1920 წელს დაარსდა და ფოლადის საწარმოებს ამარაგებდა მთელი საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის მასშტაბით. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში არსებობს მანგანუმის მნიშვნელოვანი მარაგი, ჭიათურმანგანუმის წარმოება უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა. შარშან 195 ათასი ტონა, 2004 წელს კი მხოლოდ 219 ათასი ტონა მანგანუმი აწარმოეს, რაც სამჯერ ნაკლებია წინა წლების წარმოების მოცულობასთან შედარებით. მიმდინარე წლის ხუთ თვეში "ჭიათურმანგანუმში" 95 ათას ტონამდე მადანია გადამუშავებული. მისი წლიური საშუალო წარმადობა 200 ათასი ტონას აღწევს.

სახელმწიფოს წილი "ჭიათურმანგანუმში" 85 პროცენტია, 11 პროცენტი ამერიკული კომპანია "ინდუსტრია კაპიტალის" საკუთრებაშია, ხოლო დანარჩენი 4 პროცენტი საწარმოს კოლექტივის საკუთრებაა.

"ჭიათურმანგანუმი" 2003 წლის შემდეგ ფაქტობრივად ექსპორტს აღარ აწარმოებს, რადგან როგორც საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ იანდი შეყილაძემ "24 საათს" განუცხადა "ჭიათურმანგანუმი" ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნილების დაკმაყოფილებასაც ძლივს ახერხებს. საწარმოს პროდუქციის ძირითადი მომხმარებელი ზესტაფონის ფეროა.

1993 წლიდან მოყოლებული, ქარხნის პრივატიზაციის ყველა მცდელობა წარუმატებელი იყო. ბოლოს, გასული წლის გაზაფხულზე, ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ "ჭიათურმანგანუმი" "ვარციხეჰესტიან" ერთად კონკურსში გამარჯვებულ რუსულ კომპანიას, რუსეთის ყველაზე დიდი მასშტაბის ფოლადის მწარმოებელს, "ევრაზია ჰოლინგს" გადასცა. რუსებს ბიუჯეტში 132 მილიონი ლარი უნდა ჩაერიცხათ, თუმცა მოგვიანებით რუსულმა კომპანიამ გადაწყვეტილება იმ საბაბით შეცვალა, რომ თითქოს მსოფლიოში მანგანუმის ფასი დაეცა და ახალი შენაძენი აღარ გაამართლებდა "ჭიათურმანგანუმის" ქარხნის აღდგენისთვის საჭირო დანახარჯებს.

პრივატიზაციის პროცესის დაწყებამდე, 2004 წელს ჭიათურმანგანუმის დირექციამ სასამართლოში საწარმოს გაკოტრებასთან დაკავშირებით განაცხადი შეიტანა. სახელმწიფოს მიეცა საშუალება, გაეყიდა აქტივები და მიღებული თანხით კრედიტორული დავალიანება დაეფარა: ეს მოიცავდა როგორც სახელფასო ისე სახელმწიფოს წინაშე არსებულ დავალიანებას. დღესათვის საწარმოს დავალიანება 72 მილიონ ლარამდეა ასული, საიდანაც 42 მილიონი ბიუჯეტის მიმართ დაგროვილი დავალიანება. დანარჩენი გახლავთ სხვადასხვა კრედიტორების მიმართ დაგროვილი ვალი, რომლის გასტუმრებას საწარმო ვერ ახერხებს. "ჭიათურმანგანუმს" 3 მილიონ ლარამდე დებიტორული დავალიანებაც გააჩნდა, თუმცა როგორც დირექციაში ამბობენ, ეს ვალი უიმედო იყო და ცოტა ხნის წინ ჩამოწერეს კიდეც.

ეკონომიკური განვითარების სამინისტრო "ჭიათურმანგანუმს" მორიგი პრივატიზაციისთვის ამზადებს. კონკურსის ზუსტი თარიღი და საწარმოს სავარაუდო ფასი ჯერჯერობით უცნობია.

როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, ამჟამად საწარმოთი დაინტერესებულები არიან ბრიტანული, ყაზახური და ავსტრალიური კომპანიები.

## ოქროსა და სპილენძის დიდი ნაწილი ექსპორტზე გადის

უკანასკნელი რამდენიმე წელია საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქციის ჩამონათვალში გაჩნდა სპილენძის მადანი და კონცენტრატები, ასევე დაუმუშავებელი და ნახევარდ დამუშავებული ოქრო. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ახალო მომავალში მოსალოდნელია ამ პროდუქტის ექსპორტის ზრდა.

სპილენძისა და ოქროს ნედლეულის ძირითადი მომპოვებელი საწარმო სს "მადნეულია", რომელიც წლების განმავლობაში ამარაგებდა ოქროსა და სპილენძის შემადნობელ საწარმოებს. "მადნეულის" საკონტროლო პაკეტს გასული წლის შემოდგომამდე სახელმწიფო ფლობდა. 1997 წელს ქართულ-ავსტრალიურმა ერთობლივმა საწარმომ "კვარციტმა" მადნეულში ოქროს ამომკრეფი ფაბრიკა ააგო. კომპანიის საშუალო წლიური წარმოების სიმძლავრე დაახლოებით 2 ტონა ოქროა. (სამწუხაროდ, გადაუმოწმებელი მონაცემი). 2004 წლისთვის კომპანიის მთლიანი გაყიდვები დაახლოებით 60 მილიონი ლარი იყო.

2005 წლის ნოემბერში "მადნეული" ბრიტანეთში რეგისტრირებულმა, რუსული "პრომინვესტორის" შვილობილმა კომპანიამ "სტენთონ ექუითის კორპორეიშენმა" შეიძინა. იმ ფაქტმა, რომ ამ უკანასკნელი კომპანიის შესახებ ინტერნეტში არც მაშინ და არც დღეს ინფორმაცია არ იძებნება, საზოგადოებაში ლოგიკურად გააჩინა ეჭვი, რომ "სტენთონ ექუითის კორპორეიშენი" რუსულმა კომპანიამ "მადნეულის" პრივატიზაციამდე ცოტა ხნით ადრე, სპეციალურად ამ საწარმოს შესაძენად შექმნა. სახელდახელოდ შემნილმა კომპანიამ "მადნეულის" აქციების 97.25 პროცენტში სულ 51 მილიონ 100 ათასი აშშ დოლრი გადაიხადა, საიდანაც 16 მილიონი კომპანიის კრედიტორებისთვის იყო განკუთვნილი.

რამდენიმე კვირაში "მადნეულმა" ავსტრალიელებისგან "კვარციტის" მათივე წილი იყიდა, რის შემდეგაც "კვარციტის" 100 პროცენტის მფლობელი "სტენთონ ექუითის კორპორეიშენი" გახდა.

"მადნეულის" წარმოება მისი პრივატიზაციის მერე დაახლოებით 20 პროცენტით გაიზარდა. ამჟამად თვეში "მადნეულის" მიერ წარმოებული პროდუქტის მოცულობა 5000 ტონას აღწევს, ხოლო შარშან იგივე მონაცემი 3000-3200 ტონას არ აღემატებოდა.

მიმდინარე წლის 5 თვეში "მადნეულმა" დაახლოებით 22 ათასი ტონა პროდუქტი აწარმოა, რომელიც მთლიანად ექსპორტზე გაიტანეს.

იმის ზუსტად დადგენა, თუ კონკრეტულად რამდენი ტონა სპილენძი და ოქრო აწარმოა "მადნეულმა", ფაქტობრივად შეუძლებელია.

შეგახსენებთ, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში სს "მადნეული" არაერთ სკანდალში იყო გახვეული. ძირითადად სკანდალები საბიუჯეტო თანხების გაფლანგვას ეხებოდა. 2004 წელს შვეიცარიაში დააკავეს კომპანიის ექსპრეზიდენტი, რომელსაც ბრალად კომპანიის თანხების არასწორი განკარგვა ედებოდა.

## საქართველომ სოფლის მეურნეობის განვითარების კონცეფცია შეიმუშავა

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშავა კონცეფცია, რომელიც 2009 წლამდე უნდა განხორციელდეს, რაც ქვეყანაში სოფლის მეურნეობის აღორძინებას განაპირობებს.

2006-09 წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში სახელმწიფო ბიუჯეტიდან და სხვა წყაროებიდან იგეგმება 320 მილიონი ლარის, დაახლოებით 177 მილიონი დოლარის ინვესტიციის ჩადება.

ძირითადი ამოცანაა საქართველოს სასოფლო სამეურნეო პოტენციალის მთლიანად გამოყენება. პროდუქციის ხარისხის ამაღლება და ამასთან მისი კონკურენტუნარიანობის მატება.

იგეგმება ასევე სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქცია, ტექნიკის განახლება და გადამამუშავებელი საწარმოების განვითარება. კონცეფცია ასევე ითვალისწინებს, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების გაზრდას, საექსპორტო პოტენციალის მატებას და პოზიციების გამყარებას ჩვეულ და ახალ ბაზრებზე. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ქართული ღვინო რუსულ ბაზარზე დაუბრკოლებლად მოხვდება

ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა სანკტ-პეტერბურგში სამშაბათს, თავის ქართველ კოლეგა მიხეილ სააკაშვილთან გამართული შეხვედრის შემდეგ, პრესკონფერენციაზე განაცხადა.რუსულ ბაზარზე წარმოქმნილი ქართული ღვინის პრობლემასთან დაკავშირებით პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ეს არა მარტო ქართულ ღვინოს, არამედ სხვა პროდუქციასაც ეხება.

პუტინმა კმაყოფილებით აღნიშნა ასევე ის ღონისძიებები, რომლებიც საქართველოს პრეზიდენტის უშუალო ძალისხმევით ფალსიფიცირებული პროდუქციის წინააღმდეგ გატარდა.

"თავის მხრივ, ჩვენ მივიღებთ ასეთივე ზომებს, რადგან რუსეთში განსაკუთრებით მწვავედ დგას ეს პრობლემა - პროდუქციის 60 % ფალსიფიცირებულია", - დასძინა პრეზიდენტმა.

პუტინმა გამოთქვა რწმენა, რომ თუ ამ პრობლემას საქართველოში მოევლება, ქართულ ღვინოს რუსეთში დაბრკოლებები არ შეექმნება. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## რუსეთი საქართველოს მთავარ ეკონომიკურ პარტნიორად დარჩება

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იმედოვნებს, რომ რუსეთი საქართველოს მთავარ სავაჭრო-ეკონომიკურ პარტნიორად დარჩება - რუსი კოლეგა კი ირწმუნება, რომ მისი ქვეყანა ასეთად რჩება.

ამის შესახებ მიხეილ სააკაშვილმა და ვლადიმირ პუტინმა სამშაბათს სანკტ-პეტერბურგში გამართული მოლაპარაკებების შემდეგ, პრესკონფერენციაზე განაცხადეს.

პუტინის ინფორმაციით, რუსეთის წილი საქართველოსთან ტვირთბრუნვაში 16 %-ს შეადგენს, თუმცა ეს სხვა ქვეყნებთან შედარებით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

ამასთან, რუსეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მისი ქვეყანა ყველაზე მსხვილი ინვესტორია საქართველოში. მისი თქმით, რუსული ინვესტიციების მოცულობა საქართველოს ეკონომიკაში გასულ წელს ხუთჯერ გაიზარდა.

"ეს მაჩვენებელი არცთუ მაღალია, თუმცა ზრდის ტემპები შტამბეჭდავია", - დასძინა პუტინმა.

თავის მხრივ, მიხეილ სააკაშვილმა კოლეგის საპასუხოდ გამოთქვა იმედი, რომ ეს სიტუაცია ორი ქვეყნის ურთიერთობებში შენარჩუნდება. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## რიგაში ქართული პროდუქციის გამოფენა-პრეზენტაცია მოეწყობა

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებით, რიგაში ქართული პროდუქციის გამოფენა-პრეზენტაცია მოეწყობა. ქართული პროდუქციის გამოფენა-პრეზენტაცია 28-29 ივნისს, რიგაში გაიმართება, სადაც მონაწილეობას 15-მდე ქართული კომპანია მიიღებს.

გამოფენაზე ძირითადად წარმოდგენილი იქნება ქართული ღვინის კომპანიები, მათ შორის "თბილღვინო", "ვაზიანი", "თელავის ღვინის მარანი", "თელიანი ველი", "თბილისის ღვინის მარანი", "უშბა დისტილერი" და "კახეთის ტრადიციული მეღვინეობა".

ასევე წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა სექტორში მომუშავე კომპანიები, როგორიცაა "მინისა და მინერალური წყლები", "დენდრო", PSP, "ლუქს-2004" და "მადნეული".

როგორც საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატაში აცხადებენ, ღონისძიებაზე კომპანიებს თავიანთი პროდუქციის პრეზენტაციის გარდა, პოტენციურ პარტნიორებთან შეხვედრის საშუალება ექნებათ.

დელეგაციას სავაჭრო პალატის თავმჯდომარე ჯემალ ინაიშვილი უხელმძღვანელებს. **ინტერპრესნიუსი**

# უკრაინელი ჟურნალისტების პრესტური ბორჯომში

2006 წლის 7 მაისიდან, ანუ მას შემდეგ რაც რუსეთმა ქართულ მინერალურ წყალზე ემბარგო დააწესა, უკრაინა "ბორჯომის" გაყიდვების მოცულობის მიხედვით ნომერ პირველი ბაზარი გახდა.

"ჩვენთვის უკრაინის ბაზარი სტრატეგიულად ძალიან მნიშვნელოვანი და მზარდია. 2005 წელს "ბორჯომის" გაყიდვები 2004 წელთან შედარებით 75%-ით გაიზარდა. რაც შეეხება დღევანდელ მონაცემებს, გასულ წელთან შედარებით უკვე 50%-იანი ზრდაა დაფიქსირებული. ეს საკმაოდ საიმედო მაჩვენებლებია"- განაცხადა GG&MW Co.N.V.-ის გენერალურმა დირექტორმა ზაზა კიკვაძემ.

გუშინ თბილისში ჩამოვიდა უკრაინელი ჟურნალისტების ჯგუფი, რომელთაც GG&MW Co.N.V.- ი უმასპინძლებს.

ჟურნალისტთა შორის არიან წამყვანი ტელევიზიების 1+1 და მე-5 არხის საინფორმაციო და ანალიტიკური პროგრამების გადამღები ჯგუფები. ასევე ჟურნალისტები ისეთი გამოცემებიდან, როგორიცაა "Зеркало Недели" "Корреспондент" "Економические Известия" და სხვა.

დაგეგმილია ერთდღიანი ტური ბორჯომში სადაც ჟურნალისტებს ექნებათ საშუალება საკუთარი თვალით ნახონ "ბორჯომის" წარმოქმნის ადგილი, ჭაბურღილები და ქარხნები. გაეცნონ "ბორჯომის" წარმოქმნის ისტორიას, დაათვალიერონ წარმოება და დაათვალიერონ უახლესი ტექნოლოგიები, რომელთა მეშვეობით ხდება ამ უნიკალური წარმოშობის წყლის ჩამოსხმა. ჟურნალისტები გაეცნობიან ხარისხის მაჩვენებლებს და დაათვალიერებენ ლაბორატორიებს, სადაც GG&MW Co.N.V.- ის წამყვანი სპეციალისტები ყოველ საათში ამოწმებენ ქართული ნაციონალური პროდუქტის ხარისხსა და გემოს.

უკრაინის წამყვანი ჟურნალისტები გაესაუბრებიან GG&MW Co.N.V.- ის მენეჯერებს, დაესწრებიან პრეზენტაციას და პრესკონფერენციას, რომელიც 15-ში დღის ბოლოს ჩატარდება.

მათ კითხვებს უპასუხებს GG&MW Co.N.V -ის ვიცე-პრეზიდენტი ლევან ბაღდავაძე.

საქართველოში უკრაინელი ჟურნალისტები ორ დღეს დარჩებიან.

*GG&MW Co.N.V.*
*საზ. ურთიერთობის სამსახური*

## ნავთობის რესურსებით სარგებლობის ლიცენზის მფლობელის ვინაობა ხვალ გაირკვევა

"ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს" მიერ გამოცხადებულ ტენდერში მონაწილე კომპანიათა სატენდერო წინადადებების პაკეტი ხვალ გაიხსნება, რომელზეც გაზისა და ნავთობის რესურსებით სარგებლობის ლიცენზია შავი ზღვის შელფზე მდებარე კიდევ ერთ მე-2 დ ბლოკზე გაიცემა.

თავის დროზე, "ანადარკომ" ინტერესი სალიცენზიო ბლოკებზეც გამოხატა. თუმცა, ამ დროისთვის უცნობია მიიღებს თუ არა მონაწილეობას ტენდერში.

შავი ზღვის შელფზე საქართველოს აკვატორიაში ნავთობის მოპოვებაში სავარაუდოდ 2 მილიარდი დოლარის ინვესტირება იგეგმება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ოქროს ფასი თბილისშიც დაეცა

უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში საერთაშორისო სასაქონლო ბირჟებზე ოქროს ფასმა ყველაზე დიდი დაცემა განიცადა. სამშაბათს საღამოსთვის ლონდონის ოქროს ბირჟაზე ერთი უნცია ოქრო 566,8 დოლარი ღირდა.

სხვაობამ ოქრის ღირებულებას შორის 44,5 დოლარი შეადგინა. უკანასკნელად ოქროს ფასი 1991 წლის იანვარში დაეცა. მიმდინარე წლის 12 მაისს გამართულ ვაჭრობებზე ერთი უნცია ოქრო 732 დოლარი ღირდა. ექსპერტების აზრით, ოქროს ფასის ასეთი მკვეთრი ცვალებადობა საინვესტიციო ფონდების ოპერაციებს უკავშირდება.

ეს ფონდები ოქროს შეძენაზე დადებული კონტრაქტების გაყიდვით ცდილობენ მიიღონ რაც შეიძლება მეტი ნაღდი ფული. ეს მათ საშიუალებას აძლევს საფონდო ბირჟებზე საწარმოთა აქციების გაუფასურების შედეგად მიყენებული ზარალი დაფარონ.

ოქროს გაუფასურების მეორე მიზეზად სხვა მეტალებზე ფასის ვარდნა ახელდება.

მაგალითად სპილენძის ფასი სამშაბათს 6,7 პროცენტით დაეცა (სპილენძი 770 დოლარი ღირდა). ლონდონის ძვირფასი მეტალებისA ბირჟაზე სამშაბათს საღამოს ერთი ტონა სპილენძი 570 აშშ დოლარი ღირდა.

იქროს ფასის დაცემამ საქართველოს ოქროს ბირჟაზეც გამოიწვია ცვლილებები. თბილისის ოქროს ბირჟის ექსპერტთა მონაცემებით, ამ დროისთვის 585 სინჯის ოქროს ფასია 21 ლარი. (ღირდა 25 ლარი), 958 სინჯის ე.წ. ბაჯაღლოს ფასმა 35-36 ლარიდან 32 ლარამდე დაიწია. რაც შეეხება ოქროს ნაკეთობებს - ფასების ცვლამიზერულია (დაახლოებით 1 ლარამდე). **ჯი-ეიჩ-ენი**

## აუქციონზე გატანილი საცხოვრებელი ბინები კრედიტორებმა შეიძინეს

იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის თბილისის ბიუროში 13 ივნისს გამართულ განმეორებით იძულებით აუქციონებზე ორი საცხოვრებელი ბინა გაიყიდა.

თბილისში, ჩიქვანი - ბალანჩივაძის ქ.N22-ში მდებარე ბინა, რომელიც აუდიტორის მიერ 60 ათას დოლარის ეკვივალენტ ლარად იყო შეფასებული, დასახელებულ ფასად კრედიტორმა შეიძინა. ბინა პირველ იძულებით აუქციონზე საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის მიერ 2006 წელს გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე იყო გამოტანილი.

უძრავი ქონება თექვსმეტსართულიანი სახლის ბოლო სართულზეა. ოროთახიანი ბინა გარემონტებულია. საერთო ფართი 97 კვ.მ. სანტექნიკა გამოცვლილია. აქვს ლოჯია.

ასევე კრედიტორმა შეიძინა განმეორებით საჯარო აუქციონზე გატანილი, თბილისში, დიღმის მასივის პირველ კვარტლში N2ბ კორპუსში მდებარე ბინა. მყიდველმა უძრავი ქონება აუდიტორის მიერ დადგენილ ფასად, 28 ათასი დოლარის ეკვივალენტ ლარად იყიდა. აუქციონის საფუძველი საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი იყო.

გაყიდული ბინა რვასართულიანი სახლის მე-6 სართულზეა. ოროთახიანი, საცხოვრებელი ფართი 30 კვ.მ. რკინის კარით, გაურემონტებელი. 13 ივნისს დანიშნული სხვა საჯარო აუქციონები მყიდველის გამოუცხადებლობის გამო გადაიდო. **ჯი-ეიჩ-ენი**

## კინოსტუდია 20 Th Century Fox ციფრულ ვიდეოებს გაყიდის

ონლაინ სერვისის CinemaNow-ს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ Fox Entertaiment Group-ის რჩეულ ფილმებსა და ცნობილ სატელევიზიო შოუებს გაყიდიან. მათ შორის კინოსტუდია 20th Century Fox-ის ფილმებიც შედის. კინოსტუდიებისგან რჩეული ფილმების გაყიდვა ოფიციალურად 2006 წლის 13 ივნისიდან დაიწყება. Fox Broadcasting Company-ის, მათ შორის FX, FUEL TV და Speed-ის სატელევიზიო პროექტების გაყიდვას Cinema Now 2006 წლის ივლისიდან დაიწყებს. ამ პროექტს მაისის ბოლოს კინოსტუდია Walt Disney-იც შეუერთდება. ის თავისი პროდუქციის ციფრულ ვერსიებს Cenema Now-ს საშუალებით გაავრცელებს. Cinema Now-ს ერთადერთ კონკურენტად ონლაინ სერვისი Movielink ითვლება. აღნიშნულ კომპანიასთან თანამშრომლობა Universal Pictures, Sony Pictures Entertainment, warner Bros, Metro-Goldwyn-Mayer-მა და Paramount Pictures-მა 2006 წლის აპრილში დაიწყო. შეგახსენებთ, რომ Fox Broadcasting Company და 20th Century Fox მედიაკორპორაცია News Corporation-ში შედის, რომელთაც ისეთი გაზეთები ეკუთვნის, როგორიცაა The Times, The Sun. New-York Post, Daily Telegraph და Sunday Times. ონლაინ-სერვის News Corporation-ის საბაზრო ღირებულება დღევანდელი მონაცემებით 60 მილიარდ დოლარს აღემატება.

## Bissol თავის მომხმარებლებს სუნამოებს სთავაზობს



Mobiado, ძვირადღირებული მობილური ტელეფონების მწარმოებელი კომპანია Bissol-თან მოლაპარაკებებს აწარმოებს. თანამშრომლობის ფარგლებში, ეს კომპანიები პრესტიჟული მობილური ტელეფონების მომხმარებლებისთვის პარფიუმერიულ პროდუქციას შექმნიან. ახალ პარფიუმერულ ნაწარმს Perfume No 919 for Men-ს დაარქმევენ. მისი სახაელწოდება კი ასე ჟღერს: "არომატი, რომელიც სპეციალურად ელიტარული მობილური ტელეფონების მოყვარულებისთვის იქმნება". პრეს-რელიზის ტექსტის თანახმად, Bissol-ისა და Mobiado-ს ერთობლივ სუნამოს მანდარინის, თეთრი მუქსუსის, ბამბუკის, ვანილის, ჭადრის ყვავილისა და კიდევ სხვა მცენარეების არომატი ექნება. Perfume No 919 for Men-ი Mobiado-ს ემბლემით იქნება გაფორმებული.

## Goldman Sachs AB Ports-ს 4,6 მილიარდ დოლარად ყიდულობს

Goldman sachs უმსხვილესი ბრიტანული საპორტო მომსახურების კომპანია AB Ports-ს 2,6 მილარდ ფუნტ სტერლინგად (4,6 მილიარდ დოლარად) შეისყიდის. AB Ports-ის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ "ეს გარიგება ძალიან წარმატებულია, რადგან კომპანია აქციებში იმ თანხას მიიღებს, რასაც იმსახურებს." უნდა აღინიშნოს, რომ საზღვაო საპორტო ოპერატორებისთვის ბოლო ნახევარი წლის მანძილზე ეს უკვე მესამე გარიგებაა. მანამდე, DP World-მა OAE-სგან ამერიკული პორტის ოპერატორი Peninsular&Oriental Stream 6,8 მილიარდ დოლარად შეისყიდა და ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში ოპოზიცია გადალახა. ამასთან ერთად, ავსტრიულმა Babcock&Brown Group-მა ბრიტანული ჰარტპულის საპორტო ოპერატორი PD ports 608 მილონ ფუნტ სტერლინგად შეიძინა. Goldman Sachs-ის განცხადებით, სატრანსპორტო დაწესებულებებისადმი ასეთი ინტერესი კომპანიებისთვის თავიანთი თანხების სტაბილურ აქტივებში დაბანდებასთან არის დაკავშირებული.

# მიმზიდველი უნგრული კაპიტალი

პირველი გვერდიდან

### მოგებიანი კაპიტალდაბანდება

უნგრეთი ევროპის ერთ-ერთი უმსხვილესი ტურისტული ცენტრია. "დუნაის მარგალიტად" წოდებული უმშვენიერესი ქალაქი ბუდაპეშტი მუდამ სავსეა ტურისტებით, ევროპის ერთ-ერთი უდიდესი ტბა ბალატონი კი დიდებული დასასვენებელი ადგილია. საერთოდ, უნგრეთი განთქმულია თავისი ბალნეოლოგიური კურორტებით.







გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების უძრავი ქონების ბაზრების ახლახან ჩატარებულმა შესწავლამ, რომლის დროსაც გაითვალისწინეს ზოგადი ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაცია, ხელისუფლების კორუმპირებულობის დონე, კერძო საკუთრების ბაზრის სტრუქტურა, ინვესტიციების დაცვის მექანიზმი და ა.შ. ცხადყო, რომ ევროკავშირში ახლადშესულ სახელმწიფოთაგან ინვესტიცირებისათვის ყველაზე პერსპექტიული უნგრეთი, ჩეხეთი და პოლონეთია. ყოველივე ამას საქმით ამტკიცებს ბოლო დროს უნგრეთში განხორციელებული ინვესტიციების გამუდმებული ზრდა.

უნგრული არქიტექტურა და მშენებლობის ხარისხი საქვეყნოდაა განთქმული. საცხოვრებელი სახლების აშენებისას უნგრელები კარგა ხანია აღარ იყენებენ პანელური ინდუსტრიალიზაციის მეთოდს და პრიორიტეტებად ეკოლოგიური სისუფთავე, რესურსების სრულად გამოყენება, ავტონომიურობა, კომფორტი, დიზაინი, საიმედოობა და, შეძლებისდაგვარად, სიიაფე აქვთ არჩეული.

უნგრულ კაპიტალს მიმზიდველობას მატებს ქვეყნის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა. უნგრეთი დასავლეთ ევროპისა და ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნების დამაკავშირებელი ხიდია, რაც მას ერთგვარ ტრანზიტულ სტატუსს ანიჭებს. გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ ქვეყანას სახმელეთო საზღვარი აკავშირებს ავსტრიასთან, ხორვატიასთან, რუმინეთთან, სერბეთთან, სლოვაკეთთან, სლოვენიასთან და უკრაინასთან. ანუ, უნგრეთში მცხოვრებს თავისუფლად შეუძლია ავტომობილით კონტინენტის სხვა ქვეყანას მიაშუროს. მაგალითად, ბუდაპეშტიდან ვენამდე მანქანით მგზავრობას სულ რაღაც 2 საათი სჭირდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ უნგრეთში კაცი თავს საკმაოდ იაფად გაიტანს. ამ ქვეყანაში საარსებო მინიმუმი 350 დოლარია, რაც ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით ძალიან დაბალი მაჩვენებელია.

### იაფად და შეუზღუდავად

ჩეხეთისაგან განსხვავებით, სადაც უძრავი ქონების შესაძენად იურიდიულ პირად დარეგისტრირებაა საჭირო, უნგრეთში უცხო ქვეყნის მოქალაქეს კაპიტალდაბანდების განხორციელება თავისუფლად შეუძლია. ანუ, თუ სურვილი გაგიჩნდებათ, შეგიძლიათ იყიდოთ ნებისმიერი ბინა, სახლი ან მიწის ნაკვეთი, გარდა სასოფლო სამეურნეო სავარგულებისა. საკუთრების უფლება უნგრეთში მკაცრადაა დაცული და არც ქონების მემკვიდრეობით გადაცემისას შეგექმნებათ რაიმე პრობლემა.

ამასთან, სხვა ქვეყნის მოქალაქეს ნებისმიერ დროს დაუბრკოლებლად შეუძლია უნგრეთის ტერიტორიაზე არსებულ ბანკში ანგარიშის გახსნა. 10 ათას დოლარამდე ნაღდი ფულის ერთჯერადი შეტანისას, არანაირი საბუთის, მათ შორის, არც თანხის წარმოშობის დამატკიცებელი დოკუმენტის, წარმოდგენა საჭირო არ არის.

უნგრეთში ბინის ყიდვისას იხდით შენაძენის ღირებულების 2-დან 6 პროცენტამდე, დანარჩენი ობიექტების (მიწის ნაკვეთი, კომერციული ფართი) შეძენისას კი ღირებულების 10 პროცენტს. ამასთან, მშენებარე ობიექტის, რომლის ფასი 30 მილიონ ფორინტს (დაახლოებით 150 ათასი დოლარი) არ აღემატება, ყიდვის შემთხვევაში გადასახადისაგან სრულიად თავისუფლებით. გარიგების გაფორმებისას იურიდიული მომსახურება ძალიან იაფი - შენაძენის 1-დან 1,5 პროცენტამდე ჯდება. ხოლო მომავალში ქონების სარფიანად გაყიდვის შემთხვევაში ბეგარის სახით 3-5 პროცენტის გადახდა მოგიწევთ.

მას შემდეგ, რაც 2004 წლის მარტში უნგრეთი ევროკავშირში შევიდა, ადგილობრივი უძრავი ქონება გვარიანად გაძვირდა, თუმცა, მაქსიმუმამდე ჯერ ძალიან ბევრი უკლია. არსებული გეგმებით, უნგრეთი 2008 წელს შენგენის ხელშეკრულებას, 2010 წელს კი ევროს ზონას შეუერთდება. სწორედ ამ პერიოდში მოხდება უნგრული უძრავი ქონების ძალიან გაძვირება. ასე რომ, ემჯობესია მოასწროთ.

თავისთავად ცხადია, უძრავი ქონება ყველაზე ძვირი ბუდაპეშტშია, სადაც ცენტრალურ და ტურისტებისათვის მიმზიდველ უბნებში კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართის ფასმა შეიძლება 1500 დოლარს მიაღწიოს. ოდნავ ძვირია საოფისე ფართი. თუმცა, ნაკლებად პრესტიჟულ უბნებში, მშვენიერ, კომფორტულ ბინას, კვადრატულ მეტრ ფართობში 800-1000 დოლარის გადახდის შემთხვევაშიც შეიძენთ. რაც შეეხება სხვა დიდ ქალაქებს, როგორებიცაა: დებერცენი, მიშკოლცი, სეგედი და პეცი, კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართს, უბნის პრესტიჟულობისა და განაშენიანების ტიპის მიხედვით, 300-დან 900 დოლარის ფარგლებში შეიძენთ.

რაც შეეხება მიწის ნაკვეთს, მშენებლობისათვის ხელსაყრელ ტერიტორიაზე კვადრატული მეტრის საშუალოდ 700 დოლარი ღირს. თავისთავად ცხადია, განსაკუთრებული სიძვირეა ბუდეპეშტში და საკურორტო რეგიონებში, მაგალითად, ტბა ბალატონის მახლობლად. საერთოდ, ამ ქვეყანაში 25-დან 45 ათასი დოლარის ფარგლებში, შეიძლება მშვენიერი ვილა იყიდოთ, ხოლო თუ კიდევ მეტს გადაიხდით, მთლად სასახლის მფლობელი გახდებით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უნგრეთში სასოფლო-სამეურნე მნიშვნელობის მიწას ძალიან უფრთხილდებიან და მისი შეძენის უფლებას უცხოელს კანონი არ აძლევს. თუ გავითვალისწინებთ, რომ მშენებლობისათვის ვარგისი, აუთვისებელი სავარგულებია, სამშენებლო ბიზნესის წამოწყება გაგიჭირდებათ. მაგრამ თუ მიწის ხელში ჩაგდება მაინც მოახერხეთ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, საქმე დიდძალ შემოსავალს მოგიტანთ. უნგრეთში ხომ იაფი მუშახელი, საშენი მასალები და მშენებლობის მაღალი კულტურაა. თანაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადგილობრივ ბაზარზე უძრავი ქონების ფასი მუდმივად იზრდება.

ბიზნესის დასაწყებად, რა თქმა უნდა, კომპანიის დარეგისტრირება დაგჭირდებათ. ამ მხრივ არანაირი შეზღუდვა არ არსებობს. საჭიროა შესაბამის ორგანოს მინიმუმ ორმა დამფუძნებელმა მიმართოს და 6 სამუშაო დღეში წინასწარ დოკუმენტებს მიიღებთ და საქმიანობასაც შეუდგებით. ერთ თვეში კი რეგისტრაცია საბოლოოდ დასრულდება. ყველანაირი სარეგისტრაციო იურიდიული მომსახურება, საშუალოდ, 250 დოლარი დაგიჯდებათ.

მოკლედ, ყველანაირი პირობა არსებობს საიმისოდ, რომ უნგრეთში ბიზნესი წამოიწყოთ, ან უბრალოდ ევროპის ცენტში ბინა ან სახლი ძალიან იაფად შეიძინოთ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ყველა შემთხვევაში მოგებული დარჩებით.

# ამერიკის საანგარიშო პალატამ ჩავესის მუქარა 23 მილიარდად შეაფასა



იმ შემთხვევაში, თუ ვენესუელა ამერიკის შერთებული შტატებისთვის ნავთობის მოწოდებაზე უარს იტყვის, საწვავის ფასი მსოფლიო მასშტაბით 15 პროცენტიან ნახტომს გააკეთებს. აღნიშნული პროგნოზი ამერიკის შეერთებული შტატების საანგარიშო პალატამ გაზეთ Financial Times-ში გამოაქვეყნა.

გამოძიება ნახევარი წლის წინ რესპუბლიკელი სენატორის რიჩარდ ლუგაროს შეკვეთით დაიწყო, მაშინ, როცა ვენესუელისა და ამერიკის ურთიერთობებში გარკვეული გაუგებრობები დაიწყო.

ამერიკის შეერთებული შტატები ვენესუელისგან ნავთობის საერთო იმპორტის 11 პროცენტს შეისყიდის, ვენესუელის სახელმწიფო კომპანია Petryleos de Venezuela-ს ამერიკის შეერთებულ შტატებში ხუთ ნავთობგადადმამუშავებელ ქარხანას ფლობს. აღნიშნულ კომპანიას ამერიკაში კიდევ 4 შვილობილი კომპანია აქვს.

ვენესუელის პრეზიდენტი უგო ჩავესი ამერიკის შეერთებულ შტატებს არაერთხელ დაემუქრა. ამის მიზეზად, ვენესუელის პრეზიდენტი ახლო აღმოსავლეთში ამერიკის აგრესიულ პოლიტიკას ასახელებს. 2003 წლის დასაწყისში ვენესუელამ ამერიკის შეერთებულ შტატებში ნავთობის შეტანა შეზღუდა.

შესაძლო შემცირება ვენესუელის ეკონომიკაზეც აისახება, რადგან მას არ აქვს ნედლეულის გასაღების სხვა ბაზარი. უგო ჩავესი აცხადებს, რომ ნავთობის ნაწილს ჩინეთის ბაზარზე გაიტანს. თუმცა, ვენესუელის პრეზიდენტის ამ გეგმას ექსპერტები წინდაუხედავსა და არაშესრულებადს უწოდებენ. შეგახსენებთ, რომ მაისის შუა რიცხვებში ამერიკის შეერთებულ შტატებს ვენესუელამ იარაღის იმპორტიც აუკრძალა.

## აშშ-ს ბირჟაზე ზრდაა

გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსა ზრდა დაფიქსირდა. ინვესტორთა განწყობაზე დადებითი გავლენა ნავთობის ფასის კლებამ და მაკროეკონომიკურმა სიახლეებმა მოახდინა. ექსპერტთა ახრით, ზრდა უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ არა ფედერალური სარეზერვო ფონდის მიერ ძირითადი საპროცენტო განაკვეთის გაზრდის მოლოდინი.










საბოლოოდ, Dow Jones Index 0,44 პროცენტით, 10.753,36 პუნქტამდე გაიზარდა. 0,24 პროცენტით გაზრდილმა Nasdaq Index-მა 2.077.49 პუნტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,09 პროცენტით, 1.224,82 პუნქტამდე მოიმატა.

## ოპეკის "ნავთობის კალათის" ფასი სამკვირიან მინიმუმამდე დაეცა

გუშინ ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების კლება გაგრძელდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 66,95 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 68,63 დოლარი/ბარელამდე გაიაფდა. ნავთობის ფასების კლებაზე კვლავინდებურად გავლენას ახდენს მექსიკის ყურეში მოსალოდნელ ქარიშხლებთან დაკავშირებით მეტეოროლოგთა დამაიმედებელი პროგნოზი. გარდა ამისა, ცნობილი გახდა, რომ აშშ-ში ნავთობის მარაგის მხრივ ყველაფერი რიგზეა. შედეგად, ოპეკის "ნავთობის კალათის" ფასმა 63,22 დოლარი/ბარელი შეადგინა, რაც უკანასკნელი სამი კვირის განმავლობაში დაფიქსირებული მინიმალური მაჩვენებელია. შეგახსენებთ, რომ ტერმინი "ოპეკის კალათა" (OPEC Reference Basket of Crudes) ოფიციალურად 1987 წლის 1 იანვრიდან შემოიღეს და იგი კარტელის წევრი 11 ქვეყნის მიერ მოპოვებული ამდენივე მარკის ნავთობის ღირებულების საშუალო არითმეტიკულით გამოითვლება. ესენია: ალჟირული Saharan Blend, ინდონეზიური Minas, ირანული Iran Heave, კუვეიტური Kuwait Export, ლიბიური Es Sider, ნიგერიული Bonny Light, ყატარული Qatar Marine, Arab Light (საუდის არაბეთი), Murban (არაბეთის გაერთიანებული საემიროები) და ვენესუელური BCF 17. 1999 წლიდან ოპეკის ქვეყნებმა გააუქმეს 22-28 დოლარი/ბარელის ფარგლებში არსებული ოფიციალური "ფასთა დერეფანი", 2006 მარტიდან კი "კალათის" ფასების საზღვარი დეკლარაციულად 50 და 60 დოლარი/ბარელით განისაზღვრა. "ოპეკის კალათის" ფასის ისტორიული მაქსიმუმი 68 დოლარი/ბარელი 2006 წლის 2 მაისს დაფიქსირდა.

## მსოფლიოს ნავთობის მარაგი 40 წელი ეყოფა

კომპანია British Petroleum-ის ექსპერტთა განცხადეით, 2005 წლის ბოლოსათვის დედამიწაზე არსებული ნავთობის მარაგი და შესაძლო რესურსები 1 ტრილიონ 209 მილიარდ ბარელს შეადგენდა. ანალიტიკოსთა აზრით, დღეისათვის პლანეტაზე არსებული ნავთობის მოხმარების რაოდენობის მიხედვით, აღნიშნული მაჩვენებელი, დაახლოებით, კიდევ 40,6 წელი იქნება საკმარისი. 2005 წელს მსოფლიოში ნავთობის გამოყენება 1,3 პროცენტით გაიზარდა და დღეში 82,5 მილიონი ბარელი შეადგინა. ამასთან, გასულ წელს ნავთობის მოპოვება 1 პროცენტით, დღეში 81,1 მილიონ ბარელამდე გაიზარდა. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ 2005 წელს ნავთობის მოხმარების ზრდის ტემპი წინა წელთან შედარებით დღეში 1,8-დან 1 მილიონ ბარელამდე შემცირდა. რაც მსოფლიო ეკონომიკის ზრდის ტემპის დამუხრუჭებამ განაპირობა.

## ძვირფასი ლითონები მნიშვნელოვნად გაიაფდა

გუშინ ნიუ იორკის სასაქონლე ბირჟაზე ძვირფას ლითონებზე ფასების მნიველოვანი კლება დაფიქსირდა. კერძოდ, ერთი დღის განმავლობაში ოქრო 7,3 პროცენტით გაიაფდა, რაც 23 წლიანი რეკორდია, და მისმა ფასმა 559,65 დოლარი/უნცია შეადგინა. რაც შეეხება ვერცხლს, იგი გუშინ 13 პროცენტით, ერთი თვის წინანდელთან შედარებით კი 37 პროცენტით, 9,625 დოლარი/უნციამდე გაიაფდა. გაიაფდა ფერადი ლითონებიც. კერძოდ, გუშინ სპილენძის ფასმა 11 პროცენტით მოიკლო და 6445 დოლარი/ტონა შეადგინა, რაც უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში დაფიქსირებული მინიმალური მაჩვენებელია. 1 ტონა ნიკელი 17525 დოლარამდე, თუთია კი 2960 დოლარამდე გაიაფდა. ესქპერტთა აზრით, ნედლეულის ამგვარი გაიაფების მიზეზი გახლდათ ნავთობის ფასების კლება და ფედერალური სარეზერვო ფონდის მიერ ძირითადი საპროცენტო განაკვეთის მოსალოდნელი გაზრდა, რომელიც მსოფლიო ეკონომიკის ზრდის ტემპს დაამუხრუჭებს, რასაც ნედლეულზე მოთხოვნილების შემცირება მოჰყვება.

## აშშ-მ ერაყისა და ავღანეთის სამხედრო კამპანიებისათვის კიდევ 66 მილიარდი გამოყო

აშშ-ს კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ ერაყსა და ავღანეთში სამხედრო ოპერაციების დასაფინანსებლად მიმდინარე საბიუჯეტო წელს დამატებით 66 მილიარდი დოლარის გამოყოფას მწვანე შუქი აუნთო. ამგვარად, ერაყის სამხედრო კამპანიის დაწყებიდან 3 წლის განმავლობაში ამ ქვეყნის ტერიტორიაზე განხორციელებული ოპერაციები ამერიკას 320 მილიარდ დოლარზე მეტი უჯდება. ავღანეთში ჩატარებული საომარ მოქმედებებზე კი აშშ-მ 2001 წლიდან 89 მილიარდი დოლარი დახარჯა. კონგრესის კვლევითი სამსახურის ცნობით, 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ ამერიკელმა პარლამენტარებმა ერაყული, ავღანური და სხვა ანტიტერორისტული ოპერაციების დასაფინანსებლად ამერიკელმა პარლამენტარებმა 368 მილიარდი დოლარი გამოყო. ყოველთვიურად პენტაგონი ერაყში 8, ავღანეთში კი 1 მილიარდ დოლარს ხარჯავს. პერსპექტივაში, 2016 წლისათვის ერაყსა და ავღანეთში ომი ამერიკას 811 მილიარდი დოლარი დაუჯდება, რაც ბევრად აღემატება ვიეტნამის კამპანიის ღირებულებას - 579 მილიარდი დოლარი. გარდა ამისა, ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ 2 წლის განმავლობაში ერაყსა და ავღანეთში საომარი ოპერაციების ღირებულება გვარიანად გაიზარდა. კერძოდ, 2004 წელს პენტაგონს აღნიშნული ხარჯებისათვის 73 მილიარდი დოლარი დასჭირდა, წელს კი უკვე 120 მილიარდი დოლარია დახარჯული.

# საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა ბიუჯეტს ჯერ კიდევ მძიმე ტვირთად აწევს

პირველი გვერდიდან

**იმ ორგანიზაციების არასრული სია, რომელთა მიმართაც საქართველოს დავალიანება დაუგროვდა**

| ორგანიზაცია | დავალიანება ($) |
|---|---|
| 1. გაერო | 4 700 000 * |
| 2. ევროპის საბჭო | - |
| 3. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO) | 4 337 163 * |
| 4. იუნესკო(UNESCO) | 2 758 063 * |
| 5. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO) | 2 406 557 * |
| 6. გაეროს მრეწველობის განვითარების ორგანიზაცია (UNIDO) | 1 975 657 |
| 7. სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) | 1 157 323 * |
| 8. ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო ორგანიზაცია (ITU) | 888 864 ** |
| 9. ატომური ენერგიის სართაშორისო სააგენტო (IAEA) | 835 856 * |
| 10. მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია (WMO) | 627 022 * |
| 11. სამოქალაქო ავიაციის საერთაშორტისო ორგანიზაცია (ICAO) | 375 568 * |
| 12. მსოფლიო საფოსტო კავშირი (UPU) | 263 278 ** |
| 13. ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია (WTO) | - |
| 14. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (WTO) | - |
| 15. ევროპაში უსაფრთხოების და თანამშრომლობის ორგანიზაცია (OSCE) | 868 753 * |
| 16. ეუთოს საპარლამენტაშორისო ასამბლეა | - |
| 17. ეუთოში ერთობლივი საკონსულტაციო ჯგუფი (საქართველოს დელეგაცია) | - |
| 18. ევროპის ენერგეტიკული ქარტია | - |
| 19. ევროპის საგადასახადო ადმინისტრაციების ორგანიზაცია | - |
| 20. დსთ-ს აღმასრულებელი კომიტეტი | 856 000 |
| 21. შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტაშორისო ასამბლეა (PABSEC) | 56 000 * |
| 22. დსთ-ს ანტიტერორისტული ცენტრი | 49 483 |
| 23. შუამ-ის საინფორმაციო ბიურო | - |
| 24. შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (BSEC) | - |
| 25. TRACECA | - |

** შეთანხმებულია ეტაპობრივი დაფარვა*
*** მიმდინარეობს კონსულტაციები გრაფიკების შედგენაზე*

ბევრისთვის არც ის უნდა იყოს ცნობილი, რომ ჩვენ ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზიაშიც ვართ გაწევრიანებულები, სადაც დღემდე გადაუხდელი საწევრო 22 ათას დოლარს შეადგენს. თურმე საქართველო საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის, საბაგირო ტრანსპორტის მსოფლიო ორგანიზაციისა (OITAF) და ქალაქ დუბნის ბირთვული კვლევების ინსტიტუტის წევრიც ყოფილა. ამ უკანასკნელის მიმართ დავალიანება 283 ათას 400 დოლარს აღემატება.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, წლების განმავლობაში საწევროს გადაუხდელობის გამო დაგროვილი დავალიანება ამჟამად 20 130 000 დოლარს შეადგენს. თუმცა ბოლო წლების განმავლობაში მთლიანი დავალიანების დინამიკას აშკარად კლების ხასიათი აქვს. ასე მაგალითად: ამ ორგანიზაციებისადმი დავალიანება 2003 წლის ბოლოსათვის - 28 000 000 დოლარს, 2004 წლის ბოლოსათვის - 26 100 000 დოლარს, 2005 წლის ბოლოსათვის - 23 700 000 დოლარს, 2006 წლის ბოლოსათვის კი - 20 130 000 დოლარს შეადგენს.

ყველაზე ბევრი - 4 700 000 დოლარი, საქართველოს გაეროსი მართებს, ყველაზე ცოტა 2 ათასი კი - ჰააგის კერძო საერთაშორისო სამართლის კონფერენციის. გაეროს შემთხვევაში, სამინისტროს ინფორმაციით, დავალიანების ეტაპობრივი გადახდაა შეთანხმებული. მევალეთა სიაშია: ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO), იუნესკო (UNESCO), შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), გაეროს მრეწველობის განვითარების ორგანიზაცია (UNIDO), სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO), ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო ორგანიზაცია (ITU), ატომური ენერგიის სართაშორისო სააგენტო (IAEA), მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია (WMO), სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (ICAO), მსოფლიო საფოსტო კავშირი (UPU) და სხვა. სხვათაშორის, რიგი ქვეყნების მიმართ შეთანხმებულია დავალიანების ეტაპობრივი დაფარვა, ან გრაფიკიების დადგენაზე კონსულტაციები მიმდინარეობს.

წლების მანძილზე საწევროს გადაუხდელობის გამო, საქართველოს ამა თუ იმ ორგანიზაციიდან საქართველოს გამორიცხვის საკითხი დღის წესრიგში რამდენჯერმე დამდგარა. უფრო მეტიც, რამდენიმე მილიონიანი დავალიანების გამო საქართველოს სხვადასხვა ორგანიზაციაში ხმის უფლება გარკვეული დროის მანძილზე შეუჩერეს. ასე მაგალითად, გაეროში ჩვენს ქვეყანას ხმის უფლება მხოლოდ მას შემდეგ აღუდგინეს, როცა ფინანსთა სამინისტრომ მიმდინარე და ძველი ვალის დაფარვის სათანადო გრაფიკი წარადგინა. საქმე ეხება ასევე იუნესკოს მიმართ დაგროვილ თითქმის სამმილიონიან დავალიანებას. გარკვეული პერიოდის მანძილზე ჩვენს ქვეყანას ამ ორგანიზაციაში ხმის უფლება ჰქონდა ჩამორთმეული.

უცნობია, საქართველოს მთავრობას ყოველწლიურად სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის საწევროს პირნათლად გადასახდელად ზუსტად რა რაოდენობის თანხა სჭირდება. 90-იანი წლების ბოლოს ეს მაჩვენებელი სოლიდური იყო. კერძოდ, 1996, 1997, 1998, 1999 წლებში საწევრო შენატანისთვის საქართველოს მთავრობას ათ მილიონ დოლარს სთხოვდნენ. თუმცა მიახლოებით ცნობილია, რომ ახლა ეს მაჩვენებელი თითქმის განახევრებულია.

საქართველოს სახაზინო სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2004 წლიდან მოყოლებული საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის და ამ ორგანიზაციებში გაწევრიანებისთვის გათვალისწინებული ხარჯები იზრდება.

## ამინდი

| | 15/06 | 16/06 | 17/06 |
|---|---|---|---|
| კიევი | 18 | 21 | 24 |
| რიგა | 18 | 20 | 25 |
| ვილნიუსი | 24 | 23 | 22 |
| მოსკოვი | 23 | 20 | 23 |
| მინსკი | 28 | 25 | 26 |
| პარიზი | 26 | 22 | 27 |
| რომი | 28 | 29 | 30 |
| ლონდონი | 18 | 22 | 27 |
| მადრიდი | 27 | 28 | 28 |
| ბონი | 31 | 26 | 27 |
| ვარშავა | 29 | 22 | 29 |
| ათენა | 27 | 29 | 31 |
| ბერნი | 28 | 28 | 28 |
| ამსტერდამი | 18 | 18 | 19 |
| ოსლო | 21 | 22 | 21 |
| ანკარა | 26 | 26 | 29 |
| ვარნა | 22 | 27 | 31 |
| დელი | 48 | 46 | 42 |
| ტოკიო | 23 | 26 | 27 |
| კოპენჰაგენი | 21 | 20 | 19 |
| ბაქო | 31 | 30 | 31 |
| ერევანი | 36 | 38 | 37 |
| ასტანა | 17 | 23 | 25 |
| ჰელსინკი | 15 | 18 | 22 |
| დუბლინი | 21 | 17 | 18 |
| ლისაბონი | 25 | 25 | 25 |
| პრაღა | 28 | 28 | 31 |
| სოფია | 21 | 25 | 27 |
| ბუდაპეშტი | 31 | 33 | 36 |
| ბუხარესტი | 25 | 27 | 31 |

# რეფორმები ელექტროენერგეტიკაში

ნუგზარ ხუჭუა
*ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი*

დასასრული. დასაწისი №129, №130

შექმნილი მძიმე სიტუაციიდან გამოსავალი ელექტროენერგეტიკული სექტორის სრულყოფილ რეფორმირებაში მდგომარეობს. რეფორმების მიზანი უნდა გახდეს ელექტროენერგეტიკის დარგის საბაზრო ეკონომიკის რელსებზე გადაყვანა და ამ გზით დარგის ეფექტიანობის ამაღლება. ამისათვის საჭიროა:

-გენერაციის სფეროში კონკურენციის განვითარება და კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა.

- გენერაციის სფეროში ფასების ლიბერალიზაცია, ანუ ფასების დადგენა მიწოდება-მოთხოვნის ბალანსის საფუძველზე.

- ამჟამად მომქმედი საფეხურეობრივი სატარიფო სისტემის ლიკვიდაცია, ანუ მომხმარებელთა ერთი კატეგორიის ხარჯზე დარგის რენტაბელობის უზრუნველყოფა.

- ბაზრის იმ სექტორებში, რომლებიც ხასიათდებიან მონაპოლიის ელემენტებით (გადაცემა და განაწილება), სატარიფო რეგულირების გამჭვირვალე, ეფექტური, თანამედროვე მარკეტინგული მეთოდების დანერგვა.

საქართველოს ელექტროენერგეტიკის დარგის რეფორმის მიზანი უნდა გახდეს გენერაციის სექტორში კონკურენციის განვითარება, ბაზრის გაჯერება და კონკურენციული ბრძოლის საფუძველზე დანახარჯებისა და ფასების შემცირება, ხოლო გადაცემისა და განაწილების სექტორში ტარიფების რეგულირება თანამედროვე მარკეტინგული მეთოდების გამოყენებით.

ცნობილი ექსპერტი ბუნებრივი მონოპოლიების რეფორმების დარგში პიტმანი გვაფრთხილებს, რომ ელექტროენერგეტიკაში საბაზრო პრინციპების დანერგვისას აუცილებელია გავითვალისწინოთ სამი ფაქტორი: პირველი, ერთიანი ენერგეტიკული სექტორის ვერტიკალური დანაწილებისას ახალი ტრანსაქციული დანახარჯების წარმოშობა. მეორე, გადაცემის ქსელში დისკრიმინაციული ფაქტების გამოვლენისა და მისი თავისდროული აღკვეთის საშიშროება. მესამე, გენერაციის სექტორში ფასების დისკრიმინაციით გამოწვეული ზარალი და მისი გამოვლენის სირთულე.

არგუმენტები საქართველოს ელექტროენერგეტიკაში საბაზრო პრინციპების დანერგვის სასარგებლოდ გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები - ვინაიდან საქართველოს ერთიანი ენერგეტიკული სისტემა უკვე დანაწილებულია შესაბამის სექტორებად ვერტიკალური დანაწილების პრინციპით, ამიტომ ახალი ტრანსაქციული დანახარჯების წარმოშობა გამორიცხულია. მეორე, ქსელში დაშვების დისკრიმინაციული ფაქტების გამოვლენისა და აღსაკვეთად საჭიროა შეიქმნას შესაბამისი კვალიფიკაციის ორგანოები. დღეს მოქმედი მარეგულირებელი თუ თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო თავისი შემადგენლობითა და გამოცდილებით უძლურია გადაჭრას ზემოთაღნიშნული პრობლემა. მესამე, კონკურენციული ბრძოლით მიღებული პოტენციური ეკონომიკური ეფექტი გაცილებით უფრო მეტი და მნიშვნელოვანია, ვიდრე ფასების დისკრიმინაციით გამოწვეული ეკონომიკური ზიანი.

არსებობს იმის საშიშროება, რომ საქართველოს დეფიციტური ენერგოსისტემის პირობებში, ელექტროენერგიაზე ფასებმა კიდევ უფრო იმატოს. ამ საშიშროების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ენერგეტიკული პროდუქციით ბაზრის გაჯერება. კლასიკური ეკონომიკური თეორიის თანახმად, თუ ბაზარი გაჯერებულია პროდუქციით, ყოველთვის არსებობს პროდუქციაზე ფასების შემცირების ტენდენცია. საქართველოს ენერგოსისტემაში საკმარისი პოტენციალი არსებობს ელექტროენერგიით ბაზრის გაჯერებისათვის. კერძოდ, დღეს არსებული გენერაციის ობიექტები მუშაობენ თავისი შესაძლებლობის 50-60 პროცენტის საზღვრებში. ამასთან არსებობს შესაძლებლობები მეზობელი ქვეყნების ენერგოსისტემიდან საქართველოს ენერგობაზარზე ელექტროენერგიის შემოტანისათვის (სხვადასხვა ფირმების მიერ ელექტროენერგიის შემოტანის პრაქტიკა საქართველოში არსებობს).

საქართველოს რეფორმირებული ელექტროენერგეტიკული დარგის ორგანიზაციული სტრუქტურა შეიძლება შემდეგი სქემის სახით წარმოვადგინოთ:



როგორც ნახაზიდან ჩანს, ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარზე ვაჭრობის ორგანიზაციას სპეციალური სტრუქტურა - ბაზრის ადმინისტრატორი ახორციელებს. ეს რგოლი ვალდებულია მყიდველსა და გამყიდველს შორის მოლაპარაკებების ორგანიზება და პირდაპირი ხელშეკრულებების გაფორმება უზრუნველყოს. ხელშეკრულებაში ტარიფი განისაზღვრება საბაზრო პრინციპით, მიწოდება - მოთხოვნის ბალანსის საფუძველზე. მონოპოლიური სექტორებისათვის შენარჩუნებული იქნება რეგულირებადი ტარიფები. ელექტროგადაცემა უზრუნველყოფს გადამცემი ქსელის ფუნქციონირებას ტექნიკური სტანდარტების, საბაზრო წესების და ლიცენზიატების მოთხოვნების შესაბამისად. სისტემის ოპერატორი უზრუნველყოფს გენერაციის, გადაცემისა და გამანაწილებელი კომპანიების მუშაობის კოორდინაციას. ელექტროენერგიის მიწოდების, გადაცემისა და მოხმარების დაბალანსებისათვის იგი ვალდებულია იხელმძღვანელოს ელექტრობაზრის მითითებებით.

ამრიგად, ელექტროენერგეტიკის დარგის რეფორმირების წარმოდგენილი მოდელი ზოგადი სახისაა, რაც შეეხება კონკრეტულ დეტალებს, იგი აუცილებელია გაიწეროს რეფორმის პროგრამაში, სადაც ჩამოყალიბებული იქნება ყველა ტექნიკური დეტალი და რეფორმების განხორციელების ეტაპობრივი თანამიმდევრობა. ამასთან, მორიგი ეტაპი არ უნდა დაიწყოს მანამ, სანამ წარმატებით არ განხორციელდება წინა ეტაპით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება. ასეთი ქმედება აუცილებელია იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ შოკური შედეგები ელექტროენერგეტიკაში. მიუხედავად საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან მრავალი მითითებისა, რეფორმები შოკური მეთოდით საქართველოში დღესაც გრძელდება. საუბარია ეკონომიკის სხვადასხვა დარგში ცალმხრივი, დაუბალანსებელი ღონისძიებების განხორციელებაზე, რომელსაც მოსახლეობისათვის უფრო მეტი ზიანი მოაქვს, ვიდრე სიკეთე.

პროგრამის შემუშავების პარალელურად აუცილებელია ელექტროენერგეტიკის დარგის სამართლებლივი ბაზის სრულყოფა. გარდაუვალი იქნება ცვლილებები ძირითად კანონში და დამატებები კანონში ელექტროენერგეტიკის დარგის საბაზრო პრინციპებით ფუნქციონირების შესახებ. აუცილებელია მომზადდეს ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც დაადგენს ელექტროენერგიის მყიდველებისა და გამყიდველების ქსელში დაშვების წესებს. საქართველოს ენერგოკომპანიების უცხოურ გამოცდილ კომპანიებზე მართვის უფლებით გადაცემისათვის, მოსამზადებელია კანონი "კონცესიების შესახებ", რომელიც ხელს შეუწყობს ელექტროენერგეტიკაში უცხოური ინვესტიციების შემოდინების გაფართოებას, თანამედროვე მმართველობითი ტექნოლოგიების დანერგვას და კადრების ხარისხობრივ სრულყოფას. ეს არ არის ახალი ველოსიპედი, ამ გზით ბევრმა განვითარებადმა ქვეყანამ მიაღწია მიზანს. საქართველოში კი პროცესი ისევ თვითდინებაზეა მიშვებული და შესაბამისი სამართლებლივი ბაზის არსებობის გარეშე ხორციელდება, რაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ელექტროენერგეტიკის დარგის განვითარებას. დასმული პრობლემები, როგორც ვხედავთ, მეტად აქტუალურია და იგი გადაუდებელ გადაწყვეტას ითხოვს - ელექტროენერგიის ტარიფის ზრდა გამოსავალი ნამდვილად არ არის.

# დონორები ფინანსთა სამინისტროში

გუშინ, ფინანსთა სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე ფინანსთა მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა დიპლომატიური მისიებისა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებს საქართველოს მთავრობის 2007-2010 წლების ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი გააცნო. როგორც ფინანსთა სამინისტროში განაცხადეს, ესაა ქვეყნის სამოქმედო სტრატეგია, რომელშიც მთავრობის მიერ განსახორციელებელი პრიორიტეტული მიმართულებები, ქვეყნის მაკროეკონომიკური და ფისკალური, აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრებია ასახული.

**"დღეს ჩვენ პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლებთან მთავრობის სამოქმედო გეგმასა და იმ ფინანსურ რესურსებს ვათანხმებთ, რომლის გამოყენებასაც საქართველოს ხელისუფლება უახლოეს წლებში სოციალური, განათლებისა და ჯანდაცვის სფეროების, აგრეთვე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის თვალსაზრისით გეგმავს. დოკუმენტი საერთაშორისო**



*შეხვედრა ეკონომიკის სამინისტროში.*

**ორგანიზაციებს დაეხმარება განისაზღვროს, თუ რა დამატებითი ფინანსური რესურსები და წყაროები დასჭირდება საქართველოს დონორების მხრიდან ამ სტრატეგიის განხორციელებისათვის,"** - განაცხადა გუშინ ალექსი ალექსიშვილმა.

ამავე შეხვედრაზე კიდევ ერთი ინიციატივა განიხილეს, რომელიც დონორ ორგანიზაციებსა და საქართველოს მთავრობას შორის კოორდინაციის გააქტიურებას ითვალისწინებს. კერძოდ, ფინანსთა სამინისტროში უკვე დაწყებულია მუშაობა დონორ ორგანიზაციათა კოორდინაციისა და მონაცემთა ბაზაზე, რომელშიც ყველა ის უცხოური პროექტი მოიყრის თავს, რომელიც ამჟამად საქართველოში დონორი ორგანიზაციების მხრიდან ხორციელდება. **"ეს სისტემა გახდის დონორების მიერ დაფინანსებული პროგრამების შესახებ ინფორმაციას უფრო ტრანსპარენტულს და მისი მიმდინარეობის თაობაზე სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ მონიტორინგს შეუწყობს ხელს,"** - განაცხადეს სამინისტროში. **24 საათი**

GALT & TAGGART SECURITIES

12 ივნისი 2006

## საფონდო ბაზრის კვირის მიმოხილვა

| სსბ ვაჭრობის მოცულობა (ლარი) | |
|---|---|
| კვირის ბრუნვა | 390,390 |
| ბრუნვა წლის დას-დან | 40,580,665 |

| | 9-ივნ-2006 | | კვირის ცვლილება | ცვლილება წლის დას-დან |
|---|---|---|---|---|
| GEL/US$ | 1.789 | ▲ | 0.53% | 0.22% |
| G&T Blue Chip Index (US$) | 573.0 | ▼ | -3.21% | 62.35% |
| G&T Blue Chip Index (GEL) | 518.9 | ▼ | -3.72% | 61.98% |

GTBC ინდექსი (GEL) & სსბ სავაჭრო მოცულობა (GEL mln)




საქართველოს ბანკის აქციის ფასი




გაცვლითი კურსი GEL/US




| თბსბ US$/GEL ვაჭრობის მოცულობა (US$ '000) | |
|---|---|
| კვირის ბრუნვა | 15,100 |
| ბრუნვა წლის დას-დან | 184,512 |

| მომავალ კვირას | |
|---|---|
| სსბ-ს სესია No. 47 | 13 ივნისი |
| სსბ-ს სესია No. 48 | 15 ივნისი |

### საფონდო ბაზარი

**გასულ კვირას გალტ & თაგგარტის ძირითადი კომპანიების (ბლუ ჩიპ) აქციების ინდექსი (GTBCI) ლარში 3.7%-ით შემცირდა, ხოლო ვაჭრობის მოცულობამ 390.4 ათასი ლარი შეადგინა.** გასულ კვირას გარიგებები პროკრედიტ ბანკის ობლიგაციასა და თოთხმეტ სხვადასხვა აქციაზე დაიდო, მათ შორის იყო ოთხი ბლუ ჩიპის აქცია: საქართველოს ბანკი (GEB, ფასმა დაიკლო 0.37%-ით), გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია (UTC, ყიდვა, დაიკლო 33.8%-ით), უნივერმაღი თბილისი (UTB, ფლობა, ფასი დარჩა უცვლელი) და გაერთიანებული ქართული ბანკი (UGB, ფლობა, გაიზარდა 12.11%-ით). საფონდო ბაზარზე ბლუ ჩიპები დომინირებდნენ და მათზე მთლიანი სავაჭრო მოცულობის 64.40% მოდიოდა.

გასულ კვირას საქართველოს ბანკმა განაცხადა, რომ მისმა შვილობილმა კომპანიამ გალტ & თაგგარტმა შეისყიდა ინტერტურის აქციების 87.5%. ინტერტური გახლავთ ქვეყანაში სიდიდით მესამე ტურისტული კომპანია, რომელიც ბაზრის 10%-ს ფლობს, ამ გარიგებით კომპანიას საშუალება მიეცემა გაზარდოს თავისი ბიზნესი და ისარგებლებს ბანკის საცალო სადისტრიბუციო ქსელით. ინტერტურის მენეჯმენტის მფლობელობაში კომპანიის აქციების 12.5% დარჩება.

"მოხარულნი ვართ, რომ წარმატებით დასრულდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარიგება, რომელიც უდავოდ ეფექტურად შეერწყმება საცალო და პირად საბანკო მომსახურებას. მომხმარებელს საშუალება ექნება ისარგებლოს პროდუქტების პაკეტით, რაც მოიცავს ტურისტულ, სადაზღვევო და საბანკო მომსახურებას", განაცხადა საქართველოს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარემ ლადო გურგენიძემ.

### სახელმწიფო ბიუჯეტი

**გავრცელებული მონაცემების მიხედვით 2006 წლის პირველი ხუთი თვის განმავლობაში მთავრობამ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების გეგმა 112.8%-ით შეასრულა.** ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებულმა შემოსავლებმა დაგეგმილი 1,328 მლნ ლარის ნაცვლად 1,499 მლნ ლარი შეადგინა (ანუ დაგეგმილზე 170 მლნ ლარით მეტი). საგადასახადო შემოსავლების აკრეფის გეგმა 2006 წლის პირველ კვარტალში 114.4%-ით შესრულდა და დაგეგმილი 405.1 მლნ ლარის ნაცვლად 463.3 მლნ ლარი შეადგინა. არასაგადასახადო შემოსავლებმა 243.4 მლნ ლარი (გეგმის 115%), ხოლო კაპიტალურმა შემოსავლებმა დაგეგმილი 78.6 მლნ ლარის ნაცვლად 116.5 მლნ ლარი შეადგინა.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადაჭარბებით შესრულების ერთერთი მიზეზი შესაძლოა იყოს წლის დასაწყისში ბიუჯეტის ცალკეული პარამეტრების არცთუ ზუსტი დაგეგმვა. ცხადია, რომ გადასახადების გაუმჯობესებული აკრეფა და ჩრდილოვანი ეკონომიკის წილის შემცირება ასევე ხელს უწყობს ბიუჯეტის შემოსავლების გეგმის წარმატებით შესრულებას.

### პრივატიზაცია

**საქართველოს მთავრობა განაგრძობს პრივატიზაციის პროცესს.** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ სამომხმარებლო პროდუქციის მწარმოებელი კომპანიის შპს ინდუსტრიის აქციების 100%-ის გაყიდვაზე საერთაშორისო ტენდერი გამოაცხადა. არსებული ინფორმაციით შპს ინდუსტრიის სააქციო კაპიტალი 10.5 მლნ ლარს, კრედიტორული დავალიანება 434,684 ლარს, ხოლო დებიტორული დავალიანება 263,480 ლარს შეადგენს. კომპანიის მფლობელობაშია ადმინისტრაციული შენობა (34,879 კვ.მ. ფართით) და მიწის ნაკვეთი (293,766 კვ.მ.). ინდუსტრიის საწყისი გასაყიდი ფასი 2.0 მლნ ლარს შეადგენს. შეძენაზე განცხადებების მიღება 2006 წლის 6 ივნისიდან 6 ივლისამდე გაგრძელდება, ხოლო მყიდველი კონკურსის წესით განცხადებების მიღების ბოლო დღეს - 6 ივლისს გამოვლინდება.

### სავალუტო ბაზარი

**გასულ კვირას ლარი/დოლარის კურსი 0.53%-ით გაიზარდა.** თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ვაჭრობის მოცულობამ 15.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ანუ წინა კვირასთან შედარებით 7.4 მლნ დოლარით მეტი. ეროვნული ბანკმა ჯამში 12.7 მლნ. აშშ დოლარი შეიძინა.

2006 წლის დასაწყისიდან საქართველოში სამომხმარებლო ფასები 5.8%-ით გაიზარდა. რაც ძირითადად განპირობებული იყო ფასების ზრდით საკვებ პროდუქტებზე 9.4%-ით, ტრანსპორტზე 4.4%-ით და სასტუმროებსა და რესტორნებში მომსახურებაზე 2.3%-ით. ფასები იმპორტირებულ ბუნებრივ აირსა და საწვავზე 4.5%-ით გაიზარდა.

GALT & TAGGART SECURITIES

12 ივნისი 2006

## საფონდო ბაზრის კვირის მიმოხილვა

**სსბ ვაჭრობის ჯამური მონაცემები**

სესია No. 46, 8 ივნისი 2006

| კოდი | გარიგებათა რაოდენობა | ფასი (ლარი) მინ. | ფასი (ლარი) მაქს. | ფასი (ლარი) საშ. | ცვლილება (%) წლის დას-დან | ბრუნვა (აქცია) | ბრუნვა (ლარი) | კაპიტალიზაცია (ლარი) | რეკომენდაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| GEB | 8 | 12.80 | 12.90 | 12.84 | 53.9 | 4,359 | 55,966 | 198,592,599 | - |
| AEST | 10 | 1.60 | 1.60 | 1.60 | -13.6 | 1,800 | 2,880 | 129,836,618 | გაყიდვა |
| UTC | 18 | 0.20 | 0.77 | 0.64 | -65.3 | 85,350 | 54,783 | 52,096,943 | ყიდვა |
| ENIS | 1 | 6.43 | 6.43 | 6.43 | 2,822.7 | 600 | 3,858 | 11,657,378 | რეკ. გარეშე |
| SSBS | 6 | 500.00 | 500.00 | 500.00 | 171.7 | 31 | 15,500 | 2,701,000 | რეკ. გარეშე |
| SOPM | 1 | 5.10 | 5.10 | 5.10 | -72.0 | 14,720 | 75,072 | 1,501,430 | რეკ. გარეშე |
| GR92 | 2 | 1.40 | 1.40 | 1.40 | na | 3,459 | 4,843 | 512,067 | რეკ. გარეშე |
| REAQ | 1 | 3.64 | 3.64 | 3.64 | 1,720.0 | 343 | 1,249 | 469,167 | რეკ. გარეშე |
| TUSB | 1 | 90.00 | 90.00 | 90.00 | -1.1 | 4 | 360 | 71,280 | რეკ. გარეშე |
| STLM | 3 | 0.40 | 0.50 | 0.44 | na | 3,607 | 1,584 | 38,203 | რეკ. გარეშე |
| სულ | | | | | | | 216,095 | | |

სესია No. 45, 6 ივნისი 2006

| კოდი | გარიგებათა რაოდენობა | ფასი (ლარი) მინ. | ფასი (ლარი) მაქს. | ფასი (ლარი) საშ. | ცვლილება (%) წლის დას-დან | ბრუნვა (აქცია) | ბრუნვა (ლარი) | კაპიტალიზაცია (ლარი) | რეკომენდაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| #PCB1T | 1 | 941.58 | 941.58 | 941.58 | 5.0 | 36 | 33,897 | | რეკ. გარეშე |
| GEB | 5 | 12.84 | 12.84 | 12.84 | 53.9 | 3,919 | 50,320 | 198,608,067 | - |
| UGB | 2 | 2.13 | 2.16 | 2.13 | 204.7 | 1,391 | 2,967 | 87,453,000 | გაყიდვა |
| UTC | 25 | 0.35 | 0.94 | 0.83 | -55.3 | 102,085 | 84,489 | 67,190,450 | ყიდვა |
| STSP | 2 | 5.00 | 5.00 | 5.00 | -37.5 | 84 | 420 | 1,960,695 | რეკ. გარეშე |
| TABR | 3 | 0.40 | 0.40 | 0.40 | na | 2,786 | 1,114 | 778,134 | რეკ. გარეშე |
| REAQ | 1 | 3.64 | 3.64 | 3.64 | 1,720.0 | 299 | 1,088 | 469,167 | რეკ. გარეშე |
| სულ | | | | | | | 174,295 | | |

**GALT & TAGGART BLUE CHIP ინდექსის შემადგენელი კომპანიები**

| კომპანია | კოდი | რეკომენდაცია | ფასი (ლარი) | ცვლილება (%) კვირის | ცვლილება (%) წლის დას-დან | ბოლო ვაჭრობის თარიღი | ბრუნვა (ლარი) | კაპიტალიზაცია (ლარი) | თავისუფალი მიმოქცევის კოეფ. (%) | GTBCI წონა (%) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეი-ი-ეს თელასი | AEST | გაყიდვა | 1.60 | 0.00 | 6.67 | 6-ივნ-06 | 2,880 | 129,836,618 | 0.1 | 0.2 |
| საქართველოს ბანკი | GEB | - | 12.84 | -0.37 | 53.76 | 8-ივნ-06 | 106,286 | 199,383,995 | 22.0 | 59.3 |
| გაერთიანებული ქართული ბანკი | UGB | ფლობა | 2.13 | 12.11 | 83.62 | 8-ივნ-06 | 2,967 | 44,730,000 | 10.0 | 6.0 |
| ბაგრატიონი-1882 | BAGR | ფლობა | 2.30 | 0.00 | 15.00 | 30-მარ-06 | 0 | 17,051,246 | 5.2 | 1.2 |
| ყაზბეგი | KAZB | ფლობა | 27.00 | 0.00 | 50.00 | 30-დეკ-06 | 0 | 26,172,909 | 35.5 | 12.6 |
| გაერთიანებული სატელეკონუნიკაც. კომ | UTC | ყიდვა | 0.64 | -33.88 | 78.33 | 8-ივნ-06 | 139,272 | 66,277,951 | 9.4 | 8.4 |
| უნივერმაღი თბილისი | UTB | ფლობა | 7.51 | 0.00 | 200.40 | 28-მარ-06 | 0 | 21,028,000 | 42.7 | 12.1 |
| რუსთავცემენტი | RUCE | ყიდვა | 1.10 | 0.00 | 54.93 | 17-იან-06 | 0 | 1,739,055 | 10.3 | 0.2 |
| სულ | | | | | | | 251,405 | 506,219,773 | | 100 |

**საფონდო ბაზარზე ფიქსირებული შემოსავლის მქონე ინსტრუმენტებით ვაჭრობის შედეგები**

5 ივნისი, 2006 – 9ივნისი, 2006

| ემიტენტი | ემისიის მოცულობა (ლარი) | დაფარვის თარიღი | შაპროც. განაკვეთი (%) | ფასი ყიდ | ფასი გაყ | ფასი საშ | დღის ბრუნვა | YTM (%) | ცვლილება (ს.პ.) | სპრედი (აშშ სახაზინო ვალდებულებებთან) | დურაცია | რეიტინგი Fitch /Moody's/ S&P |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს ბანკი | 1,707,300 | 02/09/07 | 11 | 102 | 102 | 102 | - | 11.00 | -5 | 601 | 1.09 | B-/B3 |
| პროკრედიტბანკი | 5,926,000 | 06/11/06 | 0 | - | - | 94.15 | - | 15.10 | 100 | 1005 | 0.41 | B / - / - |

აქტიური ყიდვა: ფასის 20%-ზე მეტად მოსალოდნელი ზრდა ყიდვა: 10%-20% ზრდა ფლობა: 10% კლება ან 10% ზრდა, გაყიდვა: 10%-ზე მეტი კლება

სს გალტ & თაგგარტ სიქიურითის
საქართველო, 0162,თბილისი
ი. ჭავჭავაძის გამზირი 74ა
ტელ: + 995 32 235 800
ფაქსი: + 995 32 235 804

ანალიტიკოსი
თამუნა ბიჭინაშვილი
ტელ: + 995 32 235 800
ელ-ფოსტა: research@galtandtaggart.ge

ზემოთმოყვანილი მასალა შექმნილია სს "გალტ ენდ თაგგარტ სიქიურითის" მიერ. "გალთ ენდ თაგგარტი" წარმოადგენს მომსახურების სრული სპექტრის მქონე საბროკერო კომპანიას, რომელიც დაკავშირებულია სს "საქართველოს ბანკთან" ("საქართველოს ბანკი" არის "გალტ ენდ თაგგარტის" უმსხვილესი აქციონერი და მნიშვნელოვანი კლიენტი). „გალტ & თაგგარტს" და/ან მასთან დაკავშირებულ პიროვნებებს შეუძლიათ განახორციელონ ან ჰქონდეთ განხორციელებული მათ საკუთარ ანგარიშზე ოპერაცია ან ოპერაციები იმ ინვესტიციებში, რომლებიც მოცემულია ზემოხსენებულ მასალაში ვიდრე შესაბამისი მასალა გამოქვეყნდება "გალტ ენდ თაგგარტ"-ის კლიენტებისათვის. ეს დოკუმენტი არ არის და არ უნდა იყოს გაგებული როგორც რომელიმე ფასიანი ქაღალდის გაყიდვის ან ყიდვის შეთავაზება. ინფორმაცია და შეხედულებები, რომლებსაც მოიცავს ეს დოკუმენტი, "გალტ ენდ თაგგარტი"ს მიერ შედგენილია ან მიღებულია სარწმუნო წყაროებიდან კეთილსინდისიერების დაცვით, მაგრამ ეს არ ნიშნავს და არ იძლევა მათი სიზუსტის, სრულყოფილობისა და კორექტულობის გარანტიას. ამ დოკუმენტში მოცემული ყველა შეხედულება და შეფასება ეფუძნება "გალტ ენდ თაგგარტის" გადაწყვეტილებებს მოცემული კონკრეტული თარიღისათვის და ექვემდებარება შეტყობინების გარეშე შეცვლას. ამ დოკუმენტში გადმოცემული ინფორმაცია გამოქვეყნებულია მის სავარაუდო რეციპიენტთა (მკითხველთა) დასახმარებლად, მაგრამ იგი არ შეიძლება ჩაითვალოს ოფიციალურად ან მიღებულ იქნეს რომელიმე რეციპიენტის მიერ საკუთარი გადაწყვეტილების განხორციელებისათვის. "გალტ & თაგგარტი" არ ღებულობს პასუხისმგებლობას არანაირი, პირდაპირ თუ მოსალოდნელი, იმ დანაკარგებისათვის, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას ამ დოკუმენტის გამოყენების შედეგად ან მისი შინაარსიდან გამომდინარე. ეს დოკუმენტი არ შეიძლება იყოს გამრავლებული, გავრცელებული ან გამოქვეყნებული რაიმე მიზნისათვის მესამე პირის მიერ. დამატებითი ინფორმაცია შესაძლებელია მიღებულ იქნეს "გალტ & თაგგარტის" ზემოთმოცემულ მისამართზე.

24 საათი C

© გაზეთი 24 საათი

# სპორტი

თქვენი რეკლამა
"სპორტში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:

ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

## მარადონამ დანაპირები შეასრულა



C2

## ვალდებულია!



C3

## ფესტივალი კალათში მოთავსდა



C4



### სულ მალე დაიწყება წლის მთავარი სპორტული მოვლენა - მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

საზოგადოებრივი არხი და გადაცემა "არენა" ცხრიდან თოთხმეტი წლის ჩათვლით ასაკის ბავშვებს დიდ სპორტულ ვიქტორინაში მონაწილეობის მიღებას სთავაზობს, რომელიც ჩემპიონატამდე სამი კვირით ადრე, 15 მაისს დაიწყება.

ვიქტორინაში გამარჯვებული ბავშვები ფეხბურთის ბურთებით დასაჩუქრდებიან და ასევე გამოვლინდება კვირის საუკეთესო კომენტატორი.

გამარჯვებულებს შეარჩევს კომპეტენტური ჟიური, რომელიც სპორტული ჟურნალისტებითა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებით იქნება დაკომპლექტებული.

სამი გამარჯვებული ბავშვი მსოფლიო ჩემპიონატის შემაჯამებელ გადაცემაში მიიღებს მონაწილეობას. მათ აგრეთვე საჩუქრად გადაეცემათ დვდ-პლეიერები და საზოგადოებრივი არხის პროდუქცია დვდ-დისკებზე.

პირველ ადგილზე გასული ბავშვი დასაჩუქრდება ორკაციანი საგზურით ურეკში, სასტუმრო "კოლხიდაში."

მიიღეთ მონაწილეობა ვიქტორინაში!
უყურეთ ფეხბურთს!
უყურეთ პირველს!

**დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:**

**საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება:** 21 33 67

**სარეკლამო სამსახური:** 21 33 54, 33 23 11

**სპორტული რედაქცია:** 33 17 15




# გერმანია, გერმანიაა!!!



*ოლივერ ნოივილის გუნდმა გერმანიის ნაკრებს გამარჯვება მოუტანა.*

გერმანიის ნაკრებმა ძველი ტრადიცია გაიხსენა და როცა დასჭირდა, მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში მოახერხა გამარჯვება. სტაჟიან გულშემატკივარს გერმანელების მიერ შესრულებული ასეთი მატჩები მრავლად ახსოვს მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატებზე და სწორედ ასეთი მატჩების გამო დაიმკვიდრა გერმანიის ნაკრებმა მებრძოლი გუნდის სახელი.

ოლივერ ნოივილმა მესამე ცდაზე მაინც გაიტანა. 91-ე წუთზე მან მარჯვენა ფრთიდან წამოწყებული შეტევა დააგვირგვინა და, ფაქტობრივად, თავის გუნდს მერვედფინალის საგზური არგუნა.

არადა იურგენ კლინსმანის გუნდს ძალიან გაუჭირდა. თამაშამდე კლინსმანი აცხადებდა კიდეც, რომ პოლონეთისგან გააფთრებულ წინააღმდეგობას ელოდა და ამისთვის, თითქოს, მზად უნდა ყოფილიყო, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლებმა ვერა და ვერ მოახერხეს გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება და პოლონელთა საბოლოოდ გატეხვა, ვიდრე მსაჯმა სლავებს სობოლევსკი არ გაუძევა. ეს მატჩის 75-ე წუთზე მოხდა. მანამდე მიროსლავ კლოზეს ოთხი ხელსაყრელი მომენტი ჰქონდა, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ გამოიყენა. შეცვლაზე შემოსულ ოლივერ ნოივილსაც შეეძლო პოლონელთა დამწუხრება, მაგრამ არც მისი მცდელობა გამოდგა შედეგიანი.

სამაგიეროდ, კლოზემ ერთი დიდი საქმე გააკეთა. მის წინააღმდეგ უხეში თამაშისთვის მინდვრიდან სობოლევსკი გააძევეს. მისი გაძევების შემდეგ კი გერმანელთა უპირატესობა შტურმში გადაიზარდა. ნოივილმა გამარჯვება მოუტანა მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლებს.

ამრიგად, პოლონეთის ნაკრებმა პრაქტიკულად დაკარგა მერვედფინალში გასვლის იმედი და პრაქტიკულად მწვრთნელის - პაველ ჟენასის ექსპერიმენტებს შეეწირა. შეგახსენებთ, რომ ჟენასმა მსოფლიო პირველობაზე არ წაიყვანა გუნდის ორი გამოკვეთილი ლიდერი - „ლივერპულის“ მეკარე დუდეკი და ფორვარდი ფრანკოვსკი და განაცხადა, რომ თავისი გადაწყვეტილების გამო პასუხს აგებს. ალბათ, მართალია ბატონი ჟენასი. მას პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციის წინაშე მართლაც მოუწევს პასუხისგება.

### გერმანია - პოლონეთი 1:0

**გერმანია:** ლემანი, ფრიდრიხი (ოდონკორი, 64`), შვაინშტაიგერი (ბოროვსკი, 77`), ფრინგსი, კლოზე, ბალაკი, ლამი, მარტესაკერი, შნაიდერი, პოდოლსკი (ნოივილი, 71`), მეტცელდერი.
**მწვრთნელი: იურგენ კლინსმანი**
**პოლონეთი:** ბორუჩი, ბაჟინსკი, ბაკი, სობოლევსკი, კრჟინოვეკი (ლევანდოვსკი, 77`), ჟურავსკი, ზევლაკოვი (დუდკა, 83`), სმოლიარეკი, რადომსკი, ბოსაკი, ჟელენი (ბროჟეკი, 91`).
**მწვრთნელი:** პაველ ჟენასი
**გოლები:** 1:0 - ნოივილი (91`)
**გაფრთხილება:** კრჟინოვეკი, სობოლევსკი, ბალაკი, ოდონკორი, მეტცელდერი, ბორუჩი.
**გაძევება:** სობოლევსკი (75`)
**მსაჯი:** ლუის მედინა კანტალიეხო (ესპანეთი)
**16 კარში დარტყმა 5**
**8 კარისკენ დარტყმა 3**
**21 ჯარიმა 17**
**10 კუთხური 4**
**6 თამაშგარე 2**
**58 ბურთის ფლობა 42**
**მატჩის საუკეთესო მოთამაშე:** ფილიპ ლამი (გერმანია)

## თემურ მახარაძე:
## „მუნდიალი ახლა იწყება“

„24 საათი“ გთავაზობთ მწვრთნელ თემურ მახარაძის კომენტარს მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატთან დაკავშირებით. იმ დროს, როცა ქართული კლუბების დიდ ნაწილს დილეტანტი მწვრთნელები ხელმძღვანელობენ, ეს ნიჭიერი სპეციალისტი უმუშევრადაა. თუმცა, ეს სხვა საუბრის თემაა, რომელსაც „24 საათი“ აუცილებლად დაუბრუნდება.

„მიუხედავად იმისა, რომ ბრაზილია გამორჩეული გუნდია, ჩემი აზრით, უპირველეს ფავორიტად მაინც გერმანია უნდა მივიჩნიოთ. პირველივე თამაშმა დაადასტურა, რომ გერმანელთა ამბიცია ჩემპიონატის მოგებაზე სულაც არ არის საფუძველს მოკლებული. „საკუთარი კედლების“ მხარდაჭერა ამ ამბიციას კიდევ უფრო აძლიერებს. რაც შეეხება ბრაზილიას, მათ ამ მატჩში ცუდად, მოსალოდნელზე დაბალ დონეზე ითამაშეს. მაგრამ ბრაზილიური ფეხბურთის ფენომენი სწორედ ის არის, რომ ამ ცუდი თამაშითაც კი გაიმარჯვეს და დაამარცხეს ძალიან კარგი მეტოქე - ხორვატია. დამთრგუნველი, ძალზე ცუდი შთაბეჭდილება დატოვა საფრანგეთის ნაკრებმა. თუ ფრანგებმა არ გააუმჯობესეს თამაშის ხარისხი, შესაძლოა, ოთხი წლის წინანდელი ამბავი გამეორდეს - მათ ჯგუფური ეტაპიც ვერ დაძლიონ. ბედად, დარჩენილ ორ მატჩში არცთუ ისე ძლიერ მეტოქეებთან უწევთ შეხვედრა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე სუსტები არ ხვდებიან და ნებისმიერ გუნდთან წარმატებისთვის სრული მობილიზაციაა საჭირო. თუ რა მოსდევს მეტოქის შეუფასებლობას, ოთხი წლის წინ ფრანგებმა საკუთარ ტყავზე გამოსცადეს. კარგი შთაბეჭდილება დატოვეს იტალიელებმა. ეს გუნდი თავისი დაცვითი სტილით გამოირჩეოდა. მარჩელო ლიპიმ ამ ჩემპიონატზე ერთგვარი სიურპრიზი შემოგვთავაზა. იტალიელთა დაცვის ხაზი ისეთი აუღებელი აღარ ჩანს, თუმცა, ეს მოხდა შეტევითი პოტენციალის საგრძნობლად გაუმჯობესების ხარჯზე. ასეთი მძლავრი „სკუადრა აძურა“ მსოფლიო ჩემპიონატის სტარტზე არც კი მახსოვს. დანარჩენი გუნდებიდან პირველი თამაშების შემდეგ ფავორიტის სტატუსი დაადასტურეს ჰოლანდიამ, არგენტინამ, ჩეხეთმა, ესპანეთმა, ინგლისმა. თუმცა, ნაკრებები, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატზე უმაღლეს მიზნებს ისახავენ, როგორც წესი, საწყის ეტაპზე მძიმედ იწყებენ და საკუთარი შესაძლებლობების მხოლოდ ნაწილს ავლენენ, ხოლო ფორმის პიკში პლეიოფის ეტაპზე შედიან. ასე რომ, შეიძლება ითქვას: მსოფლიო ჩემპიონატი მეორე ტურიდან იწყება. მეორე მატჩები გამოავლენს იმ გუნდების დიდ ნაწილს, რომლებიც მერვედფინალის საგზურებს მოიპოვებენ. ყველა გუნდს თანდათან „გახსნა“ და საკუთარი თამაშის დემონსტრირება მოუწევს.

ტაქტიკური სიახლეები და ნოვატორული სქემები არ ყოფილა და, ვეჭვობ, რომ ამ ჩემპიონატზე ვიხილოთ. თუ რამე გამოსაგონი იყო, ყველაფერი უკვე გამოგონილია და ფეხბურთში რევოლუციურ ცვლილებებს აღარ უნდა ველოდეთ.

მსაჯობაზეც ვიტყვი რამდენიმე სიტყვას. წინა მსოფლიო ჩემპიონატზე რა უმსგავსობებიც ხდებოდა, ყველას კარგად გვახსოვს. როგორც ჩანს, ფიფამ ამ საქმეს სერიოზულად მოკიდა ხელი. მცირე შეცდომებს თუ არ ჩავთვლით, მსაჯობა ამ ჩემპიონატზე იდეალურია. მხოლოდ, ჩემი აზრით, საფრანგეთ-შვეიცარიის მატჩში რუსმა არბიტრმა ასპროცენტიანი პენალტი არ დანიშნა შვეიცარიელთა კარში. ესპანეთ-უკრაინის მატჩში შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მსაჯის სიმპათია ერთგვარად ესპანელთა მხარეს იყო, მიუხედავად იმისა, რომ ესპანელებს სრულებით არ სჭირდებოდათ მისი დახმარება - ისედაც მშვენივრად გაართმევდნენ თავს ამოცანას.

რამდენიმე ფეხბურთელზეც ვიტყვი. ვერ წარმომიდგენია, რა უნდა რონალდოს მსოფლიო ჩემპიონატზე და, მით უმეტეს, ბრაზილიის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში. თუ ზიდანის თამაშსაც გავიხსენებთ, მივხვდებით, თუ რატომ უდგას კრიზისი მადრიდის „რეალს“. ისეთ ფეხბურთელებს, როგორებიც რონალდინიო, ანრი, ზიდანი, ბექჰემი და სხვები არიან, აშკარად ეტყობათ მომქანცველი სეზონის კვალი. ახლა შევადაროთ ისინი აფრიკელ ფეხბურთელებს. მართალია, აფრიკულმა ფეხბურთმა პირველ ტურში სრული ფიასკო განიცადა, მაგრამ ამ კონტინენტის გუნდები სამხრეთამერიკულ და ევროპულ ნაკრებებს ფიზიკური მომზადებით არათუ არ ჩამოუვარდებიან, არამედ, უმეტეს შემთხვევაში, აღემატებიან კიდეც. ტემპი, რომელიც კოტ დ`ივუარმა შესთავაზა არგენტინას, იმდენად მაღალი იყო, რომ არგენტინელები ხშირად მიმართავდნენ ტემპის დაგდების ტაქტიკას, რათა ამოესუნთქათ და სული მოეთქვათ. ვფიქრობ, ეს გუნდი შემდგომ მატჩებშიც დაგვამახსოვრებს თავს. ჩემთვის აღმოჩენა იყო ლუკა ტონი, რომელმაც პირლოსთან ერთად საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა.

## ვან ნისტელროიმ გადაწყვეტილება შეცვალა

მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი თვით ადრე რუუდ ვან ნისტელროოი ამტკიცებდა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედს“ დატოვებს. ამის მთავარი მიზეზი ალექს ფერგიუსონთან კონფლიქტი იყო. რა მოხდა ამ ორიოდე დღეში, ძნელი სათქმელია, მაგრამ, ეტყობა, რუუდი სერ ალექსს შეურიგდა, რადგან გუშინ ფეხბურთელმა განაცხადა, რომ „მანჩესტერის“ დატოვება აღარ სურს. არადა, ზუსტად ორი დღის წინ გერმანული მედია ამტკიცებდა, რომ ვან ნისტელროოი და მიუნხენის „ბაიერნი“ საკონტრაქტო დეტალებზეც კი შეთანხმდნენ.

## კვიპროსული ნოვაცია

კვიპროსში პატიმრებზე განსაკუთრებით ზრუნავენ. ამ საკურორტო ქვეყანაში ერთადერთი ციხე ყოფილა. ციხის ადმინისტრაციამ დამატებით შეიძინა ტელევიზორები, რომ პატიმრებს მსოფლიო ჩემპიონატის ხილვის საშუალება ჰქონდეთ. კვიპროსული მედიის ინფორმაციით, შეიცვალა ციხის შინაგანაწესი. ახლა პატიმრებს გვიანი მატჩების ყურების უფლებაც აქვთ. ციხეში სულ 500 პატიმარია.

## ფრანგული ანტირეკორდი

სამშაბათს საფრანგეთის ნაკრებმა ფრედ 0:0 ითამაშა შვეიცარიის გუნდთან. თავისთავად ამაში განსაკუთრებული არაფერია, მაგრამ თუ გავიხსენებთ, როდის გაიტანა უკანასკნელი გოლი საფრანგეთის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე, მეტად არასახარბიელო სურათს მივიღებთ. აგერ უკვე 8 წელიწადია სამფეროვნებს მთავარ საფეხბურთო ტურნირზე გოლი არ გაუტანიათ. უკანასკნელად ეს მოხდა 1998 წლის 12 ივლისს, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩში, რომელშიც საფრანგეთის ნაკრებმა ბრაზილიელები 3:0 დაამარცხა. ფრანგების უკანასკნელი სამუნდიალო გოლი ემანუელ პეტის ანგარიშზეა.

# ესპანეთმა უკრაინული ზღაპარი დაასამარა



მორიგი გოლი შოვკოვსკის კარში.

**ესპანეთი - უკრაინა 4:0**
**გოლები:** 1:0 ჩაბი ალონსო (13), 2:0 ვილია (17). 3:0 ვილია (48 პენ), 4:0 ფერნანდო ტორესი (81)
**გაფრთხილება:** რუსოლი, იეზერსკი
**გაძევება:** ვაშჩუკი (47)
**ესპანეთი:** კასილიასი, სერხიო რამოსი, პუიოლი, იბანიესი, პერნია, ჩავი, მარკოს სენა, ჩაბი ალონსო (ალბელდა 55), ვილია (რაული 55), ფერნანდო ტორესი, ლუის გარსია (ფაბრეგასი 77)
**მწვრთნელი:** ლუის არაგონესი
**უკრაინა:** შოვკოვსკი, იეზერსკი, ვაშჩუკი, რუსოლი, ნესმაჩნი, ჰუსინი (ვოროზეი 46), ტიმოშჩუკი, გუსევი (შელაევი 46), როტანი (რებროვი 64), ვორონინი, შევჩენკო
**მწვრთნელი:** ოლეგ ბლოხინი
**მსაჯი:** მასიმო ბუსაკა (ბელგია)
**10 კარში დარტყმა 2**
**19 კარისკენ დარტყმა 5**
**11 ჯარიმა 14**
**7 კუთხური 1**
**2 თამაშგარე 0**
**მატჩის საუკეთესო მოთამაშე:** ჩავი

გუშინ დასამარდა უკრაინული ზღაპარი. ილუზია იმის თაობაზე, რომ უკრაინის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის მთავარ აღმოჩენად იქცეოდა, ესპანეთის ნაკრებმა გააქარწყლა. საქართველოში უკრაინის ნაკრებს საკმაოდ ბევრი გულშემატკივარი ჰყავს, მაგრამ, რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, ჯერჯერობით უკრაინის ნაკრებზე უსუსური ფეხბურთი მუნდიალზე არავის უთამაშია. ცალკე თემაა ანდრეი შევჩენკო. მართალია, უკრაინელთა ლიდერი ფაქტობრივად ტრავმირებული გავიდა მინდორზე, მაგრამ მისგან ალბათ ცოტა მეტს ელოდნენ. გუშინ შევჩენკო საკუთარ აჩრდილს ჰგავდა. ლონდონის „ჩელსის“ მიერ 40 მილიონ გირვანქა სტერლინგად ნაყიდ ფეხბურთელს მინდორზე გროშის ფასი არაფერი გაუკეთებია.

რაც შეეხება ესპანეთის ნაკრებს, ალბათ მწარედ ცდებოდა ის, ვინც პირენეელები დროზე ადრე გამორიცხა ფავორიტთა სიიდან. ფავორიტებიდან ჯერჯერობით ყველაზე დამაჯერებელი და ლამაზი თამაში სწორედ ესპანელებმა აჩვენეს.

ლუის არაგონესის გუნდმა არანაირი შანსი არ დაუტოვა უკრაინელებს. ოთხი გოლი და მატჩის მშრალი სტსტისტიკა ამის ნათელი დასტურია.

თითოეულ გოლზე შეჩერება ნამვდილად არ ღირს, თუმცა ესპანელთა მესამე გოლი ალბათ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია. როდესაც კარლეს პუიოლი ტექნიკის დემონსტრაციას ახდენს და შემდეგ ულამაზეს საგოლე გადაცემას აკეთებს, ეს უკვე მრავლისმთქმელია. „ბარსელონას“ კაპიტანს არც შეტევაში ჩართვა სჩვევია და, მით უმეტეს, არც ტექნიკის დემონსტრირება, მაგრამ უკრაინის ნაკრებთან მატჩში მანაც კი მოახერხა საკუთარი ოსტატობის გამომჟღავნება და ფერნანდო ტორესს გოლიც გაატანინა.

ერთი სიტყვით, უკრაინელებმა ყოვლად უსუსური ფეხბურთი ითამაშეს. ერთი პირობა კაცი იმასაც იფიქრებდა, საცოდაობაა, რომ მუნდიალზე დანიელების ნაცვლად უკრაინის ნაკრები თამაშობსო.

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ უკრაინის ნაკრებს გასამართლებელი საბუთი მაინც აქვს. ბოლოს და ბოლოს, მუნდიალის ყველა დებიუტანტმა ჩააგდო პირველი მატჩი და არც უკრაინა გამოდგა გამონაკლისი. ბლოხინის გუნდს კიდევ შეუძლია მდგომარეობის გამოსწორება. ამისთვის საჭიროა მომდევნო ორი მატჩის მოგება. რაც შეეხება ესპანეთის ნაკრებს, თუ არაგონესის ბიჭებმა ასე გააგრძელეს თამაში, პირენეელთა გუნდი მუნდიალის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი იქნება.

# 2:2 - უკრაინის სასარგებლოდ



არაბებმა გამარჯვება ვერ შეინარჩუნეს.

**ტუნისი - საუდის არაბეთი 2:2**
**ტუნისი:** ბუმნიელი, ჰაგუი, ჯაზირი, რტაბელსი, ჩიხაუი (ესედირი, 82`), მნარი, ბუაზიზი (ნაფტი, 55`), ჩედლი (გოდბანი, 69`), ჯაიდი, ჯემალი, ნამუჩი.
**მწვრთნელი:** როჟე ლემერი
**ს. არაბეთი:** ზაიდი, დოხი, ტუკარი, ალ მონტაშერი, ალ ჩამდი, ნოორი (ამეენი, 75`), სულიმანი, კარირი, აზიზი, ალ ტემიატი (ალ ჰავსავი, 67`), ალ კატანი (ალ ჯაბერი, 82).
**მწვრთნელი:** პაქუეტა
**გოლები:** 1:0 - ჯაზირი(23`), 1:1 - ალ კატანი (57`), 1:2 - ალ ჯაბერი (84`), 2:2 - ჯაიდი (92`).
**გაფრთხილება:** ჰაგუი, ბოაზიზი, ჩედლი, ჩიხაუი.
**მსაჯი:** მარკ შილდი (ავსტრალია)
**6 კარში დარტყმა** 13
**2 კარისკენ დარტყმა 5**
**17 ჯარიმა 12**
**3 კუთხური 4**
**1 თამაშგარე 1**
**49 ბურთის ფლობა 51**
**მატჩის საუკეთესო მოთამაშე:** ჯაზირი (ტუნისი)

მას შემდეგ, რაც უკრაინის ნაკრებმა სირცხვილი ჭამა ესპანელებთან და - 0:4 დამარცხდა, ტუნისისა და საუდის არაბეთის გუნდებს კარგი შანსი ჰქონდათ, მეორე ტურის წინ სერიოზული ჰანდიკაპისთვის მიეღწიათ უკრაინელებთან შედარებით.

ამისთვის, რომელიმე გუნდს უნდა მოეგო და, კაცმა რომ თქვას, ჯგუფიდან გასვლასთანაც ძალიან ახლოს იქნებოდა, მაგრამ საფეხბურთო ფორტუნამ ისე განსაჯა, რომ მატჩი ფრედ დასრულდა და უკრაინასაც შეუნარჩუნა მომდევნო ეტაპზე გასვლის კარგი შანსი. სწორედ ეს არის მსოფლიო ჩემპიონატის ხიბლი, რომ ტურნირი ბოლომდე გამოუცნობია და ამა თუ იმ გუნდის ავ-კარგი სწორედ ჯგუფის ბოლო ტურში გამოვლინდება.

მატჩის უპირობო ფავორიტად აფრიკელებს მიიჩნევდნენ. ჯერ ერთი რომ ტუნისის ნაკრები აფრიკის თასის ფინალისტია და შესაბამისად მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშის დიდი გამოცდილებაც აქვს, ამიტომ არაბებთან შედარებით უპირატეს მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო. მეორეც ის, რომ მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებიდან თავისი მატჩი ყველა აფრიკულმა გუნდმა წააგო და ნაკლებად მოსალოდნელი იყო, რომ ტონისიც სხვა აფრიკელების მსგავსად დამარცხდებოდა.

არ დამარცხდა კიდეც, მაგრამ სიმართლე რომ ითქვას, ამას უფრო საფეხბურთო ფორტუნის კეთილგანწყობას უნდა უმადლოდეს. ჯაიდიმ ხომ ანგარიში მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში გაათანაბრა თავური დარტყმით.

თამაში კი ორმხრივი შეტევებით დაიწყო და პირველმა ტუნისის ნაკრებმა მიაღწია წარმატებას, როცა თამაშის 23-ე წუთზე ჯაზირიმ ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში. აფრიკელებს ამის შემდეგაც ხელთ ეპყრათ უპირატესობა და პირველი ტაიმი საკუთარი კარნახით წარმართეს.

მეორე ნახევარში კი არაბებმა თამაშის ტემპს უმატეს და მეტოქის კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს, რომელთაგან ერთ-ერთი ალ კატანიმ 57-ე წუთზე გოლით დააგვირგვინა. შემდგომში მდგომარეობა დიდად არ შეცვლილა. გოლის ავტორი ალ კატანი ალჯაბერმა შეცვალა და 84-ე წუთზე მანაც გამოიჩინა თავი. თითქოს არაბები გამარჯვებასთან ახლოს იყვნენ, მაგრამ მათ იმედებს ჯაიდმა გადაასხა ცივი წყალი. საბოლოოდ - 2:2, რომელიც ყველაზე უფრო უკრაინის ნაკრებს აძლევს ხელს. მომდევნო ტურში საუდის არაბეთი უკრაინას შეხვდება, ხოლო ესპანელები ტუნისთან მოსინჯავენ ძალებს.

# მარადონამ დანაპირები შეასრულა

ორშაბათს დიეგო მარადონამ დანაპირები შეასრულა და არგენტინის ნაკრები სრული შემადგენლობით მიიწვია სადილზე. მოგეხსენებათ, ფეხბურთის უგვირგვინო მეფე ამჟამად გერმანიაშია. მარადონა ერთ-ერთი არგენტინული ტელევიზიისთვის ამზადებს რეპორტაჟებს და ამავე დროს არგენტინის ნაკრების ნომერ პირველი გულშემატკივრის სტატუსით სარგებლობს.

დიეგო დაესწრო ალბისელესტეს პირველ მატჩს და ალბათ ტელემაყურებელმაც ნახა, როგორ ხარობდა ლეგენდარული ფეხბურთელი თავის ქალიშვილთან ერთად თანამემამულეთა წარმატების გამო.



მარადონა და მისი ქალიშვილი.

„ბედნიერი ვარ, რომ სტადიონზე ვიყავი და ფეხბურთელებსაც ვესაუბრე. ჩვენმა გუნდმა ბრწყინვალედ ითამაშა და გამარჯვებაც დაიმსახურა, - ამბობს მარადონა, - ეს ბრწყინვალე მატჩი იყო. მართალია, ტრიბუნაზე ვიყავი, მაგრამ ყველაფერს ვაკეთებდი, რომ ფეხბურთელებს ჩემი თანადგომა ეგრძნოთ“.

არგენტინისა და კოტ-დ’ივუარის მატჩის დაწყებამდე დიეგო არგენტინის ნაკრების ფეხბურთელებს გასახდელშიც ეწვია და შეძლებისდაგვარად გაამხნევა თანამემამულეები. შემდეგ კი ფეხბურთელებს შეჰპირდა, რომ გამარჯვების შემთხვევაში ყველას სადილზე დაპატიჟებდა.

ორშაბათს დიეგო ქალიშვილთან ერთად არგენტინის ნაკრებს საწვრთნელ ბაზაზე ეწვია და დანაპირებიც შეასრულა.

„არგენტინის ნაკრებმა აფრიკელების წინააღმდეგ ძალიან კარგად ითამაშა. ყველამ იცოდა, თუ რა უნდა ეკეთებინა მინდორზე. როდესაც დავწინაურდით, უპრიანი იყო, მეტოქისთვის შეტევის საშუალება არ მიგვეცა. 2:0-ის შემდეგ კი აბსოლუტურად ნორმალური იყო დაცვითი სტილის არჩევა. ისიც უნდა ვთქვა, რომ აფრიკელებმა ძალიან კარგად ითამაშეს. მატჩის მიწურულს კი ცოტა მანერვიულეს კიდეც,“ - ამბობს მარადონა.

შეგახსენებთ: რამდენიმე თვის წინ დიეგომ ისიც თქვა, რომ არგენტინის ნაკრების მთავარ მწვრთნელობაზე უარს არ იტყოდა. გამორიცხული არ არის მუნდიალის შემდეგ მან ეს თანამდებობა დაიკავოს.

ჯერჯერობით კი დიეგო არგენტინელთა მთავარი გულშემატკივარია და ალბათ ალბისელესტეს ყოველ მატჩზე ვიხილავთ მას ტრიბუნებზე.

## ფოთს ზუგდიდი ჩაენაცვლება?

ქეთინო ჭაკობია

ცენტრალურ სტადიონზე გამართული საპროტესტო აქციის შედეგად ფოთის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთი 1913“-ის ფინანსური მდგომარეობა ვერ გაუმჯობესდა. კლუბის ხელმძღვანელობის, ბავშვთა საფეხბურთო სკოლების აღსაზრდელების, მშობლებისა და გულშემატკივრების მიერ ადგილობრივი მთავრობისადმი წაყენებული ულტიმატუმის სამდღიანი ვადა რეაგირების გარეშე ამოიწურა. ქალაქის ხელისუფლება აცხადებს, რომ „კოლხეთი 1913“-ის დასაფინანსებლად ბიუჯეტში თანხები არ მოიძებნება. გუნდის შენახვის სურვილი სხვას არავის გამოუთქვამს.

„ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ „კოლხეთი 1913“-მა დატოვოს უმაღლესი ლიგა. ზუგდიდში ოთხი სტადიონის სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს და არის ჩანაფიქრი, რომ უმაღლეს ლიგაში ზუგდიდის გუნდი „კოლხეთის“ ხარჯზე გაიყვანონ,“ - ამბობს კლუბის პრეზიდენტი მერაბ ასანიძე.

მთავრობის წევრის, სპორტისა და ტურიზმის სამსახურის უფროსის ზურაბ ტიბუას განმარტებით, ბავშვთა საფეხბურთო სკოლებს დახურვის საფრთხე არ ემუქრება. ისინი, როგორც სპორტის სხვა სახეობების სპეციალიზებული სკოლები, ბიუჯეტიდან დაფინანსდება.

„200 ათასი ლარი, რომლითაც გასულ სეზონზე „კოლხეთი 1913“ ბიუჯეტიდან დაფინანსდა, მოაკლდა სხვა სპორტსმენებს. სამწუხაროდ, ერთი კარგი საქმე მეორის დაზარალებით გაკეთდა. უნდა გამოინახოს დაფინანსების სხვა წყარო“, -აცხადებს ტიბუა.

უკვე არავინ ახსენებს თურქულ კომპანია „გუნაის,“ რომელიც ფოთის საფეხბურთო კლუბის პოტენციურ სპონსორად მოიაზრებოდა. თურქების მიერ ქალაქში ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის აშენება, სხვა მრავალი პროექტის მსგავსად, უპერსპექტივო პერსპექტივად დარჩა. ბიუჯეტის იმედად ყოფნა უიმედო რეალობაა. რამდენიმე დღეში გაირკვევა, ფინანსური გარანტიების უქონლობა გახდება თუ არა „კოლხეთი 1913“-ისთვის უმაღლესი ლიგის დატოვების მიზეზი.

## მსოფლიო ჩემპიონატის საგზური გათამაშდა

ფოთში დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი ჭადრაკში, რომელშიც რვა წლამდე ასაკის გოგონები და ვაჟები მონაწილეობდნენ. გოგონებს შორის სამივე საპრიზო ადგილზე ქუთაისელი მოჭადრაკეები გავიდნენ, ვაჟებს შორის პირველი-მეორე ადგილები ქუთაისელებმა, მესამე ადგილი კი ფოთელმა ნიკა ღვამბერიამ დაიკავა. „ჩემპიონატი ათ დღეს გრძელდებოდა. გვყავს ერთი პრიზიორი. მთლიანობაში ფოთმა გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილი დაიკავა,“ - აღნიშნა ფოთის საჭადრაკო-საშაშო სპეციალიზებული სკოლის დირექტორმა დავით კოდუამ.

სამ ფოთელ მოჭადრაკესთან ერთად ნიკა ღვამბერიამ მსოფლიო ჩემპიონატის საგზური მოიპოვა. ჩემპიონატი ოქტომბერში ბათუმში გაიმართება.

## ინფოთეკა

### პენალტი არ ყოფილა

საფრანგეთისა და შვეიცარიის მატჩში იყო მომენტი, როდესაც ერთ-ერთ შვეიცარიელ ფეხბურთელს ბურთი ხელზე მოხვდა და ფრანგების სასარგებლოდ პენალტის დანიშვნაც შეიძლებოდა, მაგრამ რუსმა არბიტრმა ვალენტინ ივანოვმა ეს მომენტი უყურადღებოდ დატოვა. მატჩის შემდეგ მსაჯმა თავისი გადაწყვეტილება ასე ახსნა: „ამ თემაზე საუბარიც არ ღირს. პენალტი არ ყოფილა. ფეხბურთის წესებში წერია: თუ ფეხბურთელს ბურთი ხელზე ხვდება, ეს ავტომატურად არ ნიშნავს წესის დარღვევას. ამ დროს ორი ვარიანტია: პირველი, თუ ფეხბურთელმა ხელით ითამაშა და მეორე, თუ ბურთი შემთხვევით მოხვდა მას ხელზე. იმ ეპიზოდში მცველი და თავდამსხმელი ერთმანეთთან ახლოს იყვნენ და მცველს იმის დრო არ ჰქონია, რომ ხელი დაემალა. ასე რომ, ბურთმა მოძებნა ხელი და არა ხელმა ბურთი. ანრიმ ბურთი კარისკენ დაარტყა და მიულერს შემთხვევით მოხვდა ხელზე. შვეიცარიელმა ფეხბურთელმა ხელის განძრევაც კი ვერ მოასწრო. ასე რომ, პენალტი არ ყოფილა“.

უნდა აღინიშნოს, რომ ფიფამ მაღალი შეფასება მისცა რუს მსაჯთა ბრიგადის მუშაობას.

### დამნაშავეები დაისჯებიან

მსოფლიო ჩემპიონატი იტალიის ნაკრების ტრიუმფითაც რომ დასრულდეს, პირებს, რომლებიც გარეული არიან იტალიურ საფეხბურთო სკანდალში, ამნისტია არ შეეხებათ. ასეთი განცხადება გააკეთა იტალიის სპორტის მინისტრმა ჯოვანა მილანდრიმ.

„გამოძიება გრძელდება და ნებისმიერ შემთხვევაში საქმეს ბოლომდე მივიყვანთ“, - განაცხადა მინისტრმა. საქმე ისაა, რომ, ზოგიერი იტალიელი პოლიტიკოსის აზრით, თუ ეროვნულმა ნაკრებმა გერმანიაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, საფეხბურთო სკანდალი დავიწყებას უნდა მიეცეს და ამნისტია გამოცხადდეს. იგივე პოლიტიკოსები ამბობენ, რომ მუნდიალის პერიოდში გამოძიება საერთოდ უნდა შეწყდეს და მხოლოდ იმ შემთხვევაში განახლდეს, თუ „სკუადრა აძურამ“ მსოფლიო ჩემპიონატზე კრახი განიცადა.

თუმცა, რომის, ნეაპოლისა და ტურინის პროკურატურა გამოძიებას აგრძელებს. ახლა ამ გამოძიების დეტალებზე არ შევჩერდებით, გულშემატკივრებისთვის მშვენივრად არის ცნობილი, თუ რა ხდება ახლა იტალიურ ფეხბურთში. უბრალოდ, გეტყვით, რომ საქმეში უკვე 71 საფეხბურთო გუნდი ფიგურირებს.

# ლამაზი თამაშის დროც მოვა

ბრაზილია-ხორვატიის მატჩის საუკეთესო ფეხბურთელის რიკარდო იზეკსონის აზრით, რომელსაც მთელი მსოფლიო კაკას სახელით იცნობს, მუნდიალის პირველ მატჩებში წინა პლანზე გამოდის არა ფიზიკური და ტაქტიკური მომზადება, არამედ ფსიქოლოგიური ფაქტორი. ამასთან, კაკას თქმით, გერმანია კიდევ ნახავს ბრაზილიელთა ლამაზ თამაშს.

ამ ახალგაზრდა ფეხბურთელის პროგრესი მეტად შთამბეჭდავია. ვარსკვლავის სტატუსი მას ჯერ კიდევ ოთხი წლის წინ მიენიჭა, როდესაც ლუიშ ფელიპე სკოლარიმ ის სამუნდიალო განაცხადში დაასახელა. 2003 წელს კი ფეხბურთელი „სან პაულოდან“ „მილანში“ გადავიდა. შეიძლება ითქვას, რომ იტალიური კლუბისთვის ეს ტრანსფერი ბოლო წლების ყველაზე მნიშვნელოვანი შენაძენია. 24 წლის კაკა უკვე ბრაზილიელთა უპირობო ლიდერია რონალდინიოსა და რონალდოსთან ერთად. როცა ამ დუეტის თამაში არ გამოსდის, კაკას ჯერი დგება. სწორედ ასე მოხდა ხორვატებთან მატჩშიც, რომლის შემდეგ კაკამ ჟურნალისტებს უთხრა:

- ბედნიერი ვარ, რომ ჩემი წვლილი შევიტანე გამარჯვებაში. ვითამაშე ძირითად შემადგენლობაში, გავიტანე გოლი. რაღაზე უნდა ვიოცნებო? რა თქმა უნდა, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულზე.

**- კი მაგრამ, თქვენს გუნდს ხორვატებთან გამარჯვება ძალიან გაუჭირდა.**

- აბა, რას ელოდით? ეს ხომ მსოფლიო ჩემპიონატია. აქ სუსტი მეტოქე არ არსებობს. თუმცა, გეთანხმებით, ამ ეტაპზე ბრაზილიის ნაკრები ოპტიმალურ ფორმაში არ არის. ძალიან ძნელია ითამაშო ისეთი მეტოქის წინააღმდეგ, რომელიც ხისტ ფეხბურთს ანიჭებს უპირატესობას. თანაც, ეს ჩვენი პირველი მატჩი იყო ტურნირზე. ასეთ შემთხვევაში დიდი როლი ენიჭება ფსიქოლოგიას და არა ფიზიკურ მომზადებას. მიხარია, რომ სამი ქულა მოვიპოვეთ. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ტურნირის გამარჯვებით დაწყება.



კაკა ლამაზ თამაშს გვპირდება.

**- და მაინც, გულშემატკივარი თქვენგან ალბათ მეტს ელოდა...**

- გულშემატკივარი ყოველთვის მეტს ელის. მათ უნდათ, რომ ჩვენი თითოეული მატჩი ლამაზ სპექტაკლად იქცეს. სამწუხაროდ, ეს ყოველთვის, უბრალოდ, შეუძლებელია. თუმცა, დარწმუნებული ვარ, ლამაზ ფეხბურთს კიდევ ვაჩვენებთ.

**- რა აზრის ხართ რონალდოს თამაშზე? ხომ არ მოგეჩვენათ, რომ ის საკმაოდ მძიმედ გამოიყურებოდა?**

- გეთანხმებით, თუმცა ეს რონალდომ სხვებზე უკეთ იცის. მას არაერთხელ უთქვამს, რომ ჯერ ბოლომდე მზად არ არის. ოპტიმალურ ფორმაში შესასვლელად დრო სჭირდება და ჩვენ კვლავ იმ რონალდოს ვიხილავთ, რომელსაც კარგად ვიცნობთ. მის მოქმედებაში პროგრესი აშკარაა.

**- ვინ არის დღევანდელი ბრაზილიის ნაკრების ლიდერი?**

- ვფიქრობ, ამ წუთში ეს რონალდინიოა. თავადაც ნახეთ, ხორვატიის ნაკრების დაცვა მხოლოდ მის ნეიტრალიზებაზე ფიქრობდა. პირადად მე სწორედ ეს დამეხმარა. რონალდინიოს მცველები „თავისკენ მიჰყავდა“ და მე სათამაშო სივრცეს მითმობდა. გოლიც ასე გავიტანე.

# ვალდებულია!



ინგლისელთა კაპიტანმა დევიდ ბექჰემმა კარგად იცის, რომ დღევანდელ მატჩში მის გუნდს აუცილებლად სჭირდება ტრინიდადი და ტობაგოს დამარცხება. ბექზმა ისიც კარგად იცის, რომ ამ მატჩის მოგება პრესტიჟის საქმეა - პარაგვაისთან გამარას ავტოგოლით გამარჯვებამ ბოროტი ენები აასისინა - აქაოდა, სულ ეს ხართ ინგლისელებიო?!

ამიტომ ინგლისელი ნახევარმცველი თავდაუზოგავად ემზადება „მანჩესტერ იუნაიტედში“ ერთ დროს მხარდამხარ მოთამაშე დუაიტ იორკთან შესახვედრად.

„ტრინიდადის ნაკრებს პოტენციურად შესწევს ძალა სერიოზული წინააღმდეგობა გაგვიწიოს. ისინი ერთ შეცდომასაც არ გვაპატიებენ. ამიტომ დღევანდელ მატჩში ყველაფერი ჩვენს თამაშზე იქნება დამოკიდებული. ვალდებული ვართ, ყველაფერი დავივიწყოთ და, როგორც ნამდვილ პროფესიონალს შეჰფერის, მოედანზე მხოლოდ მოსაგებად გავიდეთ“, - ინგლისელთა კაპიტანი თანაგუნდელებში გუნდური სულის გაღვივებას ცდილობს.

ბექჰემი, რომლის კარიერაშიც, შესაძლოა, ეს მსოფლიო ჩემპიონატი ბოლო გამოდგეს, ინგლისის ნაკრებს ახლა ისე სჭირდება, როგორც არასდროს. მასში ხომ ერთად მოუყრია თავი საფეხბურთო გამოცდილებას, ბურთის ფლობის ტექნიკასა და უბადლო პასების ოსტატობას, რომელიც ოთხი წლის წინანადელთან შედარებით კიდევ უფრო დაიხვეწა.

საფეხბურთო ინგლისს ახალი თაობა და, შესაბამისად, ახალი კერპები წამოეზარდნენ, თუმცა მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი გამოცდილებისა და ლიდერისთვის დამახასიათებელი თვისებების ხარჯზე სამშობლოში მაინც პირველია.

მან იცის, რომ თავის 91-ე სანაკრებო მატჩში ტრინიდადი და ტობაგოს წინააღმდეგ ვალდებულია ყველაფერი გაიღოს - შესაძლებელიც და შეუძლებელიც, რათა ის თამაში აჩვენოს, რასაც მისგან სამშობლოში და მის ფარგლებს გარეთ ელიან.

„დარწმუნებული ვარ, მატჩიდან მატჩამდე მოვუმატებთ. გულშემატკივარს ის თამაში უნდა ვაჩვენოთ, რასაც ჩვენგან ელის. ვფიქრობ, არც პარაგვაისთან ჩვენი თამაშით დარჩნენ უკმაყოფილონი. მაგრამ დასამტკიცებელი კიდევ ბევრი გვაქვს. პირველ რიგში ის, რომ ინგლისის ნაკრები მაღალი დონის გუნდია და არაფრით ჩამოუვარდება ბრაზილიას, არგენტინას, ჰოლანდიასა და იტალიას“.

არგენტინა... გერმანიაში დევიდ ბექჰემი ვალდებულია ისე გაიბრწყინოს, რომ 1998 წელს არგენტინასთან მატჩში გამოჩენილი უსაქციელობა დაჩრდილოს. „დიდად გმადლობთ“, - გულწრფელი ღიმილით პასუხობს მავანის ზურგსუკან წამოძახებულს, რომ ქვეყნის წინაშე ვერასოდეს ჩამოირეცხავს იმ სირცხვილს, არგენტინელი დიეგო სიმეონეს ფეხებში ჩარტყმის გამო მოედნიდან გაძევებისთვის რომ ჭამა. მაშინ ინგლისის მარცხი ხომ ბექჰემს შეაწმინდეს.

ყველაფრის მიუხედავად, თანაგუნდელებთან ერთად გასახდელში მყოფი, ტრინიდადთან თამაშის წინ მაინც ინარჩუნებს ოპტიმიზმს და ცდილობს, თავისი განწყობა სხვებსაც გადასდოს.

„ეჭვი არ მეპარება, რომ გავიმარჯვებთ. ჩვენ ეს შეგვიძლია. ეს მანამდეც დავამტკიცეთ, ვიდრე აქამდე მოვიდოდით. პირველი სამი ქულა კი მოტივაციას გვმატებს“, - დევიდ ბექჰემი.

კაპიტანს კარგად ესმის, რომ ქვეყნის პირველი გუნდის ღირსების დაცვა დიდად განსხვავდება პირენეებზე თამაშისგან, რომ ინგლისურ ფეხბურთში კაცურად თამაშს სხვანაირად აღიქვამენ. როგორც თავად ამბობს, ესპანეთისგან განსხვავებით, ინგლისელები მხარზე ხელის დარტყმით ან ხელის ჩარმოთმევით ულოცავენ ერთმანეთს გამარჯვებას, ესპანეთში კი ასეთ დროს მეგობრულად გადაკოცნიან ხოლმე.

„პარაგვაისთან მოგების შემდეგ აარონ ლენონისკენ გავიწიე საკოცნელად. მერე გამახსენდა, რომ ინგლისში ასე არ ხდება და ჩემს თავს შევუძახე: არა, არა, რას აკეთებმეთქი. დროზე გავჩერდი, თორემ შეიძლება დაცინვის საგანი გავმხდარიყავი“, - კინაღამ დაისაჯა კიდეც ესპანური ტრადიციის ინგლისში გამოყენებისთვის.

„ისეთ ფეხბურთელებს, როგორებიც რიო ფერდინანდი და ჯონ ტერი არიან, პირენეებზე მსოფლიოს საუკეთესო ცენტრალურ მცველებად მიიჩნევენ და დიდ პატივს სცემენ, - განაგრძობს ბექზი, - ხანდახან, თუ დრო გვაქვს, „რეალის“ რომელიმე ფეხბურთელთან ერთად „ჩელსისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ პრემიერლიგურ თამაშებს ვუყურებთ ხოლმე. შევამჩნიე, როგორ სიამოვნებთ, როცა ჯონისა და რიოს თამაშს უყურებენ. ესპანეთში ინგლისელებს პატივს გვცემენ, პირველ რიგში, იმ სიმამაცისთვის, რაც სისხლში გვაქვს. მძაფრი თამაში ყოველთვის აშინებთ სამხრეთამერიკელებს და არა მხოლოდ მათ. ბოლო ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში ინგლისურმა ფეხბურთმა ტექნიკის მხრივ დიდი პროგრესი განიცადა, რაც ძალიან მახარებს. ფიზიკური მომზადება და ტექნიკა კი, რაც ინგლისელებს უმაღლეს დონეზე გვაქვს განვითარებული, მეტოქე გუნდებს შიშის ზარს სცემს. ამიტომ, თუ გერმანიაში შესაძლებლობებს მაქსიმალურად გამოვიყენებთ, შორს წავალთ“.

„სამეფო კლუბის“ ფეხბურთელი არც იმას უარყოფს, რომ პრიმერადივიზიონში თამაშით კიდევ უფრო მეტი გამოცდილება შეიძინა და, როგორც ფეხბურთელი, რამდენიმე წლით გაიზარდა.

არც იმას უარყოფს, რომ გუნდში, რომელშიც წლეულს ერთბაშად ამდენმა ლიდერმა მოიყარა თავი - ტერი, ლამპარდი, ჯერარდი, რუნი - ჯერ კიდევ არის ადგილი ფეხბურთელისთვის, ვინც წლების მანძილზე იყო მისი ლიდერი.

## ფელიჩიტა

ანუ რას გვიშვრება ეს ფეხბურთი...

მარი ჭავახიშვილი

ფელიჩიტა, ფელიჩიტა - რატომღაც ამეკვიატა ალბანოსა და რომინა პაუერის ძველისძველი ჰიტი „ნოა-ნოასკენ“ მიმავალს, „ნოა-ნოასკენ“, სადაც მსოფლიო ჩემპიონატის მიმდინარეობისას ქართველმა ტიფოზებმა დაიდეს ბინა.

ბავშვობა გამახსენდა: მაშინ ჩემთვის იტალია ფელიჩიტა იყო, ფელიჩიტა - იტალია, ყველაფერი ერთად კი - რობერტო ბაჯო... მერე, 90-იანის მიწურულს, ფელიჩიტა ჯიანი ნანინის იტალია 90-ის ჰიმნმა შეცვალა, რობერტო ბაჯო კი შეუცვლელი დარჩა.

გზად მიმავალს გული მიგრძნობდა, რომ „ნოა-ნოაში“ ფელიჩიტასაც მოვისმენდი, იტალია 90-ის ჰიმნსაც, ბაჯოს სახელსაც ბევრჯერ გავიგონებდი და დელ პიეროსიც. წინათგრძნობას არ უღალატია.

ორშაბათ საღამოს „ნოა-ნოაში“ უჩვეულო გარემო დამხვდა - ჯეობარელებს კლუბი იტალიის დროშებითა და ბუშტებით მოერთოთ. იტალიელთა საქომაგოდ მისული გულშემატკივარი ლურჯ, შიგადაშიგ კი თეთრ მაისურებში გამოწყობილიყო. FORZA ITALIA-ს, რა თქმა უნდა, ჩემი საყვარელი ფელიჩიტა და 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჰიმნი გასდევდა ფონად.

თითქოს დამავიწყდა კიდეც, რომ აპენინებზე, რომელიმე ადგილობრივ პიცერიაში კი არა, თბილისის ცენტრში ვიყავი. გული ჩამწყდა - იტალიურად მორთულ-მოკაზმულ „ნოა-ნოაში“ ტევა არ იყო, ქართველები „სკუადრა აძურას“ საქომაგოდ შეკრებილიყვნენ და იტალიის ჰიმნს მშობლიურივით აგუგუნებდნენ. ეჰ, რას გვიშვრება ეს ფეხბურთი...

ჯერ კიდევ ათი დღის წინ ძნელად თუ ვინმე იფიქრებდა, რომ თბილისელებს „ვარდების რევოლუციის“ შედეგად მიღებული პოლიტიკური შოკიდან რამე ან ვინმე გამოგვიყვანდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ხომ, ნებსით თუ უნებლიეთ, მხოლოდ პენსიებზე, უფასო სასადილოების გახსნაზე, ქათმის გრიპზე, ფასების მომატებასა და კიდევ ბევრ უსიამო პრობლემაზე ვსაუბრობდით, ვკამათობდით, ვბჭობდით, რაღაცისა თუ ვიღაცის მოლოდინში ვიყავით. ერთი სიტყვით, პოლიტიკამ ჩვენში ერთიანად შთანთქა სხვა ყველაფერი, თუ რამ ადამიანური გვქონდა. ალბათ ბოლომდეც გადაგვსანსლავდა, მაგრამ განგებამ ფეხბურთი მოგვივლინა მხსნელად.

პარლამენტის სხდომები საფეხბურთო მატჩებმა შეცვალა, პოლიტიკოსთა გვარებს ფეხბურთელებისა ჩაენაცვლა, პოზიცია-ოპოზიციას - საფეხბურთო ქომაგები: ფანი-ტიფოზი-ინჩადა.

საფეხბურთო პოლიტიკა საეროზე ძლიერი გამოდგა - ასაკის, სქესისა თუ პოლიტიკური მრწამსის მიუხედავად ყველა გაგვაერთიანა. ოღონდ ეგაა, ბანაკებად დაგვყო და რამდენიმე ქვეყნად გადაგვანაწილა: ბრაზილია, არგენტინა, ინგლისი, იტალია, გერმანია, ჰოლანდია. იმედიც სხვა ჩაგვისახა - იმედი, რომ ჩვენი საყვარელი გუნდი მსოფლიო თასს აღმართავს.

„...ო, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი, როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!“ მე იმის იმედი მინდა მქონდეს, რომ ოთხი წლის შემდეგ ჩვენც გავიღვიძებთ და მერე ბრაზილიაც დაგვავიწყდება, არგენტინაც, ინგლისიცა და იტალიაც. არა, განა?

...“განა, შე ყანა!“ - უყვიროდნენ ქართველი ტიფოზები მათი ფავორიტი გუნდის მოწინააღმდეგე განას ნაკრებს. თუმცა, განა არც ისეთი ყანა გამოდგა, ქართველ ტიფოზებს რომ ეგონათ მანამდე. აფრიკელებმა „ნოა-ნოაში“ შეკრებილი იტალიის დროშით სახემოხატულები უმნიშვნელოდ, მაგრამ ცოტა მაინც ანერვიულეს, უფრო გამალებით აყვირეს და ხმის ჩახლეჩამდე აძახებინეს FORZA ITALIA. ჯერ პირლოს, მერე კი იაკინტას გოლმა ეგზალტირებული მასა ათმაგად ეგზალტირებული გახადა - დონ მარჩელოს გუნდმა ჩვენებური ტიფოზები სულ ფელიჩიტაზე აცეკვა. ქართველები რომ იტალიელთა დარად დიდად ტემპერამენტიანი ხალხი ვართ, ეს ცნობილი ამბავია. ჰოდა, იმ საღამოს „ნოა-ნოაც“ დუღდა და გადადუღდა - სახეგაბრწყინებულები ერთმანეთს ულოცავდნენ, ეხვეოდნენ, კოცნიდნენ... მოკლედ, იმ დღეს ყველა ერთი იყო, ერთი - ყველა.

ორშაბათს, ღამის პირველ საათზე, თბილისის ცენტრალური ქუჩის მცხოვრებლები არც იმ ხმაურსა და მანქანების გაბმულ სიგნალს შეუწუხებია, რუსთაველის გამზირზე რომ ისმოდა. თბილისს უხაროდა, უხაროდა, რომ იტალიამ განას სძლია. ძნელად მახსენდება, როდის ვნახე ბოლოს ასეთი გახარებული თბილისი. ეჰ, რას გვიშვრება ეს ფეხბურთი...

გამიკვირდა, მაგრამ მაინც მესიამოვნა, როცა ჩემი მეგობრის ოთხმოცს მიტანებულმა ბებიამ, მთავრობის ტრადიციული ლანძღვის ნაცვლად, ფეხბურთზე დამიწყო საუბარი და ტოტალიზატორის შევსებული ბილეთი გამომიტანა. ნერვიულობდა, საფრანგეთის ერთიანიღა დამრჩა და თორმეტ ლარს ვიგებო. მერე ბევრი მელაპარაკა - ისე, ბრაზილიას ვგულშემატკივრობ, რონალდინიო ჩემი შვილიშვილის ტოლია, კარგი ბიჭია და მინდა მაგან მოიგოსო. ბრაზილიამ არა, მაგრამ საფრანგეთმა ბებოს „გაუტეხა“.

ეჰ, რას გვიშვრება ეს ფეხბურთი...

ქალის საქმედ არ ითვლება, მაგრამ მაინც კარგია, რომ ფეხბურთი ქართველ გოგონებსაც გადასწვდა. დასაწყისისთვის იმითაც უნდა დავკმაყოფილდეთ, რომ ფეხბურთის სიყვარული მათთვის ჯერ მარტო „კაი ტიპებთან“ ასოცირდება. მერა რა, რომ „ნოა-ნოაში“ „სკუადრა აძურას“ მაისურებში გამოწყობილმა გოგოცუნებმა მარტო ნესტას, ინძაგისა და მალდინის სახელები იცოდნენ; მერა რა, რომ ტონის დანახვაზე მხოლოდ „ვაიმე, რა საყვარელია“ აღმოხდებოდათ; მერე რა, რომ თერთმეტი აპენინელი იმ საღამოს მარტო იმით შეაფასეს, ვინ უფრო სიმპათიური იყო. მერა რა, რომ მარტო იმაზე იკამათეს, ვინ უფრო კაი ტიპი იყო - ნესტა თუ ტონი...

გულს მაინც სხვანაირად უხარია. უხარია, რომ დღეს და კიდევ სამი კვირა ყველა ერთნი ვიქნებით, სხვადასხვა ქვეყნისა და ფერის საფეხბურთო მაისურები გვეცმევა, მაგრამ ფეხბურთის სიყვარული გაგვაერთიანებს.

გულს მაინც უხარია, რომ უაზრო პოლიტიკური კამათი უაზრო საფეხბურთოში გადაიზარდა.

გულს მაინც უხარია, რომ თბილისში, ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში, ქალიცა და კაციც ფეხბურთით ცხოვრობს. ამას კი სხვა ვინ შეძლებდა, თუ არა მისი უდიდებულესობა სერ ფეხბურთი?!

მგონი, სათქმელი ტარანტინოს სტილში - არეულად დამონტაჟებული გადმოგეცით. მაგრამ გამგები გაიგებს.

ეჰ, რას გვიშვრება ეს ფეხბურთი...

## მაქსი ლოპესი „მალიორკაში“

„ბარსელონას“ არგენტინელი ფორვარდი მაქსი ლოპესი „მალიორკაში“ გააგრძელებს კარიერას. შეგახსენებთ, რომ ახალგაზრდა არგენტინელი კატალონიურმა კლუბმა დაახლოებით წელიწადნახევრის წინ იყიდა. მაქსიმ „ბარსელონაში“ ფეხი ვერ მოიკიდა და ახლა, როცა „ბარსა“ გუდიონსენს ყიდულობს, მაქსის ადგილი, შესაძლოა, სათადარიგოთა სკამზეც კი არ აღმოჩნდეს. ამიტომ ფეხბურთელმა გადაწყვიტა კარიერა გააგრძელოს „მალიორკაში“, სადაც მას ძირითადში თამაშის გარანტიას აძლევენ.

რაც შეეხება გუდიონსენს, ის, ფაქტობრივად, უკვე „ბარსელონას“ ფეხბურთელია. კატალონიელებმა „ჩელსის“ 11,7 მილიონი ევრო გადაუხადეს. კონტრაქტი ოფიციალურად მას შემდეგ გაფორმდება, რაც ისლანდიელი ფეხბურთელი სამედიცინო შემოწმებას გაივლის.

## რომის პაპიც გულშემატკივარია

რომის პაპი ბენედიქტ XVI, თავისი წინამორბედის იოანე პავლე II-ის მსგავსად, ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი ყოფილა. წარმოშობით გერმანელი პაპი ყურადღებით ადევნებს თვალს მის სამშობლოში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებს. ამას წინათ პონტიფიკს აუდიენციაზე ეწვია გერმანიის ჩრდილო რეინ-ვესტფალის მინისტრ-პრეზიდენტი იურგენ რუტგერსა, რომელმაც პაპთან შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა: „პაპს ვუამბე, თუ რა ატმოსფერო სუფევდა კიოლნში ინგლის-პარაგვაის მატჩის წინ. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მას ძალიან აინტერესებს მსოფლიო ჩემპიონატი და, როგორც ჩანს, მატჩებსაც უყურებს, თუმცა, ცხადია, ცალკეული შეხვედრები არ განგვიხილავს“.

## ჩეხებს არც ბაროში ეყოლებათ

ჩეხეთის ნაკრების ფორვარდი მილან ბაროში ვერ ითამაშებს ჩეხეთისა და განის ნაკრები გუნდების მატჩში, რომელიც შაბათს უნდა გაიმართოს. ბაროშს ვარჯიშზე მიუღია მსუბუქი ტრავმა და მისი გამოჩენა შაბათის შეხვედრაში თითქმის გამორიცხულია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ იან კოლერიც ტრავმირებულია, შეიძლება ითქვას, რომ ჩეხეთის ნაკრები ფორვარდის გარეშე დარჩა.

## „მილანი“ ფერნანდო ტორესით დაინტერესდა

მას შემდეგ, რაც „მილანი“ დატოვა ანდრეი შევჩენკომ, იტალიური გრანდი სერიოზულად დაინტერესდა უკრაინელის შემცვლელის მოძებნით. გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „მილანს“ ესპანეთის ნაკრებისა და მადრიდის „ატლეტიკოს“ ფორვარდის ფერნანდო ტორესის შეძენა სურს. იტალიური კლუბი მზადაა ამ ფეხბურთელში 20 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადოს.

## კაფუ გაამართლეს

რომის სააპელაციო სასამართლომ გაამართლა ბრაზილიის ნაკრების კაპიტანი კაფუ, რომელსაც საბუთების გაყალბება ედებოდა ბრალად. შეგახსენებთ, რომ პროკურატურამ კაფუ ყალბი საბუთების იტალიური პასპორტის მიღებაში დაადანაშაულა. თუ ბრაზილიელ ფეხბურთელს ბრალეულობას დაუმტკიცებდნენ, მას ცხრათვიანი პატიმრობა ემუქრებოდა.

## გატუზო ბრუნდება

იტალიის ნაკრების ნახევარმცველმა ჯენარო გატუზომ ვარჯიში განაახლა. გასულ კვირაში ფეხბურთელმა ტრავმა მიიღო და მის დაბრუნებას მხოლოდ ჯგუფური ტურნირის შემდეგ ელოდნენ, თუმცა იტალიელმა ფეხბურთელმა ტრავმა საკმაოდ სწრაფად მოიშუშა და გამორიცხული არაა, რომ მან ჯგუფური ეტაპის უკანასკნელ მატჩშიც მიიღოს მონაწილეობა.

## გამარჯვების ფასი

მას შემდეგ, რაც კორეის ნაკრებმა დაძაბულ მატჩში მოახერხა ტოგოს გუნდის დამარცხება, სიდნეიში უბედური შემთხვევა მოხდა: ერთ-ერთმა აზიელმა ფანმა გადაწყვიტა საყვარელი გუნდის გამარჯვება ორიგინალურად გამოეხატა. 25 წლის კორეელი სიხარულისგან განათების ბოძზე აძვრა და გადმოვარდა. ინციდენტის შემდეგ გულშემატკივარი სასწრაფოდ წაიყვანეს საავადმყოფოში და ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში მოათავსეს. ექიმები მისი სიცოცხლის გადასარჩენად იბრძვიან.

## რონალდოს კიდევ ერთი შანსი

ბრაზილიისა და ხორვატიის ნაკრები გუნდების მატჩში საკმაოდ სუსტად ითამაშა რონალდომ. მწვრთნელმა ის მეორე ტაიმში შეცვალა, გულშემატკივარი კი იმდენად უკმაყოფილო იყო, რომ 2002 წლის მუნდიალის გმირი მინდვრიდან სტვენით გააცილა.

თუმცა, კარლოს ალბერტო პარეირას თქმით, ის რონალდოს მომდევნო მატჩშიც ძირითად შემადგენლობაში ათამაშებს. „თუ ბოლო ორ ამხანაგურ მატჩს არ ჩავთვლით, თითქმის ორი თვეა, რაც რონალდოს ნაკრებში არ უთამაშია. ამიტომაც იყო, რომ ოდნავ მძიმედ გამოიყურებოდა. დარწმუნებული ვარ, რონალდო თამაშს გამოასწორებს და მომდევნო შეხვედრაში ის კვლავ ძირითადში იქნება“, - აცხადებს ბრაზილიელთა თავკაცი.

## პფიტცერი დარჩება

ტოგოს ნაკრების გერმანელი მწვრთნელი ოტო პფიტცერი თანამდებობას შეინარჩუნებს. შეგახსენებთ, რომ ეს მწვრთნელი მუნდიალის დაწყების წინ აპირებდა გუნდიდან წასვლას, რადგან კონფლიქტი ჰქონდა როგორც ფეხბურთელებთან, ისე ტოგოს ფეხბურთის ფედერაციის მესვეურებთანაც, თუმცა, ეტყობა, ყველაფერი მოგვარდა, რადგან, ტოგოური ფეხბურთის ხელმძღვანელთა თქმით, პფიტცერი მუნდიალის შემდეგაც დარჩება ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე.

# ფესტივალი კალათში მოთავსდა

გიგა გურასაშვილი

*ბავშვები თამაშობდნენ. მშობლები ნერვიულობდნენ. მწვრთნელები კი ყვიროდნენ და საკუთარ შეგირდებს მითითებებს აძლევდნენ. გარბენი, საჯარიმოები... მსაჯი თავის საქმეს აკეთებდა. ბავშვები სამქულიანებს ვერ ქაჩავდნენ. საამისოდ არც სიმაღლე უწყობდათ ხელს და არც ძალა. თუმცა თავს არ ზოგავდნენ. მონდომებით ათამაშებდნენ ბურთს. გუშინ დასრულდა რიგით მეხუთე მინისაკალათბურთო ფესტივალი, რომელშიც 11 წლამდელთა შვიდი გუნდი გამოდიოდა.*



გოგიტა ბახაიძის ფოტო

*თბილისის კალათბურთის აკადემია ბრინჯაოს პრიზიორი გახდა.*

საქართველოს მინიკალათბურთის ეროვნული კომიტეტი კალათბურთის ფედერაციის ხელშეწყობით ოთხი დღის განმავლობაში ბავშვთა კალათბურთის აკადემიის დარბაზში ტრადიციულ მინისაკალათბურთო ფესტივალს მასპინძლობდა. შეჯიბრების ორგანიზატორებმა ფესტივალში მონაწილე შვიდი გუნდი - „ბავშვთა აკადემია“, „დინამო“, „ქუთაისი“, „სამედიცინო“, „რუსთავი“, „მართვე“ და „მართვე გაბი“ ორ ქვეჯგუფად დაყვეს. მონაწილე გუნდების რაოდენობა იქნებ მეტიც ყოფილიყო, მაგრამ, როგორც საქართველოს მინიკალათბურთის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარემ სერგო იშხნელმა განმარტა, 1995-წლიანთა გუნდები საქართველოში ერთგვარი დეფიციტია. მხოლოდ ქუთაისელებმა და რუსთაველებმა ჩამოიყვანეს ამ ასაკის გუნდები თბილისში. სწორედ მათ შორის გაიმართა ფინალი, რომელიც რუსთაველთა გამარჯვებით დასრულდა - 46:24. მანამდე იყო ბრძოლა მესამე ადგილისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ „მართვე“ ორი გუნდით ჩაერთო ფესტივალში, ვერც ერთმა მათგანმა საპრიზო ადგილი ვერ დაიკავა. „მართვეს“, რომელიც საპრიზო ადგილთან ახლოს იყო, გზა გადაუღობა „ბავშვთა აკადემიის“ გუნდმა - 26:21. შუა თამაშში ანგარიშში სხვაობა აკადემიის სასარგებლოდ მეტიც იყო. საფინალო სასტვენის შემდეგ სათადარიგო სკამზე მჯდარი „აკადემიკოსები“ ფეხზე წამოიჭრნენ და ყიჟინით შეცვივდნენ მოედანზე მყოფ თანაგუნდელთა ოთხეულში - მოვიგეთო. მასპინძლის სტატუსის გამო „ბავშვთა აკადემიისა“ და „მართვეს“ მატჩს გაცილებით მეტი მაყურებელი ჰყავდა.

შეჯიბრების ორგანიზატორებმა ყველაზე შედეგიანი მოთამაშეებიც დაასახელეს. ყველაზე მეტი ქულა მოაგროვა ქუთაისელმა ზეზვა ლილუაშვილმა, ხოლო საჯარიმოებში ბადალი არ ჰყავდა მართველ ნიკა ზამბახიძეს.

# ვეიდმა „მაიამის“ შანსი მისცა

გრძელდება NBA-ს ფინალური სერია. მესამე მატჩში „მაიამიმ“ დუეინ ვეიდის ბრწყინვალე თამაშის წყალობით გამარჯვება მოიპოვა და სერიაში ანგარიში მინიმუმამდე შეამცირა. ახლა „დალასი“ 2:1-ს იგებს და მთელი ბრძოლა წინაა.

ვეიდმა ამ მატჩში კარიერის რეკორდიც დაამყარა. მის ანგარიშზე 42 ქულა და 13 ფარიდან მოხსნილი ბურთია. აღსანიშნავია, რომ ვეიდმა განსაკუთრებით კარგად ითამაშა მეოთხე მეოთხედში, რომელიც „მაიამიმ“ 11 ქულით მოიგო. არადა, მესამე მეოთხედის შემდეგ წინ „დალასის“ კალათბურთელები იყვნენ. ნოვიცკი და კომპანია მეტოქეს გასვლით მატჩს 9 ქულით უგებდნენ და თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ბოლო 12 წუთი „დალასმა“ პირწმინდად ჩააგდო და შეხვედრა მაიამელთა სასარგებლოდ 98:96 დასრულდა.



*ვეიდმა კიდევ ერთხელ იხსნა „მაიამი“.*

საფინალო სასტვენამდე 9 წამით ადრე ანგარიში საყაიმო იყო. ამ დროს თამაში თავის თავზე აიღო მაიამელთა ვეტერანმა კალათბურთელმა გერი პეიტონმა. სწორედ მისი ზუსტი ტყორცნის შემდეგ გახდა ანგარიში 98:96. მართალია, „დალასს“ ბოლო შეტევისთვის რამდენიმე წამი ჰქონდა დარჩენილი, მაგრამ ზუსტი ტყორცნა არ მოხერხდა და გამარჯვება მაიამელ კალათბურთელებს დარჩათ.

ალბათ გახსოვთ, რომ პირველი ორი მატჩი პირწმინდად ჩააგდო შაკილმა. ამჯერად ლიგის საუკეთესო ცენტრმა, ასე თუ ისე, ნორმალურად ითამაშა. მის ანგარიშზე 16 ქულა 11 მოხსნაა. დალასელთა შორის საუკეთესო იყო დირკ ნოვიცკი. გერმანელმა კალათბურთელმა თავის გუნდს 30 ქულა შესძინა და 7-ჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი. მატჩის შემდეგ დუეინ ვეიდმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა: „უნდა გამოვსულიყავით და გვეჩვენებინა, რომ გუნდი ვართ. მესამე თამაშის წაგება სირცხვილი იქნებოდა. ალბათ ცოტა გაგვიმართლა კიდეც. ამ მატჩის მოგების შემდეგ შევეცდებით სერიაში გარდატეხა შევიტანოთ“.

# კლინტონი სამეფო გვირგვინისთვის ემზადება

გიგა გურასაშვილი

„ყოველთვის ვამბობდი, რომ ჩემი უმთავრესი მიზანია გავხდე ნახევრად მძიმე წონაში მსოფლიოს საუკეთესო მოკრივე. მიზანს არაუგვიანეს შობამდე მივღწევ, - საკუთარ გეგმებს გვაცნობს კრივის მსოფლიო ფედერაციის (IBF) ბრიტანელი ჩემპიონი კლინტონ ვუდსი. - ანტონიო ტარვერს არასდროს აღვიქვამდი დივიზიონის პირველ ნომრად. ჩემთვის საუკეთესო იყო გლენ ჯონსონი, რომელთან მესამედ შესახვედრად ტარვერმა სიმხდალე გამოიჩინა და ჰოლივუდში გაიქცა (ფილმი „როკი VI“-ის სცენარის მიხედვით სილვესტერ სტალონეს, რომელიც როკი ბალბოას როლს განასახიერებს, მეტოქეობას უწევს ტარვერი, რომელიც, თავის მხრივ, ჩემპიონის როლს ასრულებს.-რედ.). ტარვერმა იცოდა, რომ ძალა აღარ ჰქონდა და ამიტომ იოლი გზის ძიებას შეუდგა. ბერნარდ ჰოპკინსთან შეხვედრისას თავს ინუგეშებდა, უკვე დაბერებულიაო. ჰოპკინსმა კრივიდან წასვლაზე განაცხადა. ეს იმას ნიშნავს, რომ ნახევრად მძიმე წონაში სამეფო გვირგვინი ვაკანტურია. ჰოდა, მე დავამარცხებ ჯონსონს და გავხდები ნომერი პირველი“.

ახლა რა ხდება? კლინტონ ვუდს გლენ ჯონსონთან გამარჯვების შემდეგ (თუ, რა თქმა უნდა, დაამარცხებს) სურს შეხვდეს მსოფლიოს ყოფილ აბსოლუტურ ჩემპიონს ბერნარდ ჰოპკინსს, რომელმაც გასულ შაბათს ატლანტიკ სიტიში სამივე მსაჯის დათვლით 118-109 აჯობა. ერთი სიტყვით, ვუდს იმედი აქვს, რომ კრივიდან წასული ჰოპკინსი კრივს მაინც დაუბრუნდება (როდესაც ჰოპკინსმა კრივიდან წასვლაზე განაცხადა, ესეც დაამატა: თუ 20 მილიონს შემომთავაზებენ, საფლავიდანაც ავდგებიო. ასე რომ, გამორიცხული არაფერია. მით უმეტეს, კრივში.-რედ.). ერთი სიტყვით, თუ ჰოპკინსის გადაწყვეტილება მაინც საბოლოოა, ვუდსი რინგზე გამოიწვევს როი ჯონს-უმცროსს ან ჯო კალზაგეს.



*კლინტონ ვუდს ჰოპკინსობა უნდა.*

„ყველაფერს მივაღწიე, - ნახევრად მძიმე წონის მსოფლიოს პირველ ნომარდ შერაცხულ ანტონიო ტარვერთან გამარჯვების შემდეგ აცხადებდა საშუალო წონის ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონი ბერნარდ ჰოპკინსი. - სხვა რისი გაკეთება დამრჩენია? პირველ მძიმე წონაში აბარგება? მძიმე წონაში ანაცვლება? მეტი აღარაფერი მესაქმება კრივში“.

ჰოპკინსმა ისიც განაცხადა, რომ ჯერმენ ტეილორს რონალდ რაიტთან ორთაბრძოლაში უგულშემატკივრებს. საინტერესო კი ის არის, რომ სწორედ ტეილორმა აართვა ჰოპკინსს საშუალო წონაში მოპოვებული საჩემპიონო ტიტულები. ტიტულები (WBC და WBO), რომლის დაცვაც 17 ივნისს უწევს ტეილორს პირველი საშუალო წონის ყოფილ აბსოლუტურ ჩემპიონ რონალდ „ვინკი“ რაიტთან.

„ყველაზე ცუდი, რაც შეიძლება მოხდეს, ის იქნება, თუ ტეილორი შაბათის ორთაბრძოლას წააგებს, - აცხადებს ჰოპკინსი, - თუ წააგო, ეს საშინელება იქნება“.

# ვირუსული საფრთხე

გერმანიაში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატი მხოლოდ გულშემატკივართა ყურადღებას როდი იპყრობს. მუნდიალი ჰაკერებისთვისაც მიმზიდველი აღმოჩნდა. უკანასკნელი 48 საათის განმავლობაში ახალმა კომპიუტერულმა ვირუსმა „იანგულმა“ ევროპული კომპიუტერული ქსელი იმსხვერპლა. ვირუსი ვრცელდება ვებ-საიტიდან, რომელიც გულშემატკივრებს მატჩების პირდაპირ რეპორტაჟებს სთავაზობს. ვირუსი შედის სხვადასხვა კომპანიის კომპიუტერულ ქსელში და ბოროტმოქმედებს კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვების საშუალებას აძლევს. პირველ რიგში შეტევა მიიტანეს მსხვილი ბანკების კომპიუტერულ ქსელზე.

„ვირუსების შემქმნელები ხშირად სპეკულირებენ თემებით, რომლებიც ფართო საზოგადოების ფართო ფენების ინტერესს იწვევს“, - ნათქვამია ბრიტანეთის ხელისუფლების განცხადებაში.

მსოფლიო ჩემპიონატთან დაკავშირებით კომპიუტერულ ქსელში უკვე არაერთი ვირუსი გავრცელდა. ზოგიერთი მათგანი საკმაოდ არასტანდარტული სქემით. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი ვირუსის გავრცელების სქემა ასეთია: პოტენციურ მსხვერპლს ელექტრონულ ფოსტაზე მისდის წერილი სათაურით „მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში“, რომელიც თითქოს შეიცავს ტურნირის გეგმას, მითითებულია მისამართიც google-book.exe. თუ თქვენ შემთხვევით დაიჯერეთ და ამ მისამართზე შესვლა გადაწყვიტეთ, ვირუსი ავტომატურად შედის თქვენს კომპიუტერულ ქსელში.



*საფეხბურთო კომპიუტერული ვირუსი.*

ბადენ-ვურტემბერგის პოლიციამ უკვე გაგზავნა ინფორმაცია ვირუსის შესახებ ინფორმაციის ფედერალურ სააგენტოში და აშშ-ს ფედერალურ საგამოძიებო ბიუროში. სავარაუდოდ, ეს ვირუსი სწორედ ამერიკის შეერთებული შტატების ჩრდილოეთიდან ვრცელდება.

ზოგიერთმა ელექტრონულმა კომპანიამ გაავრცელა ინფორმაცია კიდევ ერთი ვირუსის შესახებ, რომელსაც W32/Zasran-A-დ მოიხსენიებენ. გავრცელების მეთოდი აქაც იგივეა. ელექტრონულ ფოსტაზე მოდის წერილი, რომელიც გერმანულ ენაზეა დაწერილი და მომხმარებელს მსოფლიო ჩემპიონატის ბილეთების შეძენას სთავაზობს. ამ წერილის გახსნის შემთხვევაში ჰაკერს ეძლევა საშუალება მთლიანად ნახოს ყველაფერი, რაც თქვენს კომპიუტერშია შენახული. სავარაუდოდ, ეს ვირუსი რუსეთშია შექმნილი.

სპეციალისტების აზრით, ვირუსული საფრთხე მობილურ ტელეფონებსაც ემუქრება. მაგალითად, თუ თქვენს მობილურზე მოვიდა შეტყობინება, „გსურთ თუ არა მსოფლიო ჩემპიონატის ბილეთი“, უმჯობესია, თუ ამ შეტყობინებას პირდაპირ წაშლით. მობილური ვირუსები ძირითადად SMS და MMS გზავნილებით ვრცელდება.

თვალსაზრისი

# იქნება თუ არა თბილისი სუფთა ქალაქი

ქალაქ თბილისში უამრავი პრობლემები დაგროვდა და მათი გადაწყვეტის სწორი გზების მიგნება უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს, რადგანაც მასზეა დამოკიდებული საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად და ეფექტურად ხარჯვა.

ქალაქში სანიტარიული მდგომარეობა ყოველთვის იყო და დღემდე რჩება ერთ-ერთ მტკივნეულ საკითხად, ჩვენ არ შევუდგებით არსებული მდგომარეობის დახასიათებას, რადგანაც იგი მეტ ნაკლებად ყველა თბილისელისთვის ცნობილია. ხელისუფლებას აქვს სურვილი ამ სფეროში ქალაქი ევროპულ სტანდარტებს მიუახლოვდეს, რაც მისასალმებელია. ამ მიზნით მიმდინარე წლის იანვრის თვეში დედაქალაქის დასუფთავებაზე გამოცხადდა საერთაშორისო ტენდერი. ხელისუფლებას გადაწყვეტილი აქვს მუნიციპალური ნარჩენების დაგროვების კონტეინერულ მეთოდზე გადაყვანა (2008 წლიდან მრავალსართულიან საცხოვრებელ კორპუსებში ჩაშენებული ნაგავშემკრები ბუნკერების ფუნქციონირება უნდა შეწყდეს) დაგეგმილია დასუფთავების დამოუკიდებელი საქალაქო სამსახურის ჩამოყალიბება. საკრებულოს გადაწყვეტილებით ქალაქის დასუფთავებაზე დამატებით გამოიყო 14 მილიონამდე ლარი, რაც ალბათ კონტეინერების და სპეცტრანსპორტის შეძენაზე დაიხარჯება. გადაწყდება თუ არა ამ გზით ქალაქის დასუფთავების პრობლემა, გახარჯული თანხები მოგვცემს თუ არა ადეკვატურ ეფექტს? ჩვენი მოსაზრებით პასუხი არაერთმნიშვნელოვანია.

პირველ რიგში განვიხილოთ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო ნარჩენების დაგროვების და ტრანსპორტირების საკითხი, რადგანაც მისი წილი მუნიციპალური ნარჩენების საერთო მოცულობაში 60-65%-ს შეადგენს. მოსახლეობის ნახევარზე მეტი მაღლივ კორპუსებში ჩაშენებული ნაგავშემკრები ბუნკერებით სარგებლობს, 5% ზარის მეთოდით, ხოლო დანარჩენი კონტეინერით. როგორც ვხედავთ ქალაქში ძირითადად ნარჩენების დაგროვებისათვის ბუნკერული და კონტეინერული მეთოდებია გამოყენებული. სამუშაოთა დაფინანსება შერეული ხასიათისაა, მოსახლეობიდან ამოღებულ სახსრებს (3 მილიონამდე) ემატება საბიუჯეტო სუბსიდირება დაახლოებით 6 მილიონი ლარი. მოკლედ გავაანალიზოთ ამ მეთოდების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

მომსახურეობის და ქალაქში სისუფთავის დაცვის თვალსაზრისით ბუნკერული მეთოდის უპირატესობა ეჭვს არ იწვევს, მობინადრე ნარჩენებს ყრის სადარბაზოში განთავსებულ ნაგავმიმღებ მილში, ამასთან ეს მეთოდი მოსახლეობაში გარკვეულ უკმაყოფილებას იწვევს, რადგანაც ბუკერების დაცლა წარმოებს 4-5 დღეში ერთხელ, რის გამოც ნარჩენები ლპება და არასასიამოვნო სუნი აწუხებს მობინადრებს, ხელსაყრელი პირობები იქმნება მღრნელების გამრავლებისათვის. თუმცა ბუნკერების დაცლის გრაფიკის არსებობას არ გააჩნია რაიმე ობიექტური ეკონომიკური საფუძველი, მისი შემოღებით ხარჯები არ მცირდება. გრაფიკის არსებობა განპირობებულია ნაგავმზიდი მანქანების დატვირთვის პრიმიტიული მეთოდების შეუსაბამობით მის ტევადობასა და ტვირთამწეობასთან. ნარჩენების ჩატვირთვა მანქანაში ხორციელდება ნიჩბებით და უაღრესად შრომატევადია, ერთი კუბური მეტრი ნარჩენების დატვირტვას 1-1,5 საათი სჭირდება. აღნიშნულის გამო ნაგავმზიდი მანქანები სამუშაო დროის 75% გაჩერებულია და იტვირთება, ანუ მისი გამოყენების ეფექტურობა უაღრესად დაბალია, მდგომარეობას კიდევ უფრო აუარესებს მანქანების ტვირთამწეობის გამოყენების კოეფიციენტის დაბალი მნიშვნელობა. "გაზის" და "ზილის" მარკის მანქანების ტევადობა 6-დან 10 მ3-ის ფარგლებშია ანუ ზიდავს 1,2-2 ტ ტვირთს, მაშინ როდესაც ტვირთამწეობა შესაბამისად 4-6 ტ შეადგენს.

კონტეინერული მეთოდი ნაგავმზიდი მანქანების გამოყენების ეფექტურობის თვალსაზრისით აშკარა უპირატესობით ხასიათდება, 1 კუბური მეტრი ტევადობის კონტეინერის დაცლისათვის მანქანას სჭირდება 2-3 წუთი, ანუ მანქანა 30-ჯერ უფრო ეფექტურად გამოიყენება ვიდრე ბუნკერული მეთოდის პირობებში. ნარჩენების დამწნეხი მოწყობილობის არსებობის გამო მაქსიმალურად არის ათვისებული მანქანის ტვირთამწეობა. ამდენად კონტეინერული მეთოდით ფუნქციონირება გაცილებით ეკონომიურია და ნაკლებ სახსრებს მოითხოვს. მეორე მხრივ კონტეინერული მეთოდის პირობებში მოსახლეობის მომსახურეობის ხარისხი მნიშვნელოვნად უარესდება, მობინადრე იძულებულია ნარჩენები წაიღოს საცხოვრებელი ადგილიდან 70-100 მეტრით დაშორებულ კონტეინერამდე, რაც გარკვეულად ურთულებს ცხოვრების პირობებს, განსაკუთრებით მაღალი სართულების მობინადრეებს. უჩნდებათ მოტივი ნარჩენები დაყარონ კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, ნებისმიერ ადგილზე, ამ მოსაზრებას ადასტურებს დროებითი ნაგავსაყრელების ჭარბი რაოდენობა იმ რაიონებში, სადაც დღეს კონტეინერული მეთოდი ფუნქციონირებს (ჯერჯერობით მოსახლეობის ყოფითი კულტურის დონე არ შეესაბამება კონტეინერული მომსახურეობის მოთხოვნებს). ამდენად კონტეინერული მეთოდის გამოყენების პირობებში სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფა არ არის გარანტირებული.

ამასთან კონტეინერულ მეთოდზე გადასვლა მოითხოვს მნიშვნელოვან კაპიტალურ დაბანდებებს ( მიახლოებით 10-15 მლნ ლარი) შესაძენია კონტეინერები და ნაგავმზიდი სპეციალური მანქანები. კონტეინერული მეთოდზე გადასვლისას გარკვეულ სირთულეებსაც ექნება ადგილი კონტეინერებისათვის ადგილების შერჩევის საქმეში, განსაკუთრებით ქალაქის ცენტრალურ ნაწილში. რთული იქნება მისი ექსპლუატაციაც, ხშირ შემთხვევაში კონტეინერები თავახდილი დარჩება, გაძნელდება მათი და მიმდებარე ტერიტორიის სუფთა მდგომარეობაში შენარჩუნება.

ანალიზიდან ჩანს, რომ არცერთი მეთოდი არ არის სრულყოფილი არჩევანის გაკეთებას მათ შორის კიდევ უფრო ართულებს ის გარემოება, რომ ორივე მეთოდის შემთხვევაში ნარჩენების ტრანსპორტირებისათვის გამოყენებულია სპეცტრანსპორტი, რის გამოც მომსახურე ფირმებს მონოპოლური მდგომარეობა უკავიათ. ეს კი პროცესების მართვას მნიშვნელოვნად აძნელებს. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ მუნიციპალური ნარჩენების მართვის მეთოდი დაარსებიდან დღემდე კორუმპირებულია, არ არსებობს საკრებულოს მიერ დამტკიცებული ნარჩენების დაგროვების ნორმების, მისი ზიდვის მანძილების განსაზღვრის და საერთოდ ამ სფეროში საქმიანობის ორგანიზების წესები (ნარჩენების ზიდვის მანძილები ხელოვნურად არის გაზრდილი, არასრულყოფილია შესრულებული რეისების აღრიცხვა, მოშლილია სპიდომეტრული მეურნეობა და ა.შ.)





ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით არასამთავრობო ორგანიზაციამ "პარტნიორობა ადგილობრივი მმართველობის სრულყოფისათვის" შეიმუშავა საყოფაცხოვრებო ნარჩენების დაგროვების ახალი მეთოდი, ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველოს" მიერ გამოცხადებულ კონკურსში მოპოვებული გრანტის პროექტი "სუფთა ქალაქის" ფარგლებში.

ბუნკერში იდგმება მარტივი კონსტრუქციის მოძრავი კონტეინერი, რომელშიც ჩაფენილია ნარჩენების მიმღები ერთჯერადი ტარა (პოლიეთილენის პარკი). ამ წინადადების რეალიზაციის შემთხვევაში ნაგავმზიდი მანქანა ჩერდება კორპუსის მიმდებარე ქუჩაზე, მუშა ბუნკერიდან იღებს ნარჩენებით სავსე პოლიეთილენის პარკს (წონა 25-30 კგ) და 10-15 მეტრის მანძილზე მიაქვს მანქანამდე, კონტეინერში აფენს პოლიეთილენის ახალ პარკს. ბუნკერი იცლება ყოველდღიურად. ასეთ პირობებში გამოირიცხება მღრნელების არსებობა, ნარჩენების ლპობა და სუნი; სამუშაო შედარებით პრესტიჟული ხდება, მუშას არა აქვს უშუალო შეხება ნარჩენებთან, არ არის საჭირო მანქანების უკუსვლით შესვლა ბუნკერამდე, ბუნკერების გამორეცხვა და დეზინფექცია, მნიშვნელოვნად მცირდება მანქანების დატვირთვის დრო. პილიეთილენის პარკის მანქანაზე გადატანას დასჭირდება მაქსიმუმ 3-4 წუთი ანუ 1 კუბური მეტრი ნარჩენის დატვირთვის დრო შემცირდება 15-20 წუთამდე, არსებულთან შედარებით 4-6 ჯერ ნაკლები, ამასთან ერთჯერადი ტარის გამოყენება საშუალებას იძლევა ავამაღლოთ "გაზისა" და "ზილის" ტიპის მანქანების ძარის გვერდითი კედლები და მისი ტევადობა გავზარდოთ თითქმის 1,5-1,8-ჯერ. ამით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება მანქანების ტვირთამწეობის გამოყენების ეფექტურობა და შესაბამისად ბუნკერული სისტემის ეკონომიკური მაჩვენებლები. ხარჯები იგივე იქნება რაც კონტეინერული მეთოდის გამოყენებისას, თუ კონტეინერებს განვათავსებთ თითოეულ სადარბაზოსთან, როგორც ეს ევროპის ქვეყნებშია მიღებული.



ლევან ხერხეულიძის ფოტოები

აღნიშნული მეთოდი კიდევ უფრო ეკონომიური გახდება, თუ ქალაქის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებში მოეწყობა ნაგვის გადამტვირთი პუნქტები, საიდანაც ნარჩენების გატანა ნაგავსაყრელებზე მოხდება დიდი ტევადობის (40 კუბური მეტრი) მანქანებით. მომავალში ამ პუნქტებს ნარჩენების დახარისხების ფუნქცია შეიძლება დაემატოს, რაც მომავალში სავალდებულო გახდება გარემოს დაცვის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

საკითხის ასე გადაწყვეტის შემთხვევაში ამ სფეროში მომსახურების ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის პირობები შეიქმნება. გამარტივდება და გაიოლდება პროცესების მართვა, ნარჩენების გატანა შეეძლება ნებისმიერ ფირმას, რომელსაც გააჩნია სატვირთო ტრანსპორტი. შეთავაზებული სისტემის რეალიზაცია გაცილებით ნაკლებ კაპიტალურ დაბანდებას მოითხოვს; შესაძლებელია არსებული საავტომობილო პარკის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზების გამოყენება; მანქანის ძარის გვერდითი კედლების ამაღლება და ბუნკერში ჩასადგამი მარტივი კონსტრუქციის მეტალის ან პლასტმასის მოძრავი კონტეინერის დამზადება დიდ თანხებთან არ არის დაკავშირებული. ამასთან მათი დამზადება შესაძლებელია ადგილზე, რაც დამატებით სამუშაო ადგილებს შექმნის.

ცალკე უნდა განვიხილოთ მაგისტრალებისა და გზების დასუფთავების საკითხი. სამუშაოები დღესაც და მომავალშიც საქალაქო ბიუჯეტიდან დაფინანსდება, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ნარჩენების მოგროვების მეთოდების ეკონომიურობასა და ამ სფეროში მომუშავე ფირმების საქმიანობის გამჭვირვალობას.

ფეხითმოსიარულეთა ინტენსიური მოძრაობის მაგისტრალები არ არის აღჭურვილი სანაგვე ყუთებით, მიუღებელია მაგისტრალების დასუფთავების პრიმიტიული მეთოდი - ცოცხით ხვეტა. ნარჩენების შემადგენლობის უმეტეს ნაწილს წარმოადგენს მტვერი (მტვერი ატმოსფეროს შემადგენლობაშიც დასაშვებ ნორმებს 8-10-ჯერ აღემატება), რომელიც მაგისტრალების ქუჩების კეთილმოუწყობლობით ან მათი მოწყობის ნორმების დარღვევებით და ნიადაგის ეროზიითაა განპირობებული. აუცილებელია შემუშავდეს ქალაქში მტვრის შემცირების გრძელვადიანი პროგრამა, მაგისტრალების დასასუფთავებლად გამოყენებულ იქნეს მცირე მექანიზაციის საშუალებები, საკრებულოს მიერ დამტკიცებულ იქნას მაგისტრალების სისუფთავის ნორმები. ჩვენი მოსაზრებით, ქუჩების და მაგისტრალების დასუფთავების უფლებამოსილების მოპოვება უნდა მოხდეს ცალკე კონკურსის გზით. იმ პირობით, რომ მექანიკურ მოწყობილობებს, სანაგვე ყუთებს თვითონ შეიძენენ კონკურსში გამარჯვებული ფირმები. ასეთი მოწყობილობების დამზადება შესაძლებელია ჩვენთანაც.

რაც შეეხება წარმოება-დაწესებულებებში, სავაჭრო, მომსახურების და სხვა ობიექტებში მოგროვილი ნარჩენების გატანას, ის თავისუფალი კონკურენციის პირობებში უნდა განხორციელდეს, ორგანიზების წესებით ყველა ობიექტი ვალდებული უნდა იყოს ხელშეკრულება გააფორმოს ნარჩენების გამტან ორგანიზაციასთან და ანგარიშსწორება მათთან მოახდინოს ბანკების მეშვეობით.

მიგვაჩნია, რომ დღეს ყველაზე მნიშვნელოვანია მუნიციპალური ნარჩენების მართვის საკითხებში მთავრობის გადაწყვეტილება ემთხვეოდეს მოსახლეობის მოთხოვნებსა და ინტერესებს; წინააღმდეგ შემთხვევაში თბილისი ვერ გახდება სუფთა ქალაქი (დაახლოებით 1 თვეში მთავრობას შეგვიძლია მივაწოდოთ ამ ხაზით ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები). თუ საბიუჯეტო სახსრები გამოყენებული იქნება ქალაქის მთლიანად გადასაყვანად ნარჩენების დაგროვების კონტეინერულ მეთოდზე, შეიძლება გამოუსწორებელი შეცდომა დავუშვათ. ამატომ ვთხოვთ სპეციალისტებს, ინჟინრებს, ეკონომისტებს, მოსახლეობას გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით.

*არასამთავრობო ორგანიზაციის "პარტნიორობა ადგილობრივი მმართველობის სრულყოფისათვის" გამგეობის თავმჯდომარე ზ. კაჭარავა*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივი სამსახური (ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25) აცხადებს ტენდერს ქ. ბათუმში რუსთაველის ქუჩა **N33, N41-ი** და ხიმშიაშვილის (ნინოშვილის) ქუჩა **N27** საცხოვრებელი სახლების პოლიკარბონატული ფილებით შემოსვისა და ფასადების შეღებვის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესყიდვის ობიექტი დაყოფილია ლოტებად:**

**ლოტი N1** ქ. ბათუმში რუსთაველის ქუჩა N33 და N41-ი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების შეღებვა და აივნების პოლიკარბონატული ფილებით შემოსვის სამუშაოები.

**ლოტი N2** ქ. ბათუმში ხიმშიაშვილის (ნინოშვილის) ქუჩა N27 მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის პოლიკარბონატული ფილებით აივნების შემოსვის სამუშაოები.

**2.** მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან **2006 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდი.**

**3. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება (დალუქვის გარეშე), საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (ერთი დედანი და ერთი ქსერო ასლი) დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 5 ივლისიდან 2006 წლის 6 ივლისის 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25. (ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივი სამსახური).**

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადოდან),

ბ) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის ლიკვიდაცია, გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან);

გ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

დ) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს სასამართლოდან).

გ) ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან);

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

გ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

დ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ);

ე) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (აუდიტორული დასკვნა).

**5.** სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება 2006 წლის 5 ივლისის 16 საათამდე, ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (ქ. ბათუმის საფინანსო სამსახურის სპეციალური ანგარიში N000142402, საქართველოს ეროვნული ბანკის ბათუმის ფილიალის კოდი 220501102, საინ. კოდი 245428531, დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

**6.** ტენდერში ლოტების მიხედვით შესაძლებელია ორი გამარჯვებულის გამოვლენა.

**7.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - მანუჩარ მეგრელიშვილი ტ. 7-66-40, **ელ. ფოსტა e-mail:tender-batumi@mail.ru** მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

მარტვილის რაიონის გამგეობა, მისამართი: ქ. მარტვილი თავისუფლების ქ. №10, აცხადებს ტენდერს ქ. მარტვილის წყალსადენი მაგისტრალის სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

შესყიდვის ობიექტის კონკრეტული მონაცემები მითითებულია სატენდერო დოკუმენტაციაში:

1. ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 150 (ასორმოცდაათი) ლარი შემდეგ რეკვიზიტებზე: სს სახალხო ბანკი, კოდი 220101439, ანგ. № 33030001, სახაზინო შემოსავლების კოდი 30354040 და წარმოადგინონ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, რის შემდეგაც გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებები და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, შემდეგ მისამართზე: ქ. მარტვილი თავისუფლების ქ. №10, მარტვილის რაიონის გამგეობა.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირისათვის:

ა) სარეგისტრაციო დოკუმენტები და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრიდან მის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან დავალიანების არარსებობის შესახებ;

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია და/ან ლიკვიდაცია.

ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან დავალიანების არარსებობის შესახებ;

გ) ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედითუნარიანია.

სატენდერო წინადადების წარდგენის ბოლო ვადაა 2006 წლის 30 ივნისი, 13 საათი.

დაგვიანებული სატენდერო წინადადებები არ მიიღება.

სატენდერო წინადადებები გაიხსნება 2006 წლის 30 ივნისს, 13 საათზე.

საკონტაქტო პირი ზაზა რუხაია. ტელ.: 899 54-22-12

# განცხადება

1. ორგანიზაციას სარეალიზაციოდ გამოაქვს გზების, ბაღების, ქუჩების სანათების მაღალი ხარისხის, 2006 წლის აპრილის თვეში იმპორტირებული სარანსკის (რუსეთის) წარმოების ნათურები:

- ДРЛ 250 ვატი
- ДРЛ 400 ვატი
- ДРЛ 700 ვატი
- ДРЛ 1000 ვატი
- ვარვარა 220X500 ვატი
- ლუმინისცირებული ლდ 40-1

2. ორგანიზაცია მიიღებს მონაწილეობას ტენდერში კვოტირების მეთოდით შემდეგი ნაწარმის შესყიდვისათვის:

- ნათურები სხვადასხვა
- ელექტრო და კავშირის სადენები, კაბელები
- ელძრავის დასახვევი ემალსადენი
- სხვადასხვა სანათები

საკონტაქტო ტელ.: 22-15-93

შპს "ნეონი" ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 74 ა IV სართული

# საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მოწვევა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)

**საიდენტიფიკაციო ნომერი: N 04.04.11**
**მსოფლიო ბანკის კრედიტი N IDA- 37580-GE**
**თელავის რაიონის, სოფ. ყარაჯალის წყალსადენის რეკონსტრუქცია**

საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან (IDA) მიიღო სესხი და აპირებს სესხის ნაწილით დააფინანსოს **თელავის რაიონის, სოფ. ყარაჯალის წყალსადენის რეკონსტრუქცია.**

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება სოფ. ყარაჯალის სათემო კავშირთან "ყარაჯალა", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სოფ. ყარაჯალის სათემო კავშირი "ყარაჯალა", იწვევს დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ **2006 წლის 15 ივნისიდან** ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) 10-დან 18 საათამდე **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში. საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი.**

საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი) ლარს,** რომელიც გადახდილი უნდა იქნას ბანკში, შემდეგ რეკვიზიტებზე:

**ბანკის სახელწოდება: ს.ს. ბანკი "რესპუბლიკა"**
**მისამართი: ქ. თბილისი, გრ. აბაშიძის ქუჩა N2**
**ა/ა: 34080001**
**კოდი: 220 101 757**
**საიდენტიფიკაციო კოდი: 206 074 193**
**ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**

თანხის გადახდის დამადასტურებელი საბუთი უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო პაკეტის მოთხოვნისას.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან **60 დღის** განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **4 300 ლარის** ოდენობის საკონკურსო გარანტია.

საკონკუსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება. კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს **2006 წლის 14 ივლისს 12:00**-მდე, **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში. საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში საკონკურსო წინადადების წარმოდგენის ვადის დასრულების დღეს, **2006 წლის 14 ივლისს 12:00** საათზე, დაინტერესებული პირების თანდასწრებით. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეობის მსურველებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი. აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში, კონკურსანტს შეუძლია მიმართოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში შიდა აუდიტის სამსახურს.

**საკონტაქტო პირი: ნიკოლოზ გაგუა, შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი.**
**ngagua@mdf.org.ge**
**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მისამართია:**
**ქ. თბილისი, 0105, იეთიმ გურჯის ქუჩა N7ბ**
**ტელ: (995 32) 94 32 40; 94 29 47; 92 34 70**
**ფაქსი: (995 32) 94 04 39**
**www.mdf.org.ge**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სს "რიონჰესი" აცხადებს ღია ტენდერს 15 მვა სიმძლავრის №4 ჰიდროაგრეგატის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების შესასრულებლად ტიპიური ნომეანკლატურის მოცულობით თანახმად სადეფექტო აქტისა და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე დაინტერესებულ იურიდიულ პირს.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 თვისა.

3. განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი იქნას სატენდერო კომისიისათვის 2006 წლის 7 ივლისის 12 საათიდან 2006 წლის 7 ივლისის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი ახალგაზრდობის გამზირი მე-5 შესახვევი №15.

4. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

იურიდიული პირისათვის:

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის კვალიფიკაცია ჰიდროაგრეგატების მონტაჟის, გამართვა-გაწყობის სამუშაოების შესრულებაზე შესაბამისი ლიცენზიისა და ტექნიკური საშუალებების არსებობა. მისი რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ;

- ცნობა, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნას საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

- ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

- უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ დამკვეთის მიერ ბეჭდით დადასტურებული ინფორმაცია შესრულებული სამუშაოს შეფასებით;

- ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საკუთრების შემთხვევაში საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი, იჯარის შემთხვევაში საიჯარო ხელშეკრულება);

- ინფორმაცია ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ.

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდა, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6. სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდგომ (გაერთიანებული ქართული ბანკის ქუთაისის რეგიონული სამმართველო. ა/ანგარიშის № 183603 მფო 220101605) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 16 ივნისის 12 საათიდან 2006 წლის 7 ივლისის 12 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი მე-5 შესახ. №15. რიონჰესის დირექცია.

7. ინფორმაცია სამუშაოთა ჩამონათვალისა და ხასიათის შესახებ დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: სახელმწიფო შესყიდვების კოორდინატორი გიორგი ბიჭაშვილი. საკონტაქტო ტელეფონი 4-10-37. მობილური 893 60 92 18. მისამართი: ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი V შეს. №15. რიონჰესის დირექცია.

სატენდერო კომისია

# განცხადება ღია კონკურსის ჩატარების შესახებ

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტრო**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტრო საჯარო სკოლების მშენებლობისა და რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, იწვევს სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის მენეჯერებს (14 სამშენებლო ხელშეკრულებისათვის) ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებში არსებული საჯარო სკოლების სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ზედამხედველობის განსახორციელებლად.

სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის მენეჯერმა უნდა განახორციელოს შემდეგი სამუშაოები:

1. სამინისტროს წარმომადგენლის სახით სამინისტროსა (როგორც დამქირავებლის) და მშენებლის (როგორც დაქირავებულს) შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკითხების გადაწყვეტა და სამუშაოთა წარმოების პროცესზე ზედამხედველობისა და მართვის განხორციელება.
2. მშენებლობის პროცესში მონაწილე მხარეებს შორის საქმიანი შეხვედრების ორგანიზება და შესაბამისი დოკუმენტაციის (ოქმის) მომზადება.
3. მშენებელთან საპროექტო დოკუმენტაციის განხილვა და წარმოებაში დაშვება.
4. სამუშაოთა წარმოებაზე ზედამხედველობის პროცესში განსაკუთრებული კონტროლის დაწესება სამუშაოთა წარმოების შესაბამისობაზე მოქმედ ნორმებთან, სტანდარტებთან და ცალკეულ სახეობებში-ტექნიკურ პირობებთან.
5. საზედამხედველო ობიექტებზე სამუშაოთა წარმოების ჟურნალების დანერგვა მათში ყოველდღიური ჩანაწერების საწარმოებლად, შესრულებულ სამუშაოებზე კონტროლის განსახორციელებლად და ფარულ სამუშაოთა აქტების შესადგენად.
6. სამშენებლო სამუშაოთა შეთანხმებული გრაფიკის ყოველდღიური კონტროლის წარმოება, გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში სამინისტროს წერილობითი ინფორმირება.
7. წარმოებაში ჩადებულ სამშენებლო მასალებზე და სამონტაჟო ნაკეთობებზე სისტემატიური კონტროლის დაწესება (არ დაუშვას წარმოებაში საპროექტო სპეციფიკაციებისაგან განსხვავებული ან არასერტიფიცირებული მასალების გამოყენება).
8. დადგენილი ფორმით სამუშაოთა შუალედური მიღების წარმოება და დოკუმენტირება.
9. პროექტით გაუთვალისწინებელ სამუშაოთა წარმოების აუცილებლობის შემთხვევაში, პროექტანტებთან შეთანხმების შემდეგ სამინისტროდან ნებართვის მიღება.
10. სამუშაოთა მსვლელობაში შექმნილ პრობლემებზე საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გადაწყვეტილებების მიღება. სხვა შემთხვევაში, პროექტანტებთან შეთანხმების შემდეგ სამინისტროდან ნებართვის მიღება.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

- ინჟინრის ( სასურველია მშენებელ-ინჟინრის ) დიპლომი.
- მინიმუმ 5 წლის პროფესიული გამოცდილება.
- გამოცდილება სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის დარგში.

ხელშეკრულებები გაფორმდება 14 საუკეთესო კანდიდატთან. სამუშაოს ხანგრძლივობა დაახლოებით 3-6 თვეა. სამშენებლო სამუშაოები დაიწყება ამა წლის ივნისიდან.

გთხოვთ, ინტერესის შემთხვევაში გამოგვეხმაუროთ წერილობით. განაცხადის წერილს თან უნდა დაერთოს:

1. დიპლომის ასლი;
2. კვალიფიკაციისა და გამოცდილების აღწერილობა;
3. მსგავსი განხორციელებული სამუშაოების ჩამონათვალი;
4. სასურველია სარეკომენდაციო წერილი;

განაცხადი უნდა წარმოადგინოთ 2006 წლის 22 ივნისის 17 სთ-მდე. კონკურსის ჩატარების დღეა 23 ივნისი 14 საათი. შემდეგ მისამართზე:

**ქ. ბათუმი, რუსთაველის 6, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.**

ტელეფონი: ქალაქი 7-16-50.

**საკონტაქტო პირი**: ინგა დავითაძე. საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი.

# საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს საქონლის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

**შესყიდვის ობიექტი - ერთჯერადი ლუქი 113 000 ცალი**
**დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი**

სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებელის 200 (ორასი) ლარის ოდენობის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ 2006 წლის 26 ივნისის 17 საათამდე. შემდეგ მისამართზე: 0162, საქართველო, თბილისი, ირაკლი აბაშიძის 70 საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო

სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში

ანგ. 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი 300043133

გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, ერთჯერადი ლუქი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ტენდერში გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს შესაბამისი საქონლის მიწოდება ქ. თბილისში 2006 წლის ბოლომდე, ეტაპობრივად, დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად.

პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 27 ივნისის 14 საათამდე, ზემოაღნიშნულ მისამართზე.

პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად, დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინოს შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები.

**იურიდიულ პირთა:**

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა. (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

**ფიზიკურ პირთათვის:**

- ცნობას, მისი ქმედუნარიანობის შესახებ. (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის (ცნობა სასამართლოდან);

**როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთათვის:**

- პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს მდგრადი ფინანსური მდგომარეობა (წარმოდგენილი უნდა დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა).
- სატენდერო წინადადებების გახსნის თარიღისათვის პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს შესრულებული მისი რეგისტრაციის მიხედვით შესაბამისი სახელმწიფოს კანონმდებლობით დადგენილი საგადასახადო ვალდებულებები. (უნდა იყოს წარმოდგენილი მისი რეგისტრაციის მიხედვით შესაბამისი კომპეტენტური სახელმწიფო სტრუქტურის მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტები).
- ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

***შენიშვნა:*** *არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.*

*ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს საქონლის მიწოდების პროცესში მათი მონაწილეობის შემთხვევაში.*

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებას და საკვალიფიკაციო მონაცემებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე 22-69-07, 23-18-57

***სატენდერო კომისია***

# საინფორმაციო ცნობა

ქ. თბილისის მთავრობა აცხადებს აუქციონს ქ. თბილისის
ტერიტორიაზე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების საკუთრებაში გაცემაზე

| № 1 | მიწის ნაკვეთის მისამართი | გაცემის ფორმა | სარგებლობის ფორმა | მიწის ნაკვეთის გამოყენების ფორმა (მიზნობრივობა) | მიწის ნაკვეთის ფართობი კვ.მ | მოშენების ფართობი კვ.მ. | სართულიანობა | საკუთრებაში გადასაცემი მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი (ლარი) | კომისიის მიერ დადგენილი მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი კვ.მ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| | | | | | | | | | |
| | ისანი-სამგორის რაიონი, ლოჭინის მიმდებარე ტერიტორია | აუქციონი | საკუთრება | | 1000 კვ.მ | | | | 10 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში ( ბიჯი-5 დოლარის ექვივალენტი ლარებში) |

**შენიშვნა:** აუქციონში მონაწილეობისათვის აუცილებელია შეტანილ იქნას ბე (სადეპოზიტო თანხა), რომელიც განისაზღვრება მიწის ნაკვეთის ღირებულების 5%-ის ოდენობით.

აუქციოში მონაწილეობის მისაღებად განცხადებები მიიღება საინფორმაციო ცნობის პრესაში პირველივე გამოქვეყნებიდან 30 დღის განმავლობაში, 2006 წლის 19 ივნისის 11სთ/დან 2006 წლის 19 ივლისის 17სთ/მდე. აუქციონის ჩატარების თარიღი მონაწილეებს წერილობით ეცნობებათ დამატებით, განცხადების მიღების შეწყვეტის შემდგომ.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ. თბილისის მერიას, მისამართი: თავისუფლების მოედანი N2, ტელ: 93 45 73, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურს, მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი 89/24, ტელ: 96 91 21.

## ც ვ ლ ი ლ ე ბ ა სატენდერო განცხადებაში

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ 2006 წლის 12 ივნისს გამოქვეყნებულ განცხადებაში ორეტაპიანი ღია ტენდერის ჩატარების შესახებ თემაზე - ***კულტურული მემკვიდრეობის ანალიტიკურ-საინფორმაციო სივრცის შექმნა,***

**მოხდეს ცვლილებები და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:**

ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოები უნდა შესრულდეს **თანამედროვე ტექნოლოგიების** გამოყენებით.

ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოს დასრულებისა და ჩაბარების საბოლოო ვადაა:

ლოტი 1 - **2006 წლის 10 დეკემბერი**

ლოტი 2 **- 2006 წლის 10 დეკემბერი**

შესრულებული სამუშაო (საბოლოო პროდუქცია) დამკვეთს წარედგინება:

**ლოტი 1.**

სამინისტროს კომპიუტერულ ქსელში დაინსტალირებული მონაცემთა ბაზა;

მონაცემთა ბაზის 3 ასლი;

მონაცემთა ბაზის შემადგენელი ყველა გაფართოების ფაილი - სათანადოდ დასათაურებული DVD დისკის სახით;

**გრაფიკული და ტექსტური მასალები ორი მყარი ასლის სახით.**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** შინდისის თემის გამგეობა (მის. სოფ. შინდისი, შინდისის თემის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა) აცხადებს ტენდერს შინდისის საკრებულოს ტერიტორიაზე გორი-ცხინვალის საავტომობილო გზის მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება:

ა) გორი-ვარიანი-ცხინვალის საავტომობილო გზის კმ 12+938-დან კმ 14+588-მდე რეაბილიტაცია (შინდისის მონაკვეთის ტრასის აღდგენა და დამაგრება 1.650 კმ.);

ბ) სამუშაოს შესრულების ადგილია სოფელი შინდისი.

გ) სამუშაოს შესრულების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 30 სექტემბრამდე.

**2.** დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2006 წლის 5 ივლისს 16.00 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: გორის რაიონი, სოფ. შინდისი, შინდისის თემის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა, შინდისის თემის გამგეობის სატენდერო კომისიის აპარატში.

**3.** საკვალიფიკაციო მომაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირისათვის:**

**ა)** შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

**ბ)** ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან\და ლიკვიდაცია;

**გ)** ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

**დ)** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

**ე)** ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან\და სანაციის საქმე.

**ვ)** ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით;

**ფიზიკური პირისათვის:**

**ა)** მეწარმის რეგისტრაციის მოწმობა;

**ბ)** ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**გ)** ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**დ)** ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

**ე)** ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

**როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:**

**ა)** ინფორმაციას, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ.

**ბ)** ინფორმაციას, უკანასნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მოწოდების შესახებ;

**4.** განცხადებას ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, უნდა ახლდეს მე-3 პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.

**5.** იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და ვერ დასახელდება პრეტენდენტად თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-3 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**6.** ტენდერში გამარჯვებულად დასახელდება მხოლოდ ერთი პრეტენდენტი.

**7.** პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადება, წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, ბეჭედდასმულ და დალუქულ კონვერტში, წარმომდგენის ხელმოწერის აღნიშვნით.

**8.** სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის (საქართველოს ეროვნული ბანკი ანგ.N200122900, კოდი 220101107, სახაზინო კოდი 300434040,) შემდეგ, ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების გამოქვექნებიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში შეეძლებათ მისამართზე: გორის რაიონი, სოფ. შინდისი, გამგეობის ადმინისტრაციული შენობა, შინდისის თემის გამგეობის სატენდერო კომისიის აპარატი ირმა პაპუნაშვილი, ვარდო გელაშვილი.

**9**. დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ მიმართონ შინდისის თემის გამგეობის სატენდერო კომისიის აპარატს, მისამართზე: გორის რაიონის სოფ, შინდისი გამგეობის ადმინისტრაციული შენობა.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

***1.*** ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს ქ. თბილისში, ვარკეთილის 3 1 მ/რ-ის N28 -ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი კორპუსის გამაგრება-გაძლიერების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესასრულებელი სამუშაოების მოკლე დახასიათება: ექსპერტიზა გავლილი საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით უნდა ჩატარდეს ავარიული საცხოვრებელი კორპუსის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები.

***2***. მიწოდების სავალდებულო ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2006 წლის 31 დეკემბერი.

***3***. განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილ იქნას 2006 წლის 5 ივლისის 12 საათიდან 2006 წლის 5 ივლისის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

***4***. პრედენტენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**.

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები)
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისრაციის შესახებ;
- ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის (რაბილიტაციის) საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ ( ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ;

**ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასმართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;
- ინფორმაციას მატერიალურ -ტექნიკური ბაზის შესახებ.

***5***. თუ პრედენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებამდე დადებამდე.

***6.*** სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 15 ივნისის 12 საათიდან 4 ივლისის 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

***7.***ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელსეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5% ოდენობით.

***8.*** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ნუგზარ დავლიანიძე- საკონტაქტო ტელეფონი 99-64-53, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება

სს "საქართველოს გეოლოგიისა და სამთო საქმის ეროვნული კომპანია" 2006 წლის 4 ივლისს 12 საათზე იწვევს პარტნიორთა საერთო კრებას შემდეგი დღის წესრიგით:

1. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში 2005 წლის მუშაობის შესახებ
2. გენერალური დირექტორის ანგარიში 2005 წლის მუშაობის შესახებ
3. 2005 წლის მუშაობის მდგომარეობის შეფასება
4. 2006 წლის ბიზნესგეგმის დამტკიცება
5. ცვლილებები საწესდებო კაპიტალში საზოგადოების კაპიტალში რიცხულ შენობა-ნაგებობებზე დამაგრებული ნაკვეთების შეტანის მიზნით.

მისამართი: მოსაშვილის ქ. 24, მე-4 სართული.

## მიმდინარეობს შპს სადაზღვევო სააგენტო "ალდაგი-კახეთის" ლიკვიდაცია

შპს სადაზღვევო სააგენტო "ალდაგი-კახეთის" ლიკვიდატორად დაინიშნა საზოგადოების დირექტორი გია გამტკიცულაშვილი და დაევალა განახორციელოს ლიკვიდაციასთან დაკავშირებული ყველა მოქმედება.

დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე:

ქ.თელავი, ქეთევან წამებულის N1 ან მოგვმართეთ ტელეფონზე: 825075077

განმცხადებელი: შპს სადაზღვევო სააგენტო "ალდაგი-კახეთის" დირექტორი გია გამტკიცულაშვილი.

# იუდას სახარება

ნუცა კობახიძე
*აშშ-დან*

მეოცე საუკუნეში ეგვიპტის უდაბნოში აღმოჩენილი და 2006 წელს ინგლისურ ენაზე გამოცემული "იუდას სახარება" თანამედროვე სამყაროს განსჯისა და კრიტიკის საგანი გახდა. არის თუ არა ახლად აღმოჩენილი სახარება ისტორიული დოკუმენტი? რას მოგვითხრობს სახარების ტექსტი და რამდენად შესაბამისობაშია ის ქრისტიანობის მიერ კანონიკურად მიჩნეულ ოთხ სახარებასთან? ვინ არის იუდა ამ ტექსტის მიხედვით და განსხვავდება თუ არა ის იუდას ტრადიციული პორტრეტისგან?... კითხვები უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს. დასავლური პრესა ამ თემით არცთუ იშვიათად სპეკულირებს. ცდილობს "იუდას სახარებისა" და დენ ბრაუნის სკანდალური წიგნის "და ვინჩის კოდის" ერთმანეთთან დაკავშირებას, ამტკიცებს, რომ ის, რაც დენ ბრაუნმა, ერთი შეხედვით, მეცნიერულობაზე პრეტენზიის არმქონე რომანის ფაბულად გამოიყენა, დასტურდება "იუდას სახარების" ავთენტიკური ტექსტით. სპეკულაცია გრძელდება... და ვინ იცის, კიდევ რამდენი სკანდალური დასკვნის წყაროდ შეიძლება იქცეს მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი არქეოლოგიური აღმოჩენა "იუდას სახარება".

დღეს არავინ დავობს იმ თემაზე, რომ ქრისტიანობის ისტორიის პირველ-მეორე საუკუნეებში ახალი აღთქმის ოთხ ძირითად სახარებასთან ერთად უამრავი სხვა, ალტერნატიული სახარება იწერებოდა. მათგან ზოგიერთმა დღევანდელობამდე მოაღწია, ზოგიც ცნობილია ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით. თომას სახარება, პეტრეს სახარება, მარიამ მაგდალინელის სახარება, ფილიპეს სახარება, ნიკოდემუსის სახარება, იაკობის სახარება... ეს მცირე ჩამონათვალია სახარებათა საკმაოდ გრძელი რიგისა. ქრისტიანული მოძღვრება მათ არაკანონიკურ სახარებებად, ერეტიკულ მოძღვრებებად მიიჩნევს. არაკანონიკურ სახარებათა რიგში იუდას სახარებაც დგას. მას ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვით მეორე საუკუნეში (დაახლოებით 180 წელს) ლიონის ეპისკოპოსი ირინეოსი ახსენებს თავის ტრაქტატში *ერესების წინააღმდეგ*.

### იუდა ახალი აღთქმის მიხედვით

ქრისტიანული ტრადიციის თანახმად, რომელიც ამ საკითხში ახალ აღთქმას ეფუძნება, იუდა ქრისტეს თორმეტ მოწაფეთაგან ერთ-ერთია. მარკოზის სახარებაში ვკითხულობთ: "იუდა ისკარიოტელი, ერთი იმ თორმეტთაგანი, წავიდა მღვდელმთავრებთან, რათა გაეცა იგი" (მარკოზი, 14:10). აქ სრულიად არ ჩანს მიზეზი, თუ რატომ გასცა იუდამ იესო ქრისტე. იუდას ფულით დაინტერესებაზე მათეს სახარება მოგვითხრობს, სადაც იუდა ებრაელ მღვდელმთავრებთან მიდის და ეკითხება: "რას მომცემთ, რომ გადმოგცეთ იგი?" მიუწონეს მას ოცდაათი ვერცხლი" (მათე, 26:15). ლუკას სახარების მიხედვით, რომელიც იმავე პერიოდშია შექმნილი, როდესაც მათეს სახარება დაიწერა, იუდაში სატანა ჩასახლდა, რომელმაც მას ქრისტეს გაცემისაკენ უბიძგა (ლუკა,22:3). ახალი აღთქმის ბოლო სახარება, სახარება იოანესი მოგვითხრობს, რომ ქრისტე თავის მოწაფეებთან ერთ-ერთი საუბრისას ამბობს: "თორმეტი არ აგირჩიეთ? ერთი თქვენგანი ეშმაკია. ეს თქვა იუდა სიმონის ძეზე, ისკარიოტელზე, რადგან მას, ერთ თორმეტთაგანს უნდა გაეცა იგი". (იოანე, 7:70-71). იუდას პორტრეტი მარკოზის, მათეს, ლუკასა და იოანეს სახარების მიხედვით ერთმნიშვნელოვნად უარყოფიათია. მისი სახე სატანას უიგივდება, ერთგან ის ქურდადაც კი მოიხსენიება (იოანე, 12:4-6).

### იუდა "იუდას სახარების" მიხედვით

"იუდას სახარება" იუდას შესახებ ახალი აღთქმისგან სრულიად განსხვავებულ პერსპექტივას გვთავაზობს, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ის მთლიანად უპირისპირდება იუდას ტრადიციულ სახარებისეულ გაგებას. იუდა ამ სახარების მიხედვით ქრისტეს ყველაზე ახლო მეგობარია, რომელიც ერთდროულად ქრისტეს გამცემიცაა და სახარების გმირიც. "იუდას სახარების" მიხედვით, როდესაც მოწაფეებთან მოსაუბრე ქრისტე მიმართავს მათ კითხვით, თუ ვინ არის ის ჭეშმარიტად, იუდა მიუგებს: "ვიცი, ვინ ხარ და საიდან მოხვედი... და მე არ ვარ ღირსი წარმოვსთქვა მისი სახელი, ვინც შენ გამოგგზავნა" (იუდას სახარება, 35-36). მაშინ იესო იუდას ცალკე დაელაპარაკება და დაარიგებს: "სხვებისგან შორს დაიჭირე თავი. მე შენ სამყაროს საიდუმლოებებს გაგანდობ. ამის მიღწევა შენ შეგიძლია, მაგრამ ამისთვის დიდი განსაცდელის ატანა მოგიწევს" (იუდას სახარება,36-37). ამის შემდეგ ტექსტში არაერთხელ შევხვდებით იუდასა და ქრისტეს დიალოგს, სადაც მათ შორის განსაკუთრებული მეგობრული ურთიერთობა იგრძნობა. ქრისტე კოსმოლოგიის, ადამისა და ევას, ვარკვლავების შესახებ მოუთხრობს იუდას. თემატიკის მიხედვით ტექსტის ეს ნაწილი უფრო ახლოსაა პლატონის სამყაროს შექმნის შესახებ არსებულ ცნობილ დიალოგთან - "ტიმეოსთან", ვიდრე რომელიმე ქრისტიანულ ტექსტთან. ბოლოს იუდა გასცემს იესოს, მაგრამ არა თავისი ნებით, არამედ ქრისტესავე თხოვნით. ვილაცამ ხომ უნდა გასცეს იგი? ვინმემ თავის თავზე ხომ უნდა აიღოს გამცემისა და მოღალატის პასუხისმგებლობა, რათა ქრისტე ისევ იმ სამყაროში დაბრუნდეს, საიდანაც მოვიდა. იუდა ქრისტეს ყველაზე ერთგული მეგობარია, ამიტომაც დაჰყვება ქრისტეს თხოვნას და გასცემს მას. ქრისტე აფრთხილებს: "შენ მეცამეტე იქნები... დაწყევლილი სხვა თაობებისგან და შემდეგ მათზე იბატონებ". (იუდას სახარება, 46-47). იუდა თანახმაა ეს



საშინელი წყევლა ქრისტეს სიყვარულით მიიღოს. "იუდას სახარება" მთავრდება იუდას მიერ ქრისტეს გაცემით და ამის სანაცვლოდ ფულის აღებით.

### იუდას პორტრეტი მხატვრულ ლიტერატურაში

იუდას პიროვნება წლების მანძილზე ადამიანთა ინტერესის საგანს წარმოადგენდა და ფანტაზიის ძალას აღვიებდა მათში. ამას მოწმობს სახარების თემაზე შექმნილი არაერთი ლიტერატურული ნაწარმოები, სადაც იუდა ტრადიციულისგან განსხვავებული სახითაა წარმოდგენილი. მაგალითისთვის შეგვიძლია დავასახელოთ მიხეილ ბულგაკოვის "ოსტატი და მარგარიტა", ნიკოს კაზანძაკისის "ქრისტეს უკანასკნელი ცდუნება", ცნობილი მიუზიკლი "იესო ქრისტე - სუპერვარსკვლავი", უილიამ კლასენის "იუდა: ქრისტეს გამცემი თუ მეგობარი?" და ა.შ.

თუმცა, ზემოხსენებული ნაწარმოებებისგან განსხვავებით, იუდა უმრავლეს შემთხვევაში უარყოფითი სახით იყო წარმოჩენილი. ამან ასახვა პოვა პოლიტიკაშიც. იუდას სახელი საუკუნეების მანძილზე უკავშირდებოდა ებრაელებს (იუდეველებს). იუდამ, როგორც ბოროტმა ებრაელმა, გაყიდა ქრისტე. ამდენად, ეს მოტივი კარგი საფუძველი იყო ანტისემიტიზმის მომხრეთათვის. იუდა გახდა გამცემი ებრაელის სიმბოლო. დღესაც კი ბევრ სამეტყველო ენაში, მათ შორის ქართულშიც, "იუდად" ვინმეს მოხსენიება ერთმნიშვნელოვნად მის გამცემლობასა და მოღალატეობაზე მიანიშნებს.

### "იუდას სახარების" ისტორია

"იუდას სახარება" პირველად მეორე საუკუნის ბოლოს მოღვაწე ლიონის ეპისკოპოსმა ირინეოსმა მოიხსენია თავის ცნობილ ტრაქტატში "ერესების წინაამდეგ", რომლის ბერძნული ორიგინალი, როგორც მკვლევარები გადმოგვცემენ, 180 წელს (ჩვ.წ.აღ.) უნდა იყოს დაწერილი. თუმცა, ჩვენამდე მოაღწია მისმა ლათინურმა თარგმანმა, რომელიც მეოთხე საუკუნით თარიღდება. ამ ტრაქტატში ირინეოსი სხვა ერეტიკოსთა ნაწერებს შორის "იუდას სახარებასაც" მოიხსენიებს და იქვე დასძენს, რომ ამ ერეტიკული სახარების მიხედვით იუდა ქრისტეს დანარჩენ მოწაფეებზე აღმატებულია, რადგან მხოლოდ ის ფლობს ჭეშმარიტების ცოდნას. ამ წყაროდან ბიბლიის მკვლევართათვის "იუდას სახარების" არსებობა ცნობილი ფაქტი იყო, თუმცა ის მეოცე საუკუნემდე დაკარგულ წიგნთა რიცხვში შედიოდა.

"იუდას სახარება" 1978 წელს ეგვიპტის უდაბნოში იპოვეს. ტექსტი კოპტურ (ძველეგვიპტური დამწერლობა) ენაზეა შესრულებული, უფრო სწორად, კოპტურის სამხრეთულ დიალექტზე - საჰიდიკზე. კოპტური ტექსტის თავდაპირველი ენა არ არის, ის მხოლოდ ბერძნულის თარგმანს წარმოადგენს. ეს ხელნაწერი ხელში ჩაუვარდა კაიროში მცხოვრებ ანტიკვარებით მოვაჭრე ეგვიპტელს, რომელმაც გადაწყვიტა ტექსტი გაეყიდა. ასე იმოგზაურა ტექსტმა ევროპის ერთი ქალაქიდან მეორეში. ვაჭარი იმდენად დიდ თანხას ითხოვდა (რამდენიმე მილიონს) ტექსტის სანაცვლოდ, რომ ევროპელ მეცნიერებს საჭირო თანხა არ აღმოაჩნდათ. არასათანადო შენახვის პირობების გამო, ტექსტის დიდი ნაწილი გაფუჭდა. ვაჭარმა გადაწყვიტა ტექსტი ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩაეტანა, ცნობილი მეცნიერებისთვის შეეთავაზებინა და ფასიც დაეკლო. ამის შემდეგ ტექსტს კიდევ ბევრი თავგადასავალი გადახდა. ბოლოს ის ევროპელი და ამერიკელი მეცნიერებისა და სამეცნიერო საზოგადოებების დახმარებით შეიძინეს და მისი იდენტიფიცირება და თარგმნა დაიწყეს. სამწუხაროდ, ამ დროისთვის ტექსტის ორი მესამედი უკვე განადგურებული იყო. ტექსტის ერთ ნაწილს ლაბორატორიული ანალიზი ჩაუტარდა და შესაძლებელი გახდა მისი დათარიღება. შედეგი გასაოცარი იყო: ტექსტი მეორე საუკუნით თარიღდება! 2006 წლის დასაწყისში "ნეიშენლ ჯეოგრაფიკმა" გადაიღო მხატვრული ფილმი, რომელიც, ერთი მხრივ, "იუდას სახარებაში" გადმოცემული ტექსტის ეკრანიზაცია იყო, ხოლო, მეორე მხრივ, ტექსტის ძიების, აღმოჩენისა და მისი შესწავლის ისტორია. ამ ყველაფერს ტელე და ბეჭდური მედიით უდიდესი რეკლამა გაეწია, რამაც უამრავ ჭორსა და მონაგონს დაუდო სათავე.

### მითები "იუდას სახარების" შესახებ

პოპულარობის მოსურნე, გაყიდვაზე ორიენტირებულმა ჟურნალ-გაზეთებმა ათასგვარი სათაურებით ააჭრელეს პირველი გვერდები. მათგან ძალიან ცოტა თუ ასახავდა ტექსტის რეალურ ისტორიას. მაგალითად, პოპულარული ბრიტანული ჟურნალი "Sun" 2006 წლის 15 მაისის ნომერში აქვეყნებს წერილს სათაურით: "შოკისმომგვრელი ახალი საიდუმლოებები იუდას სახარების შესახებ". სტატიის ავტორი "იუდას სახარებში" აღმოჩენილ სამ ძირითად საიდუმლოებას "გვაუწყებს". საიდუმლო პირველი: "და ვინჩის კოდის" მსგავსად, "იუდას სახარება" გვეუბნება, რომ იესო ქრისტეს მარიამ მაგდალინელი ჰყავდა ცოლად, რომელსაც ჯვარცმამდე გაშორდა იმის შიშით, რომ მის ქვრივს რომაელთაგან საფრთხე დაემუქრებოდა. საიდუმლო მეორე: იესო ქრისტეს გამცემი მოწაფე იუდა კი არ იყო, არამედ პეტრე, რომელმაც იესოს ჯვარცმამდე სამგზის უარყო ქრისტე. საიდუმლო მესამე: ჯვარცმული ქრისტე შეკრებილ ხალხს მოუწოდებს თაყვანი სცენ დედამიწას, როგორც მოსიყვარულე დედას. ის, ვინც მას გადაგვარებისგან არ დაიფარავს, სამარადჟამო სატანჯველი ელოდება. ქრისტიანობის ძირითადი დოგმების უარყოფის გარდა, ეს ვითომდა "საიდუმლოებები" ტექსტის გაყალბებას წარმოადგენს. "ნეიშენელ ჯეოგრაფიკის" მიერ წიგნად გამოცემულ "იუდას სახარების" ინგლისურ თარგმანზე დაყრდნობით (The Gospel of Judas, from Codex Tchacos, Edited by Radolphe Kasser, Marvin Meyer and Gregor Wurst. National Geographic, Washington D.C., 2006) დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამ ჟურნალის მიერ მოყვანილი არც ერთი წინადადება არ შეესაბამება სიმართლეს. "იუდას სახარების" ტექსტში არსად არ არის ნახსენები მარიამ მაგდალინელი და პეტრე მოციქული, მით უმეტეს, მსგავს კონტექსტში.

დენ ბრაუნის გახმაურებულ წიგნთან "და ვინჩის კოდთან" ერთად "იუდას სახარება" პოპულარული თემაა საუბრისთვის დასავლეთში და არა მხოლოდ იქ. ხშირად შეხვდებით წიგნის მაღაზიის თაროებს, რომლებიც გადაჭედილია მსგავსი სათაურების ლიტერატურითა და რეკლამით. მაგალითად, თუ იყიდით "და ვინჩი კოდის" ილუსტრირებულ ვარიანტს, მას ფილმზე დასასწრები ერთი ბილეთიც მოჰყვება თან... და ასე შემდეგ.

ეს ყველაფერი რწმენისა და ცოდნის კრიზისის ეპოქაში მცხოვრები მკითხველისთვის საცდუნებელი ხილია. აკადემიურ წრეებში კი უფრო ხშირად გაიგონებთ შეფასებებს, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ კომერციაა და არაფერი აქვს საერთო სერიოზულ ლიტარატურასა და, მით უმეტეს, ქრისტიანულ რწმენასთან.

### "იუდას სახარება", როგორც გნოსტიკური ტექსტი

მეცნიერთა მტკიცებით, "იუდას სახარება" გნოსტიკური ტექსტების რიცხვში შედის. ტერმინი გნოსტიციზმი მომდინარეობს ბერძნული ძირიდან "gnosis", რაც ქართულად "ცოდნად" ითარგმნება. გნოსტიკოსების სახელით, ისტორიაში ცნობილია მრავალი ერეტიკული რელიგიური ჯგუფი, რომელთაც პრეტენზია ჰქონდათ, რომ განსაკუთრებული ცოდნით იყვნენ აღჭურვილი. მაინც რა სახის ცოდნაზე აცხადებდნენ პრეტენზიას გნოსტიკოსები? მათ სჯეროდათ, რომ ეს იყო საიდუმლოებათა ცოდნა, რომლებიც საბოლოოდ ხსნას მოიტანდა. გნოსტიკოსების აზრით, ადამიანს აცხონებდა არა ღვთის რწმენა, ღვთისმსახურება და სიკეთის კეთება, არამედ ჭეშმარიტების ცოდნა, ცოდნა იმ სამყაროს შესახებ, რომელშიც ვცხოვრობთ, ჭეშმარიტი ღმერთის ცოდნა და ჭეშმარიტი ცოდნა საკუთარი თავის შესახებ. გნოსტიციზმის აზრით, ხილული სამყარო ჩვენი სახლი არ არის, ამიტომ უნდა ვეცადოთ ვისწავლოთ, როგორ გავექცეთ ამ ცხოვრებას.

ეპისკოპოსი ირინეოსი გნოსტიკოსთა ჯგუფებს "კაენელების" სახელით მოიხსენიებდა, რადგან მათთვის კაენი გარკვეული მოსაზრებებით ბიბლიური გმირი იყო. "კაენელები", ირინეოსის თქმით, ეწინააღმდეგებოდნენ ბიბლიის კანონიკურ გაგებას და ცდილობდნენ ემტკიცებინათ საპირისპირო: მაგალითად, თუ ძველი აღთქმის ღმერთი შაბათის, როგორც წმინდა დღის დაცვას აკანონებდა, გნოსტიკოსები მას არღვევდნენ და ამ დღეს ღორის ხორცსაც კი ჭამდნენ. აქედან გამომდინარე, გასაგებია, თუ რატომ წარმოაჩინეს გნოსტიკოსებმა "იუდას სახარებაში" იუდა, როგორც ქრისტეს გამცემი, მის უდიდეს მეგობრად და მოკავშირედ. გნოსტიკური სახარებებისთვის უცხო არ არის ერთი რომელიმე სახარებისეული პერსონაჟის ქრისტეს განსაკუთრებულ მეგობრად მიჩნევა. მაგ. თომას სახარება მოგვითხრობს, რომ თომა იყო ქრისტეს საუკეთესო მეგობარი, მარიამის სახარება მარიამ მაგდალინელს მიიჩნევს ქრისტეს უახლოეს მეგობრად და ა.შ.

"იუდას სახარებაში" მხოლოდ იუდაა, რომელმაც იცის ჭეშმარიტება იესოს შესახებ, თუ ვინ არის ის და საიდან მოვიდა, ამიტომაც დაეხმარება ქრისტეს თავი დააღწიოს ამ სამყაროს და დაბრუნდეს იქ, საიდანაც მოვიდა. საინტერესოა, რომ იუდას სახარებაში არ არის აღდგომა. ესეც იმიტომ, რომ გნოსტიკოსების თანახმად, მთავარია ამ სამყაროსგან თავის დაღწევა და არა მასში დაბრუნება. აქ ადვილად ამოვიკითხავთ ძირითად გნოსტიკურ პრინციპებს. ამას გარდა, ტექსტში მრავლადაა გნოსტიციზმისთვის დამახასიათებელი ტერმინები. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ გნოსტიციზმის შესწავლის თვალსაზრისით, "იუდას სახარება" მკვლევარებს უხვ და საინტერესო მასალას სთავაზობს.

# არტ-თერაპია ხულიგნებისთვის



მომავალი ექვსი თვის განმავლობაში სიდნეის გარეუბნის, როკდეილის მოსახლეობა იძულებული გახდება კლასიკურ და რეტრო მუსიკას უსმინოს. ასე გადაწყვიტეს ადგილობრივი მთავრობის წევრებმა, რომლებიც ამ უბნის ხულიგნების კრიმინალური მოღვაწეობით შეწუხდნენ. სხვა ვერაფერი მოახერხეს და გადაწყვიტეს მუსიკისთვის მიემართათ. ფიქრობენ, რომ ამ გზით ქუჩებში კრიმინალურ ატმოსფეროს მოერევიან.

ყველაზე ხშირად ახალგაზრდები შაბათობით იკრიბებიან, განსაკუთრებით პარკინგის ადგილებში, საიდანაც მოსახლეობა ჰიპ-ჰოპის ბოლო ხმაზე ჩართულ მუსიკას ისმენს. ამას გარდა ადგილობრივი მოსახლეობა ქუჩებში რთულად გადაადგილდება.

ხელმძღვანელობას წარმატების იმედი აქვს. სულ ცოტა ხნის წინ ახალგაზრდა ვანდალები სავაჭრო ცენტრებიდან იგივე ხერხით დაშალეს. როგორც ჩანს, მათთვის წამების ტოლფასია კლასიკური მუსიკის სმენა და ამ ტანჯვით წამებას, მზაკვრულ ჩანაფიქრებზე ხელის აღება ურჩევნიათ.

# დედოფალი 80 წლისაა

ნია ნუცუბიძე

"აკაკი წერეთლის სიტყვებით, - "მე ჩონგური მისთვის მინდა, რომ სიმართლეს მსახურებდეს, განამტკიცოს აზრი წმინდა, გულს სიწმინდით ახურებდეს1" - მას ჩონგური სჭირდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მე არ ვუკრავ ჩონგურზე. რადგან არც გუდასტვირზე დამკვრელი მყავს, რომელიც ძველად შოტლანდიური კლანის უფროსს დაჰყვებოდა, დღეს მე თვითონ უნდა დავუკრა". ამ სიტყვებით დაიწყო თავისი მისალმება სტუმრებთან ბრიტანეთის ელჩმა საქართველოში დონალდ მაკლარენმა.

სტუმრები კი ბრიტანეთის საელჩოს, დედოფალ ელისაბედ II-ის 80 წლის იუბილეს აღსანიშნავ ზეიმზე, მრავლად ეწვივნენ.

მერაბ ბერძენიშვილის სახელობის საერთაშორისო კულტურის ცენტრი "მუზა" და მისი ბაღი დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს, დეპუტატებს, მინისტრებს და საზოგადოების ცნობილ წარმომადგენლებს ვერ იტევდა. გარდა იმისა, რომ "მუზა" რომანტიკულ გარემოში მდებარეობს (კუს ტბის მიდამოებში), მასთან მისასვლელი გზაც სასეირნო, ღია ავტობუსით მგზავრობით იყო გალამაზებული. მთელ ამ რომანტიკას, დედოფალ ელისაბედის დიდი თაყვანისმცემლის გია ჭანტურიას ფოტოგამოფენას და მშვენიერ "ა ლა ფურშეტს" ისიც დაერთო თან, რომ ბრიტანეთის ელჩმა თავისი მისალ-




*საიუბილეო კონცერტზე.*

მება მშვენიერი ქართულით წარმოთქვა. მან საქართველოს აღორძინება და წარმატება უსურვა და თან თავისი ეროვნული სასმელის რეკლამირებაც მოახდინა: "მე ახლა ვხედავ ჩემს რუს კოლეგას, რომელიც ინგლისურ კოქტეილს მიირთმევს. ის მრავალ უცნობ ინგრედიენტს შეიცავს, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო. ბატონო ვლადიმერ, როგორც მოგეხსენებათ, მრავალი სიტყვა შოტლანდიაში პრეფიქსი "Mac"-ით იწყება. მაგრამ ალბათ არ იცით, რომ შოტლანდიაში ყურძნის მრავალი სახეობაა და ერთ-ერთი საიდუმლო ინგრედიენტიც თქვენს სასმელშია. მას მაკუზანი ეწოდება".

დედოფლის პატივსაცემად ელჩმა შოტლანდიური მელოდია სტვირზე ააჟღერა.

ელისაბედ II ალბათ მსოფლიოში ერთადერთი ადამიანია, რომელსაც წელიწადში ორჯერ აქვს დაბადების დღე: ერთი პირადი და ერთიც ოფიციალური, რაც ბრიტანული ამინდით არის გამოწვეული. თუმცა წელს საქართველოში დედოფლის 80 წლის იუბილეს სამ დღეს ვზეიმობდით. საერთაშორისო კულტურის ცენტრ "მუზადან" ზეიმმა "თი ბი სი" ბანკის ცენტრალური ოფისის საკონფერენციო დარბაზში გადაინაცვლა. კონცერტი ბრიტანულ-ქართული კულტურისა და ხელოვნების საერთაშორისო ასოციაციის - GAIACA-ს ეგიდით ჩატარდა. სპონსორებმა - ბრიტანეთის საბჭომ და "ბრიტიშ პეტროლიუმმა" ძალისხმევა არ დაიშურეს, რათა კონცერტი მაღალ დონეზე ჩატარებულიყო.

პროექტის - "ხელოვნების გზაჯვარედინზე" ფარგლებში მოეწყო სოფი სითველის ფოტოგამოფენა; სოფი საქართველოში პირველად 1989 წელს ჩამოვიდა, შეუყვარდა ჩვენი ქვეყანა, ქართველის მეუღლე გახდა და მას შემდეგ საქართველოში ცხოვრობს. მისი ნამუშევრების უმრავლესობა იმ ადამიანთა პორტრეტებია, ვისი გაცნობის საშუალებაც მას საქართველოში მოგზაურობისას ჰქონდა. "ქართველები ამაყი ხალხია, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ ფოტოკამერის არ ეშინიათ, მუდამ მზად არიან გაგიზიარონ საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილება და გარშემო ყველა ლაღ განწყობაზე დააყენონ", - ამბობს სოფი. ამ დღეებში კიდევ ერთი ბრიტანელი ეწვია თბილისს. კომპოზიტორი და ფლეიტისტი მაიქ მოუერი ქართველ პიანისტ ხატია ბუნიათიშვილთან ერთად თავისი ნაწარმოებებით წარდგა მსმენელის წინაშე.

დედოფლის დაბადების დღისადმი მიძღვნილი საზეიმო დღეები დასრულდა კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამართული გალაკონცერტით, რომელზეც ღირსეულად წარდგნენ გორის ქალთა გუნდი, გოგა შავერზაშვილი, მაია მშვილდაძე, ბრიტანეთის ელჩი დონალდ მაკლარენი და პიანისტი ხატია ბუნიათიშვილი. ჩვენ კი დედოფალს მომავალ წლამდე დავემშვიდობეთ...